ტრადიციული ქართული სამედიცინო კულტურა

I

მშობიარობასა და ჩვილი ბავშვის მოვლასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები საქართველოში

(ისტორიულ-ეთნოლოგიური გამოკვლევა)

"მეცნიერება"
თბილისი
1997

63.5 (2Г)
39 (479.22)
ტ 753

კრებულში, ხაქართველოს რამდენიმე კუთხის (სვესურეთი, ხამცხე-ჯავახეთი, ქართლი, რაჭა-ლეჩხუმი, იმერეთი და სვანეთი) XIX ხაუკუნისა და XX ხაუკუნის I ნახევრის ყოფის ამსახველი მონაცემების საფუძველზე, განხილულია ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები და წეს-ჩვეულებები. მათი ურთიერთშეჯერების გზით ნაჩვენებია ხაქართველოს მთიხა და ბარის მოსახლეობის ხამედიცინო ტრადიციათა საერთო მხარე და განსხვავება-თავისებურებანი.

The habits, customs, conceptions and beliefs concerning childbirth are considered in the present work on basis of the evidence representing the mode of life in several regions of Georgia (Khevsureti, Samtskhe-Javakheti, Kartli, Racha-Lechkhumi, Imereti and Svaneti) in the 19th and the first half of the 20th centuries. The general outhline of the medical traditions, their peculiarities and differences are shown through the comparison of the abovementioned habits, customs, conceptions.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ი.სურგულაძე

რეცენზენტები:
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი თ.ოჩიაური
ისთორიის მეცნიერებათა კანდიდატი თ.ცაგარეიშვილი

0505000000
დ ————————
M 807(06)-9

© "მეცნიერება", 1997

შესავალი

ჯანმრთელობის დაცვის ხალხური სისტემა, რომელიც მედიცინის მუშაკთა და ეთნოლოგთა მომავალი კვლევის ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა, პირველ რიგში ჯანსაღი თაობის აღზრდას გულისხმობს.

სხვადასხვა გეოგრაფიულ გარემოში - მთასა თუ ბარში, უდაბნოსა თუ ზღვისპირეთში მცხოვრებ სხვადასხვა სოციალური ფენის მოსახლეობას ისტორიის განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე განსხვავებული მოთხოვნილებები გააჩნდა და მათი ცხოვრების წესი უმეტესწილად სწორედ ამ მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ითვალისწინებდა. ყოველ საზოგადოებას სჭირდებოდა ფიზიკურად და სულიერად ჯანსაღი შთამომაელობა, რომელიც მაქსიმალურად იქნებოდა შეგუებული საცხოვრებელ პირობებსა თუ თავისი ხალხის ცხოვრების წესთან და ექნებოდა მათი გაუმჯობესების პოტენცია.

ბავშვის მომავალზე ზრუნვა იწყებოდა არა მხოლოდ ქალის ფეხმძიმობის დროს, არამედ გაცილებით უფრო ადრე, გათხოვებამდე, ახალგაზრდა ქალის დედად მომზადების მიზნით.

უძველესი დროიდან მსოფლიოს სხვადასხვა ხალხში ჩამოყალიბდა ქალის დედობისათვის მომზადების, მშობიარობის, ჩვილი ბავშვის მოვლის და საერთოდ მომავალი თაობის აღზრდის გარკვეული ტრადიციული სისტემები, რომლებიც სხადასხვა ხალხურ წესებს მოიცავენ. მათ თუ თანამედროვე პოზიციიდან შევაფასებთ, შესაძლებელია ჩვენთვის ბევრი რამ მიუღებელი იყოს, მაგრამ გარკვეულ გეოგრაფიულ თუ სოციალურ გარემოში, ისტორიის განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე მცხოვრებ საზოგადოებებში მოქმედი ყველა ხალხური წესი თუ ტრადიცია მათი ცხოვრების პირობებისა და დონის გათვალისწინების შემთხვევაში, როგორც ჩანს, ამ საზოგადოებებისათვის მისაღები და ოპტიმალური იყო.

საზოგადოების განვითარებასთან ერთად კი ეს წესები იხვეწებოდა და უფრო სრულყოფილი ხდებოდა.

ეთნოლოგიური კვლევის ერთ-ერთი მთავარი მიზანი ხალხური ტრადიციების გამოვლენა-შესწავლა, მათი ფუნქციონირების მიზეზების ახსნაა. სამედიცინო ტრადიციების კვლევა ამ კუთხით საინტერესო შედეგებს იძლევა.

. წინამდებარე კრებულში გვინდა აღვწეროთ და განვიხილოთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დამოწმებული მშობიარობის და ჩვილი ბავშვის მოვლის წესები, ვაჩვენოთ რა აქვთ მათ საერთო და რითა განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. თავს ვიკავებთ ზოგი საკითხის ანალიზისაგან, რადგან მიგვაჩნია, რომ მათი კვლევა კომპლექსურად, სხვადასხვა დარგის სპეციალისტებთან ერთად უნდა ჩატარდეს.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ერთ-ერთმა სტატიის თანაავტორია პროფესიონალი ექიმი დ.დიდებულიძე. ვფიქრობთ, ასეთი სახის მუშაობა მომავალი კომპლექსური კვლევის საწინდარი იქნება.

ნ. მინდაძე

ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები ხევსურეთში

ნუნუ მინდაძე, დარეჯან დიდებულიძე

საქართველოს მრავალფეროვანმა გეო-კლიმატურმა პირობებმა, სოციალ-ეკონომიკურ, ისტორიულ და სხვა ფაქტორებთან ერთად, განაპირობა საქართველოს თითოეული კუთხის ხალხურ ტრადიციათა თავისთავადობა.

ამასთან აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ბართან შედარებით ყოფის არქაული რეალიები მეტად შემოინახა მთიანეთის რეგიონებმა, რომელთა შორის გამოირჩევა ხევსურეთი. ხევსურეთში ჯერ კიდევ ახლო წარსულში ფუნქციონირებდა ბევრი ისეთი ტრადიცია, რომელიც საქართველოს ბარის მოსახლეობის ყოფაში საერთოდ აღარ ან ნაკლებად გვხვდება. მათ რიცხვს განეკუთვნება მშობიარობის ხალხური წესები, რომლებმაც, XIX საუკუნიდან მოყოლებული დღემდე, არა ერთი ექიმის, ისტორიკოსის თუ მოგზაურის ყურადღება მიიპყრეს. მათ შორის აღსანიშნავია ი. მინკევიჩი (XIV), ნ. ხიზანაშვილი (XXVI), გ. თედორაძე (X), ს. მაკალათია (XIII), ვ. ბარდაველიძე(V), ლ.სოლოვიოვა (XIV) და სხვ.

განსაკუთრებით ფასეულია ხევსურეთის მკვიდრის მელანია ბალიაურის მასალა (II; 3;), რომელშიც საოცარი სიზუსტით არის აღწერილი ქალის მშობიარობა ხევსურეთში. სწორედ ეს მასალა, ზემოჩამოთვლილ ავტორთა მონაცემებთან ერთად, საფუძვლად დაედო წინამდებარე სტატიას.

ხევსურეთში ახლად დაქორწინებული ცოლ-ქმარი პირველ ორ-სამ წელს შვილს არ გააჩენდა. ახალგათხოვილი ქალის დაფეხმძიმება, ისევე როგორც მრავალშვილიანობა, სირცხვილად ითვლებოდა. შესაძლებელია ეს გარკვეულწილად ხელს უწყობდა მცირემიწიან ხევსურეთში მოსახლეობის სიჭარბის თავიდან აცილებას (XXVII; 13).

ხევსურეთში, დაფეხმძიმებას ქალი მენსტრუაციის

ციკლის შეწყვეტით ადგენდა. ამ კუთხით საინტერესოა ფეხმძიმე ქალის აღმნიშვნელი ხევსურული ტერმინი "უმრეცხლო", რაც ნიშნავს მენსტრუაციის, დედათწესის, იგივე "სარეცხის" არმქონეს და მისი ანტონიმი "მრეცხელი", "მრეცხელი დედაკაცი", რაც თვიურიანი ქალის ერთ-ერთი სახელწოდებაა ხევსურეთში.

როდესაც ხევსური ქალი დაფეხმძიმდებოდა, ცხოვრებას ჩვეულებრივად განაგრძობდა. შრომას არ ერიდებოდა. ასე იყო საქართველოს მთიანეთის სხვა კუთხეებშიც. ვაჟა-ფშაველას გადმოცემით: "ფშაველი ორსულ დედაკაცს არამც თუ არ აკეთებინებს საქმეს, საჭიროდაც მიაჩნია ფეხმძიმე ქალის მუშაობა, რომ ყრმა დიდი არ გაიზარდოს და შობა გაუადვილდეს" (IX; 11). მაგრამ ფეხმძიმობის დროს ქალი გარკვეულ სიფრთხილეს იცავდა. მძიმეს არაფერს აწევდა - "მუცელი რომ არ წაეხდინა". ნაყოფი რომ არ დაეზიანებინა, ცდილობდა მუცელზე მაგარი არაფერი მოხვედროდა: საქონელთან ყოფნის დროს - საქონლის რქა, კარაქის დღვების დროს - საბღვებელი და სხვა.

ფეხმძიმე მდინარიდან ან წყაროდან წყალს "დაწაფებით", ე.ი. პირდაპირ არ დალევდა - ბავშვი დორბლიანი გამოვაო; წყალი წყაროდან პეშვით უნდა "ამოეკრა", ე.ი. ამოეღო და ისე დაელია, როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში, იგი უხერხულად დახრას ერიდებოდა. ორსულს არ უნდა ეჭამა მწარე საჭმელი, მაგ., ნიორი, იტყოდნენ - ბავშვი წირპლიანი გამოვაო; არ უნდა დაელია ლუდი ან არაყი - დააბირკვლებსო, მუცელს მოუშლისო და ა.შ.

ფეხმძიმე ქალი ცოტას ჭამდა, ჭამის მადა მომატებულიც რომ ჰქონოდა, ზედმეტ საჭმელს ვერ მოითხოვდა, რადგან ბევრი ჭამა სირცხვილად ითვლებოდა, ე.ი. იგი მსუბუქ დიეტას იცავდა, რაც თავისთავად ნაყოფის ზომიერ ზრდას უწყობდა ხელს და იოლი მშობიაობაც გარკვეულწილად გარანტირებული იყო.

ძველი ქართული მედიცინის მისედვით, ფეხმძიმე ქალს

ბევრი ჭამისაგან თავი უნდა შეეკავებინა. XVI საუკუნის ერთ-ერთ ხელნაწერში ეკითხულობთ: "და ორსულმან დედაკაცმან ბევრი საჭმელი არ უნდა ჭამოს. და ცოტას საჭმელსა უნდა სჭამდენ" (VI; 120).

მეცხრე თვეს. როდესაც ქალი "თვეში ჩადგებოდა", როგორც ფეხმძიმე, ისე მისი ოჯახი "მირეულად", "უწმინდურად" ითვლებოდა და ქალს უკვე ბევრი რამ ეკრძალებოდა: ხატ-სალოცავებთან მისვლა, სალოცავის ყანებზე გავლა. ვერც ჯვარის - სალოცავის მსახურნი მივიდოდნენ მის ოჯახში, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, ოჯახი უწმინდურად ითვლებოდა. ქალს ეკრძალებოდა ასევე სახლის ბანზე ან ზედა სართულზე - ჭერხოში (მამაკაცის ხაძინებელში, ხევსურული სახლის საკრალურ ნაწილში) ასვლა, გარკვეული ოჯახური საქმიანობა: პურის გამოცხობა, კარაქის შედღვება და სხვა.

როცა მუცელი ასტკივდებოდა, იტყოდნენ - სატკივარი გამააჩნდაო. ქალი სამრეულოში, მენსტრუაციის მქონე - "მირეული", "ნარევი", ე.ი. უწმინდური ქალებისთვის განკუთვნილ სპეციალურ შენობაში წავიდოდა. მახ სამრეულომდე დედამთილი, ან ვინმე მოკეთე ქალი მიაცილებდა. ის მისცემდა ყველაფერს, რაც ქალს სამშობიარო ქოხში სჭირდებოდა: ძველ ტასაცმელს, "სალოგინე ჩალას", თუ ეს ჩალა წინასწარ არ იყო ქოხში დაგებული, "დუქარდს" - მაკრატელს ჭიპლარის გადასაჭრელად, "ხიჩონს" - მატყლის მსხვილი ძაფისაგან მოქსოვილ ბავშვის სპეციალურ შესახვევს, შალის ქუდსა და წინდებს ახალშობილისათვის, თუ საშუალება ჰქონდათ, ჩითის რბილ პერანგსაც, ასევე პურს, ყველს, ნახშირს, იარაღს: ხმალს, სანჯალს, ან თოფის მასრას ავი ხულების დასაფრთხობად და სხვა. სამრეულოში ქალი რჩებოდა მანამ, სანამ - "სატკივარი არ დაუნიადაგდებოდა", ე.ი. ტკივილი არ გაუხშირდებოდა. შემდეგ კი გადადიოდა სამშობიარო ქოხში, რომელიც სამრეულოს შორიახლოს იდგა.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში სახლში მშობიარობა ხასტიკად იკრძალებოდა. თუ ქალი სახლში

მოილოგინებდა. სახლი უწმინდურდებოდა. ხატ-სალოცავები ხასტიკად გაუწყრებოდნენ. ოჯახის მამაკაცებს ავად გახდიდნენ. საქონელს დაუხოცავდნენ და სხვა (V, 238).

საერთოდ ცნობილია, რომ მენსტრუაციის მქონე, მშობიარე და მელოგინე ქალის უწმინდურად მიჩნევა, დაკავშირებულია საშოდან სისხლის დენის ფაქტთან. ცნობილია, რომ საშოდან ყოველგვარი სისხლდენა განიხილებოდა, როგორც საშიშროება და უწმინდურება. მშობიარესთან დაკავშირებით, განსხვავებული მოსაზრება აქვს გამოთქმული ვ.ბარდაველიძეს, მისი აზრით, მშობიარობის მომენტში, ქალი საშიში და უწმინდურია იმიტომ, რომ მას ბოროტი სულები ემტერებიან, ხოლო ბოროტი სულები ემტერებიან იმის გამო, რომ "ქალი ჭურჭელია, რომელშიც ისასება და იშვის ახალი სიცოცხლე ბავშვის სახით, იმდენად ის სალხის თვალში წარმოადგენს მიმზიდველ არეს კეთილი და ბოროტი სულების ჭიდილისათვის" (V, 253).

როგორც ვთქვით, მშობიარე და დედათწესიანი, ე.ი. უწმინდურ ქალთა სამყოფი ხევსურეთში სოფლის გარეთ იყო. ვ.ბარდაველიძე აღნიშნავს, რომ "ხევსურეთში ქალს ორი ხაცხოვრებელი ბინა აქვს. ერთი თავის ქმარ-შვილთან, როდესაც ის "საშინაო" ყოფაშია, ე.ი. მენსტრუაცია - მშობიარობის პერიოდების გარეშე, და მეორე - სოფლის გარეთ, ე.წ. "საჩეხეში". საჩეხე ეწოდება სოფლის გარეთ იმ მიდამოს, სადაც გაშენებულია ცალკე ბინები მენსტრუაციაში მყოფ და მშობიარე ქალთათვის და სადაც ისინი ამ დროს მიდი-მოდიან. ეს ბინებია: "სამრელო", "ქოხი" და "შენაქო" (V, 246-247).

სამრელო - სამირეულო, ე.ი. მირეულთა, უწმინდურთა, დედათწესიან ქალთა სამყოფი, თითოეულ სოფელს რამდენიმე აქვს. სამი-ოთხი ან მეტი მოსახლის ქალები შეერთდებიან და ერთ სამრელოს აშენებენ. თუ ოჯახი შეძლებულია, მას ცალკე სამრელო აქვს. სამრელოს აგებას ხევსურს ხატი უკრძალავს, ამიტომ ასაგებად იწვევენ სხვა კუთხის მცხოვრებს, უმეტესად ბოსტნეულებს და ხარჯს თანაბრად ინაწილებენ. არის შემთხვევები,

რომ ღარიბი ოჯახის ქალები თვითონ აშენებენ სამრელოს.

სამრელო პატარა, დაბალი, ბანიანი შენობაა, სადაც თავსდება საშუალოდ 4-5 ქალი, შიგ ადამიანი ვერ გაიმართება, კარები აუცილებლად სოფლისაკენ არის მიმართული. კედლები ქვისაა. გადახურულია დიდი ხეებით, ჭერებით გადაჭრილი ტოტებგაცლილი ხეებით და სიპებით. ზემოდან აყრია შავი მიწა, რომელიც დატკეპნილია და აქვს საკვამე, რაც სანათურის მაგივრობას ეწევა (V, 247).

შენაქო წარმოადგენს ყორეზე მიდგმულ ფარდულს, სადაც კარგ ამინდში იკრიბებიან მესამრელოე ქალები თავისი ხელსაქმით და ერთობიან, სჯა-ბაასში ატარებენ დროს (V, 248).

სამშობიარო ქოხი შენდებოდა რიყის ქვისაგან, ერთი კედელი სიმყარისთვის ბუნებრივი იყო, ორი კი - ცალმაგი, ერთი ქვით ამოშენებული და შეულესავი. წინ მეოთხე კედლის ადგილი ღიად იყო დატოვებული შესასვლელად და ჩალის კონები ჰქონდა აფარებული. ქოხი გადახურული იყო ჭერებით, რომელსაც ზემოდან ეყარა ქერის ან ჭვავის ჩალა (ყარტი). ქოხში წინასწარ დაგებული იყო ჩალა, ან ქალი ჩალას ქოხში შესვლის დროს თვითონ დააგებდა და ქვეშ ხმალს, ხანჯალს ან ტყვიას ამოუდებდა ავი სულების დასაფრთხობად.

ქოხში შესვლამდე ქალს, რომელიც პირველად მშობიარობდა, გამოცდილი ქალები დაარიგებდნენ როგორ მოქცეულიყო, როგორ დამჯდარიყო, როგორ გადაეჭრა ბავშვისათვის ჭიპლარი და სხვ. ხამშობიარო ქოხში ქალ.. სულ მარტო იყო და თუ ძალიან არ გაუჭირდებოდა, იქ ა..ავინ შევიდოდა.

მშობიარე, ხანამ მას ძლიერი ტკივილები არ შეაწუხებდა, ქოხის ახლომახლო დადიოდა. რადგან ითვლებოდა, რომ სიარული ადვილად მშობიარობას უწყობდა ხელს. ძალიან ძლიერი ტკივილი რომ დაეწყებოდა, ქალი ქოხში შევიდოდა. მას ხშირად მიაკითხავდნენ ხამრელოში მყოფი მენსტრუაციის მქონე ქალები და გარედან ეკითხებოდნენ: "სატკივარი როგორ უვლიდა", ბავშვი თუ მოძრაობდა და სხვ. მშობიარეც ხმამაღლა უპასუხებდა.

მესამრელოე ქალები ცდილობდნენ დახმარებოდნენ. ეს დახმარება სიტყვიერი იყო და გამოიხატებოდა იმაში, რომ ქოხის გარედან შეახსენებდნენ რა დროს როგორ მოქცეულიყო.

როდესაც ქალს განუწყვეტელი ტკივილი დაეწყებოდა, ბავშვის დაბადების დრო რომ მოვიდოდა - "მუხლის მოთხოვნას" ეძახდნენ, ე.ი. - ბავშვი მუხლებზე დაჩოქვას მოითხოვსო. მაშინ ქალი ჩალაზე უნდა დაჩოქილიყო, ბავშვის დაბადება რომ არ გასძნელებოდა, მუხლები შეძლებისდაგვარად განზე უნდა გაეწია, ქოხის ჭერზე უმეტესწილად თოკი იყო ჩამობმული, დაჩოქილი მშობიარე ხელებით რომ ჩამოკიდებულიყო და "წელი შემსუბუქებოდა". ხევსური ქალები ხშირად თოკს ან სარტყელს, რომელსაც წელზე ორჯერ შემოკრულს ატარებდნენ, მშობიარობის წინ ჭერზე თვითონ ჩამოაბამდნენ. მშობიარობის დროს ქალს ძლიერი ტკივილებიც რომ ჰქონოდა, არ უნდა განძრეულიყო - მოძრაობა მუცელში ბავშვს დააზიანებსო, არც ხმა უნდა ამოეღო, ჩუმი კვნესაც კი სირცხვილად მიაჩნდათ.

თუ მშობიარობა გართულდებოდა, სხვადასხვა საშუალებას მიმართავდნენ. "მესამრელოე ქალები" მშობიარეს ცხელ, ზოგჯერ კარაქიან რძეს მიაწოდებდნენ, არ ერიდებოდნენ არყის მიცემასაც. თუ მაინც არ უშველიდა და მშობიარობა გაჭიანურდებოდა, მაშინ ქოხთან მიიყვანდნენ "გველ - მყვართ" (გველისა და ბაყაყის) გამყრელ დედაკაცს (ე.ი. ქალს, რომელმაც გველს დაჭერილი ბაყაყი გააგდებინა). ზოგჯერ მას თან ჰქონდა ქათმის კვერცხი, რომელსაც ქალს მკერდზე ესროდა, როცა კვერცხი გატყდებოდა, იტყოდნენ - "ესრემც მალე გეშველებისო, ესრემც მალე გაშორდებით დედა - შვილნი ერთი მეორეს, გველ - მყვარნი გამიყრიან, რო დედა - შვილნი არ გავყარნოო, გაეყარეთ დედა - შვილნი ერთმანეთს" (II, 12). ამ სიტყვებს სამჯერ გაიმეორებდა. რა თქმა უნდა, აქ ბაგიურ ქმედებებთან გვაქვს საქმე. არ არის გამორიცხული, რომ გველისა და კვერცხის ნაყოფიერების რელიგიურ სიმბოლიკასაც ჰქონდა შნიშვნელობა. თუ კიდევ არ დაეწყებოდა მშობიარობა, მაშინ ქალის ახლობელი

მამაკაცი ქოხის შორიახლოს თოფს გაისროდა - ავი სულები დაფრთხებიანო, თან მშობიარეც შეშინდება და ბავშვი დაიბადებაო.

ამ საშუალებებით თუ მშობიარობა არ დაჩქარდებოდა, მაშინ გამოცდილ დამხმარე ქალს მოიწვევდნენ. მის მოსვლამდე კი მესამრელოე ქალები გარედან უკარნახებდნენ მშობიარეს როგორ მოქცეულიყო. მაგ., თუ ბავშვი "უკუღმა", "ფეხებით წინ მოდიოდა" და ქალი ამას შეატყობდა, დაარიგებდნენ - ზურგზე დაწოლილიყო, ფეხები მაღლა აეწია და ქვის ყორეზე დაეწყო - ბავშვი რომ შემობრუნებულიყო. თუ ქალი ძალიან დასუსტდებოდა, შეუძახებდნენ - "რას შვრები, რაზედ გვარცხვენ, რად გვჭრი თავს ხალხში, შვილი ვის არ გაუჩენია, მაგრამ ეგეთი ამბავი არავის ჩაუდენია - გამაგრდი, მაედი გონს და გული გაიმაგრე. ქალი არ ხარა, არ იცი სირცხვილი, რად გასტეხე ნამუსი, გამაგრდი გულს მაედ" (II; 14). ზოგჯერ ემუქრებოდნენ კიდეც. არ არის გამორიცხული, რომ ამ შემთხვევაში, ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას ჰქონდა გარკვეული ეფექტი. ამ დროს დამხმარე ქალიც მოვიდოდა. საინტერესოა, რომ იგი არ უნდა ყოფილიყო "მოწმინდარი", "შიბარებული" ან "დაკოჭვიებული". "მოწმინდარი" და "შიბარებული" ხალოცავის ქვეშემრდომი, მისი უშუალო მფარველობის ქვეშ მყოფი ქალები არიან. "შიაბარებდნენ" ავადმყოფ ქალს, რომ ხალოცავის მეშვეობით გამოჯანმრთელებულიყო. "მოწმინდარიც ძირითადად ხატის (ხალოცავის) რჩეული, ხატის მსახური ქალია. "მოწმინდარად" აყვანილი ქალები ხშირად რაიმე მსუბუქი ფსიქო-ნერვული დაავადებით იყვნენ შეპყრობილნი. "დაკოჭვიებული" კი ფსიქიური ავადმყოფი - ეშმაკეულია, რომელსაც ავი სულის გამოსადევნი რიტუალი "დაკოჭვა" აქვს ჩატარებული, მოკლედ რომ ვთქვათ, დამხმარე ქალი ფიზიკურად და სულიერად ჯანსაღი, მშვიდი, არანერვული პიროვნება უნდა ყოფილიყო. დამხმარე ზურგზე დაწოლილ ქალს ფეხებს აუწევდა და ჭერზე დამაგრებულ თოკზე ჩამოკიდებულ ისე რომ ქალს წელი ასწეოდა, ბეჭები კი ჩალაზე ჰქონოდა დადებული. თუ ეს არ უშველიდა, მაშინ

ფეხებს ჩამოუხსნიდა და დაჩოქილ მშობიარეს უკან მოუჯდებოდა, წელზე მუხლს მიაბჯენდა და ქალს მხრებით თავისკენ გადმოსწევდა ისე, რომ წელი დამხმარე ქალის მუხლებზე გადმოზნექილიყო. ამას რამდენჯერმე გაიმეორებდა, რომ დედის მუცელში მჯდომი ყმაწვილი "შეეიწროებულიყო", "დაძრულიყო" და "გარეთ გამოსულიყო". თუ ესეც არ უშველიდა, ქალი მშობიარეს ზურგით თავის ზურგზე წამოიკიდებდა და რამდენჯერმე ახტებოდა: მშობიარე ქალი დაიბერტყებაო - ეს უკვე უკიდურესი ზომა იყო.

თუ მშობიარე ქალს ზემოთ ჩამოთვლილი საშუალებები არ უშველიდა, მაშინ "ჯვრებს შეუსახელებდნენ სამეშვლოებს", სალოცავს დაპირდებოდნენ შესაწირავს, რომელიც სპეციალურად ქალის საშველად - "სამეშვლოდ" იყო განკუთვნილი, რადგან ქალის ოჯახი უწმინდურად ითვლებოდა, ჯვარის სახელს ვერ ახსენებდა და სამეშვლოს სხვა ოჯახი "შეუსახელებდა", ქალის ოჯახი კი "განათვლის" (განწმენდის) შემდეგ შეასრულებდა მსხვერპლშეწირვის რიტუალს.

დამხმარე ქალს გარკვეულ გასამრჯელოს უხდიდნენ: ერთ ცოცხალ ძროხას - "ფეხითს", უმეტესწილად მეწველს, ან მის ექვივალენტს - ცხვრის, ჭპილენძის, ხალიჩის ან სხვა სახით.

იშვიათ შემთხვევაში, როდესაც ქალი ვერასგზით ვერ იმშობიარებდა და ნაყოფი მუცელში დაეღუპებოდა, იმისთვის რომ დედის სიცოცხლე გადაერჩინათ, მოიწვევდნენ მწყემსს, რომელსაც გარკვეული გამოცდილება ჰქონდა მიღებული საქონლის ძნელი მშობიარობის დროს. ის ქალის საშოდან მკვდარ ნაყოფს დანით ამოკაფავდა ე.ი. ატარებდა ემბრიოტომიას. უნდა აღინიშნოს, რომ ემბრიოტომიის ჩატარების ფაქტები მოწმდება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, აღწერილია აგრეთვე ძველ ქართულ სამედიცინო ხელნაწერ წიგნებში: "რაჲ შვილი მუცელსა შიგან მოკვდეს მოიჭირვოს რომელ წამლითა გამოიღოს, და თუ არ გამოვიდეს დანითა დაჭრას და გამოიღოს" (XXII, 244).

ა.ბაშვილის ცნობით, კავკასიაში ემბრიოტომიას

მწყემსები აკეთებდნენ (XXVIII; 76-77). ჩვენ დავუმატებთ, რომ საქართველოში დამოწმებულია ემბრიოტომიის ჩატარების პრაქტიკა ბებიაქალის მიერ, რასაც ძველი ქართული სამედიცინო ხელნაწერებიც ადასტურებს. მაგ., XI საუკუნის "უსწორო კარაბადინის" მიხედვით მშობიარობის დროს "ოსტატი დედაკაცები" ოპერაციულ ჩარევასაც მიმართავდნენ: "ოსტატმან დედაკაცმან ხერხით გამოსჭრას სამართებლითა" (XX; 153), იგულისხმება მკვდარი ნაყოფის ამოკვეთა.

თუ მშობიარობა ნორმალურად ჩაივლიდა, ნამშობიარები ქალი ახალდაბადებულის ჭიპლარს გადაზომავდა "ორი თითის დადებაზე", მაკრატლით გადაჭრიდა, ისე რომ ჭიპს ხელს არ მოაშორებდა და მაშინვე ბაწრით შეკრაედა. ჭიპის მოჭრის შემდეგ გარეთ დარჩენილ ნაწილს ხელს არ გაუშვებდა, ზოგჯერ ფეხის თითზე დაიხვევდა- უკან არ წავიდესო. ამბობდნენ, თუ "საშვილე" (მომყოლი) უკან წავიდა, ქალი შეიძლება მოკვდესო. თუ მომყოლის გამოდევნა ქალს უჭირდა, მაშინ "ორაგულის მძივს" (ორაგულის ხერხემლის ძვალს) რძეში ჩაფხეკდნენ, წამოადუღებდნენ და ჯერ კიდევ ცხელს დაალევინებდნენ. თუ ეს არ უშველიდა, მაშინ თამბაქოს ბურნუთს მისცემდნენ - "თხევას (ღებინება) გამოიწვევსო" და "თხევის დროს ტანიდან გამოუვა მომყოლიო". თვლიდნენ, რომ ღებინება გამოიწვევდა ჭინთვებს და ხელს შეუწყობდა მომყოლის მოშორებას.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ღებინება, ისევე როგორც "ცხვირის დაცემინება, როგორც ცნობილია, მართლაც იწვევს მუცლის წინა კედლის შეკუმშვას, მუცლის ღრუში წნევა მატულობს და იგი საშვილოსნოსაც გადაეცემა" (XV; 25).

მომყოლი ქალს დროზე თუ არ მოშორდებოდა - საბედისწეროდ ითვლებოდა. იტყოდნენ - "ქალი დასიედება და მოკვდებაო".

ქალს მშობიარობის შემდეგ მუცლის ტკივილი თუ დარჩებოდა, მაშინ აძლევდნენ ცხელ წყალს, რძეს ან მცირე რაოდენობით არაყს, იშვიათად - წითელი დეკეულის შარდს, ან ცხარე, ორნახად არაყში ჩაყრიდნენ ხოხნოტას (Bunias

orientalis) ძირებს, გააცხელებდნენ, ნამშობიარებს დაალევინებდნენ და სხვა.

მშობიარობის შემდეგ ქალი სამი დღე სამშობიარო ქოხში რჩებოდა. ამ დროს მას ნაკლებად უნდა ემოძრავა. მისთვის სპეციალურად დაგებულ "სალოგინეზე" - ჩალაზე იწვა ან იჯდა, ეცვა ძველი ტანსაცმელი, ტანსაცმელს და "სალოგინეს" არ გამოიცვლიდა, მასთან წყალი და საჭმელი მესამრელოე ქალებს მიჰქონდათ.

სამშობიარო ქოხში ქალს ძალიან უჭირდა ღამის გათევა, ღამის სიბნელეში მარტო დარჩენა. ხევსურების რწმენა-წარმოდგენების მისედვით, ავი სულები მზის ჩასვლის შემდეგ აქტიურდებოდნენ - "მზენ რო გავლენ (მზე რომ ჩავა - ნ.მ.), როდესაც ხთისშვილნიც (სალოცავები, ანგელოზები - ნ.მ.) მიიკრიფებიან თავის საბძანებელს, სამყუდროს (ე.ი. დაბინავდებიან - ნ.მ.) და კაცნიც შინ შავლენ, რჩებათ ეშმაკთ ზეობა (თავისუფლება) და გამაიშლებიანო (II; 100). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხევსურეთში მშობიარე - "მექოხე" (სამშობიარო ქოხში მყოფი) და დედათწესიანი - "მეკარე" (კარს, გარეთ, ე.ი. სახლს გარეთ, სამრელოში მყოფი) ქალი უწმინდურად მიაჩნდათ და ითვლებოდა, რომ მათ სალოცავები, მფარველი ანგელოზები, აღარ იცავდნენ, როგორც ხევსური იტყოდა: "მექოხე და მეკარე დიაცს ხთისშვილნი ხყონ წამკრთალნი (მოშორებულნი - ნ.მ.), ახლოს ვერ ეკარების, შორით კი ვერ აქვთ იმდენ ძალაი და შაძლებაი, რომ უფერი (ეშმაკი - ნ.მ.) დააშინოსო . ამიტომ, მათი წარმოდგენით, მშობიარესა და დედათწესიან ქალს ეშმაკი ძალიან ემტერებოდა და იმარჯვებდა კიდეც (II; 100).

აგრეთვე მიაჩნდათ , რომ მფარველი ანგელოზი სატში, სალოცავში "მიბარებამდე" ახალშობილს საერთოდ არ იცავდა. მიბარების რიტუალი ტარდებოდა ბავშვის დაბადებიდან 9 კვირის, ე.ი. დედისა და ახალშობილის საბოლოო განწმენდის შემდეგ 1 წლამდე და გულისხმობდა ბავშვის მამის საგვარეულო სალოცავისათვის მიბარებას, ამ სალოცავში მის პირველ განათვლას. მისთვის მფარველი, "მისი მცავი", "მასზე

მდგომ - მავალი" ანგელოზის მფარველობის მინიჭებას (IV; 126).

უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ ხევსურეთში საგვარეულო სალოცავში შსოლოდ ვაჟების მიბარება ხდებოდა, ქალს ამ შემთხვევაში არ აქცევდნენ დიდ ყურადღებას (II; 164) და უმეტესწილად მიაბარებდნენ ხახმატის ჯვარს, რომელიც ქალების მფარველ სალოცავს წარმოადგენდა (IV; 126).

აღნიშნული რწმენა-წარმოდგენები, რა თქმა უნდა, აძლიერებდა ღამის სიბნელეში საშშობიარო ქოხში განცალკევებული, ძალაგამოცლილი და ნერვებდასუსტებული ახალნაშშობიარები ქალის შიშის განცდას, რასაც ბუნებრივია, საკმაოდ არასასურველი შედეგი შეიძლება მოჰყოლოდა.

ეს კარგად ესმოდა ადგილობრივ მოსახლეობას და ქალის შიშის გასანეიტრალებლად სხვადასხვა საშუალებას მიმართავდა, რაც ძირითადად, მაგიურ-რელიგიური ფორმით იყო წარმოდგენილი. მაგ., როგორც აღვნიშნეთ, საშშობიარო ქოხში მშობიარეს თან აქონდა საგნები, რომლებიც ხევსურთა წარმოდგენით ავ სულებს აფრთხობდნენ. პირველ რიგში ხმალი და სანჯალი, ამავე დროს უწმინდურ "შექოსე" ქალს, რომელსაც წესით ეკრძალებოდა სატ-სალოცავების და საერთოდ ყოველგვარი წმინდას ხსენებაც კი, ნება ეძლეოდა ღამე მიემართა ხახმატის ჯვარის, დედა მარიამის, გამჩენი ღმერთისთვის, რომ მიხთვის ავი და "მავნე" მოეშორებინათ, მშვიდობიანი დილა გაეთენებინათ (II; 100). ადგილობრივ მოსახლეობას ღრმად სწამდა, რომ სალოცავების ხსენება ავ სულებს დააფრთხობდა.

ცივ ზამთარშიც კი, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ქალს ვაჟი შეეძინებოდა, ახალნამშობიარებს "ეშმაკების დასაფრთხობად" ღამეს უთევდა თავისი ოჯახის წევრი იარაღასხმული მაჩაკაცი: მამამთილი, ქმრის ბიძა, ან ქმარი თუ ის ძალიან ახალგაზრდა არ იყო. მამაკაცი იმყოფებოდა ქოხის ახლოს, ისეთ მანძილზე, რომ ქალს მისი ხმა გაეგო. თუ მამაკაცი არ დარჩებოდა, მაშინ სამრეელოში მყოფი ერთი ან რამდენიმე დედათწესიანი ქალი ღამე საშშობიარო ქოხთან მივიდოდა და

შექოსე ქალს ნახშირს გადასცემდა. ამავე დროს ნახშირს დაყრიდა საშობიარო ქოხის ირგვლივ - ავ სულთა დასაფრთხობად. როგორც ცნობილია, ნახშირი, ცეცხლი ავ სულთა საწინააღმდეგო ეფექტურ საშუალებად ითვლებოდა. "მესამრელოე" ქალი "მექოსე" ქალს ეტყოდა - "ნუ დაშინდები, შუაღამეს კიდევ მოვალ და სამრელოში დაწულ (დამწვარ) ნახშირებს გადმაგიყრი ქოხის კარშიო" (II, 100). ე.ი. ამშვიდებდა - ღამე მარტო არ დაგტოვებთო.

ყოველივე ზემოაღწერილს, პირველ რიგში, ფსიქოთერაპიული ზემოქმედება ჰქონდა, რაც განსაკუთრებით ეფექტური იყო ადგილობრივ მოსახლეობაში საკმაოდ ღრმად გამჯდარი რწმენა-წარმოდგენების ფონზე. ამავე დროს ნამშობიარებ ქალზე დადებითად მოქმედებდა ღამის სიბნელეში ასლობელი მამაკაცის თუ მესამრელოე ქალის სიახლოეის შეგრძნება. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, ნაწილობრივ მაინც უქარწყლებდა მას შიშის განცდას და ამშვიდებდა.

საშობიარო ქოხში ქალი მძიმე პირობებში იყო. აქ მას აწუხებდა სიცივე (ზამთარში), წყურვილი, წყლის დალევას ერიდებოდა - მუცელში წყალი რომ არ "ჩადგომოდა". განსაკუთრებით კი - ცივი წყლის დალევას, გაციების შიშით. მაგრამ ქალს ყველაფერი უნდა მოეთმინა: მშობიარობისწინა და შემდგომი ტკივილები, თვით მშობიარობა - ისე რომ ერთსელ არ დაეკვნესა, როგორც აღვნიშნეთ, წყურვილი, სიცივე და ბევრი სხვა გაჭირვება. იტყოდნენ: "სწორედ აქ (ე.ი. სამშობიარო ქოხში) გამაჩნდების დიაცის მათმენა და გულადობა. ეს ას (არის - ნ.მ) დიაცის ფარიც და ხმალიც, თორემ დიაცს სხვა გაჭირვება არა მიადგების კარზე ისეთი, როგორც კაცებს ადგების მტრის ძალითაო" (II: 88). ამბობდნენ ასევე: ვაუკაცსა ხმალი გამოცდის, დიაცსა ქოხ-სამრელოო (XIII: 82).

ჭიპლარის გადაჭრის შემდეგ, დედა ბავშვს შეამოწმებდა - მახინჯი ხომ არ იყო, ხელი ან ფესი ხომ არ ჰქონდა მოკლე და სხვა, რომ გაესწორებინა, სანამ ბავშვს ძვლები რბილი ჰქონდა.

ყოფილა ასეთი შემთხვევაც: დედას უნახავს, რომ

ასალდაბადებულს ენის წვერი "ჩაბმული", ე.ი. მიხორცებული ჰქონდა - მას შეხორცების ადგილი მაკრატლით ჩაუჭრია სათანადო ზომამდე, შემდეგ კი თავისი რძით მოუბანია, ბავშვი "ენის ადგმის" შემდეგ, სრულიად ნორმალურად ლაპარაკობდა (II, 125).

როგორც აღვნიშნეთ, ასალდაბადებული სამი დღე ქალის ქოხში ყოფნის დროს ძირითადად დედის უბეში იყო და დედა ძუძუს იქვე აწოვებდა. თუ რძეს (საწოვს) ბავშვი კარგად ვერ მოწოვდა, თვითონვე გამოიწველიდა და მიწაზე დაღვრიდა, იტყოდნენ: მიწა საწოვს არ მოიტაცებს, საწოვი არ გაშრებაო. ეს შეხედულება, როგორც ჩანს, მიწის ნაყოფიერების უძველეს რწმენას ემყარება.

მექოსე ქალს რაიმე განსაკუთრებულ საჭმელს არ აჭმევდნენ, ცოტა მეტ ერბოს მისცემდნენ - ღონეს მოუმატებსო.

მშობიარობის შემდეგ ქალს ასმევდნენ ცსელ რძეს (საუკეთესოდ ითვლებოდა ცსენის რძე) - პირი აქვს გამშრალი და მოუსდებაო; შემდეგ კი უმეტესად დოსა და ყველის შრატს - "მაწოვარ" (შეძუძურ) ქალს "გულს დაპირქ" დაულბობს, რაც მოუმატებსო. საერთოდ ცდილობდნენ, რომ ქალს რძე არ გაშრობოდა, რადგან, როგორც თვითონ ამბობდნენ, "საწოვი თუ გაგიშრა, მემრ ყმაწვილი ფურის ზისცვარით (რძე) უნდა გაზარდო და ფურის ზისცვარით გაზრდილი ყმაწვილი არ ვარგა, არ იქნება კაცთფერიო" (II, 99). თუ რძე მაინც გაუშრებოდა, მაშინ ასალდაკლულ თხის ტყავს ძუძუს მოჭრიდნენ, წყალში დაალბობდნენ, ბოთლს "თხის ძუძუს" - "დვალს" (საწოვარა) წაბოიაცვამდნენ და ბავშვს რძეს ამ ბოთლით ასმევდნენ.

საერთოდ ძუძუს წოვების რეჟიმი ხევსურეთში, ისევე, როგორც მთელ საქართველოში, თავისუფალი იყო - "დედა ბაეშვს ტირილისთანავე ძუძუს აჭმევდა, ძუძუთი აძინებდა და ძუძუთი ართობდა" (II, 124). ოღონდ ცდილობდნენ, ჩვილს ღამე არ ეჭამა - ღამე მშვიდი ძილი უნდა ჰქონოდა, ხშირად არ უნდა გაღვიძებოდა და არ უნდა ეტირა. თუ ბავშვი ღამე ტიროდა, ცუდის ნიშანი იყო - ეფ სულებს, ეშმაკებს დააბრალებდნენ და

სალოცავს - ჯეარს "საკლავებს შეუსახელებდნენ", ე.ი. შესაწირავს დაპირდებოდნენ.

დაბადებიდან მესამე დღეს კი დედა შვილს წმინდა ხორბლის, იშვიათად ქერის პურის ნამცეცს ჩაუდებდა პირში - "სთის ნაწილს შეაქმევდა" - ითვლებოდა, რომ "ხთისგან გაჩენილი", "ხთისგან გაჩენილ პურშიაც და კაცთაშიაც" არ უნდა ყოფილიყო "წილუდებელი". ხევსურების წარმოდგენით, მხოლოდ ამის შემდეგ ჩაუდგებოდა ყმაწვილს "კაცთფერი სისხლი", "მიეცემოდა - ფერ-ხორცი".

როგორც აღვნიშნეთ, სამი დღის შემდეგ ქალი სამშობიარო ქოხიდან სამრეელოში გადადიოდა. ტანს დაიბანდა, ტანსაცმელს გამოიცელიდა, ხალოგინე ჩალას ქვებს დააყრიდა ან დაწვავდა და მსუბუქად ნაშენებ ქოხს "ჭერსაც ზედ დააქცევდა", ე.ი. ქოხს დაანგრევდა. ქოხში ნაცვამ უწმინდურ ტანსაცმელს მდინარეში გარეცხავდა, რიყეზე დააფენდა და იქვე დატოვებდა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ქოხიდან სამრეელოში ქალი და ბავშვი აუცილებლად მზის ჩასვლის შემდეგ უნდა გადასულიყვნენ. სამრეელოში გადასვლის წინ, ქალი ბავშვსაც დაბანდა - ახალშობილს ცალ ხელზე გადაიწვენდა "ხელზე გადაიკიდებდა", სასლიდან მოტანილ თბილ წყალს პირში დაიგუბებდა და ჩვილს პირიდან ასხამდა. მეორე სელით კი ბანდა, ამავე წესით შეასხურებდა მას "იაზმას", ოჯახიდან გამოგზავნილ ნაკურთხ წყალს (III; 249). უფრო გაბედული დედები ბიქს ცივ წყალსაც გადაავლებდნენ - მაგარი გამოვაო. ასე აბანავებდნენ 4-5 თვემდე, სანამ დაჯდომას შეძლებდა, დაჯდომას კი ორი თვიდან ასწავლიდნენ. ირგველივ რბილ ნაჭრებს ან ჩალას დაუდებდნენ და ცოტა ხნით, მაგრამ ხშირ-ხშირად დასვამდნენ ხოლმე. საერთოდ კი ბავშვს ხშირად არ აბანავებდნენ, განსაკუთრებით თავის დებანას ერიდებოდნენ, გაციების შიშით, თავზე კარაქს უსვამდნენ და ფრთხილად ჩამოვარცხნიდნენ, სანამ თავის ძვლები - საფეთქლები არ ცაუმაგრდებოდა, ე.ი. ყიფლიბანდი არ შეეკვრებოდა. დაბანის შემდეგ ჩვილს ტანს კარაქით "გაუპოხავდნენ" "ხორცს დაურბილებსო". დაბადებისთანავე ბავშვს ასურავდნენ მატყლის

რბილი ძაფისაგან მოქსოვილ შალის ქუდს. აცმევდნენ შალის წინდებს. მექოხე ქალს ხამრელოში გადასვლის შემდეგ. მოგვარეები და მოკეთეები აკითხავდნენ და მორიგეობით მოპქონდათ საქმელი. უმეტესად ხავიწიანი ქადა და კუბატი (ნასევარსფეროს ფორმის ნამცხვარი) (XXIII; 213).

ორი კვირის შემდეგ ნაშობიარები ქალის ოჯახში ტარდებოდა განწმენდის რიტუალი "სახლის სანათლავი". ამ დროს იკვლებოდა საკლავი სახლის ანგელოზის სახელზე. მოპყავდათ ხუცესი (სალოცავის მთავარი მსახური), რომელიც სახლის ბანზე თავს მოსჭრიდა საკლავს - "სანათლავს" და იტყოდა: "ამითამც დიდი ხარ სახლის ანგელოზო, ამითამც მაგეცემის ძალაი და შაძლებაი, ამითამც გეძლეეის სიწმინდე ხიწირფლე, ნაზღობი (ძღვენი) მიიღი, დალოცვილო, შამაწირული შაიწირი სახლს, სახლის ჯალაფს, საქონს (საქონელს), კაცთ, საქონის ნაწველს, ხარის ნახნავს, კაცის ნამუშევარს, ბარაქა მიეც. შინ მაენეს, მაცილს (ავ სულს) ნუ შამაუშვეე, ავად მარხე (ცუდი საქმე) გაარიდი, მარცხით ბირკოლი აარიდი დალოცვილო სახლის ანგელოზო, სახლს, კაცს და საქონს, შინ მყოფს, გარეთ ნამყოფს ჯვარი დასწერი. აყად მარხე აარიდი, კა (ყარგი) საქმე უმარჯვი, სახლი ბედით და დაელათიო (დოელათით) აავსი, სახლს წალმ დაადექი, დალოცვილო, კაცთაც, საქონთაც მავნე, უუერი (ეშმაკი, ავი სული), მააშორი, ამ სახლში სულდგმული, კაციდ და საქონი შენ ებარავა (გაბარია) დალოცვილო, შენს ინაბარას (ინაბარას) არიან, შენ მამაგძანან ყამს და უყამოს, კა თვალ გული დაიჭირი ნუ ვაუუბარაქოვ (ბარაქის ნუ მოაკლებ) საქონს, ნაქონს. ამ სახლში დიდო სახლის ანგელოზო კაცნი ამრაკლენი, წულისწული მიუმატეო და ხსვ. (II; 129). ხუცესი საკლავს ყელს რომ გაჭოსჭრიდა, იქვე მდგომი მამაკაცი საკლავის ხისხლით გააუსებდა ორ ჯამს და ერთს ბანიდან მოშორებით მდგომ დედაკაცს მიაწოდებდა, რომელიც ამ ჯამს "მექოხე". ნაშობიარებ ქალს წაუღებდა გასანათლავად. განათელა ხამსსეერაპლო საკლავის სისხლით განწმენდას გულისხმობდა (IV; 127). ხოლო მეორეთი სახლს განაილავდა - ერთ ხელში

დაიჭერდა სისხლით სავსე ჯამს და მეორე სელში ბალახის ან ჩალის პატარა კონას, რომელსაც სისხლში დაასველებდა და მოაპკურებდა სახლის ყველა კუთხე-კუნჭულს. სისხლით განათლავდა ასევე ყველა იმ ადგილს, სადაც "თევში ჩამდგარ" ქალს სამშობიარო ქოხში წასვლამდე უსდებოდა მისვლა-მოსვლა.

საკლავის სისხლით სავსე მეორე ჯამი კი, როგორც აღვნიშნეთ, მიჰქონდათ სამრეკლოში და იქ სდებოდა ნამშობიარები ქალისა და ბავშვის, მათი ყველა ნივთის თუ ტანსაცმლის განწმენდა-განათვლა. ამავე დროს სახლის სანათლავის რიტუალის წინ, როგორც წესი, ქალის ოჯახის წევრები, ახალნამშობიარები და ახალშობილი აუცილებლად უნდა განბანილიყვნენ, სუფთა ტანსაცმელი ჩაეცვათ, ბავშვის სალოგინე ჩალა გამოეცვალათ.

სახლის სანათლავის რიტუალთან ერთად, ქალის ოჯახში ტარდებოდა ე.წ. *ჭელებზე ასხმის* რიტუალიც, რომელიც, როგორც ჩანს, უშუალოდ ოჯახის წევრების მფარველი ანგელოზისადმი იყო მიმართული. ნამშობიარები ქალის დედამთილი ან ოჯახის წევრი რომელიმე ქალი გამოაცხობდა ქადებს. ოჯახის თითოეული წევრი ხელში დაიჭერდა ქადასა და ანთებულ ხანთელს (ან შესოლოდ სანთელს, ქადები კი ტაბლაზე - მაგიდაზე ეწყო). ხუცესი ან ოჯახის უფროსი მამაკაცი გააღიდებდა (დიდებას ეტყოდა) ოჯახის წევრების მფარველ ანგელოზებს და სალოცავს მოიხსენიებდა, უმცროსი მამაკაცების შემდეგ კი ქალების მფარველ ანგელოზებს გააღიდებდა, ეტყოდა: ღმერთმა გადიდას, ღმერთმა გაგიმარჯვას, ამაზე მდგომო, მფველო (ე.ი. მფარველო) ანგელოზო (სელით აჩვენებდა ოჯახის იმ წევრზე, რომლის ანგელოზს თუ სალოცავს გაადიდებდა). ამითამც დიდი ხარ, ამითამც ძლიერი ხარ, ამითამც გაქვს სიწირფლე თუ რა ღრეჩელი გძეს ამითამც გეხდებისო (II, 138).

ოჯახის წევრებთან ერთად ორივე რიტუალში მონაწილეობდა მშობიარის "დამხმარე ქალი" და სდებოდა მისი განათვლა-განწმენდაც, რადგანაც იგი, როგორც თვით

მშობიარე. განათვლამდე უწმინდურად ითვლებოდა.

ამგვარად, მშობიარობიდან ორი კვირის შემდეგ, ქალის ოჯახში ტარდებოდა *სახლის სანათლაოს* და *ხელებზე ასხმის* რიტუალები, მათგან, პირველი სახლის ანგელოზისადმი იყო მიმართული, ხოლო მეორე ოჯახის წევრების მფარველი ანგელოზებისადმი და სასლის, ოჯახის წევრების, მელოგინისა და მისი დამსმარე ქალის განწმენდას გულისხმობდა.

ამ რიტუალების ჩატარების შემდეგ ნამშობიარები ქალი "საწმინდარში გავიდოდა". ეს იმას ნიშნავდა, რომ ქალი ნაწილობრივ განწმენდილი იყო. სამრეკლოში შესული ახალნამშობიარები ქალი ორი კვირა, მესამრეკლოე ქალებზე უფრო უწმინდურად ითვლებოდა. მას მესამრეკლოე ქალები არ ეკარებოდნენ. იგი სამრეკლოს კარებთან განცალკეევებით იწვა ან იჯდა. ზემოაღნიშნული რიტუალის ჩატარების, ე.ი. "საწმინდარში გასვლის" შემდეგ ნამშობიარები ქალი ნაწილობრივ განწმენდილი იყო. იგი უკვე, თუ შეიძლება ასე ითქვას, სიწმინდის ხარისხით მესამრეკლოე ქალების დონეზე ადიოდა. მესამრეკლოე ქალებს მასთან ურთიერთობის ნება ეძლეოდათ. ამავე დროს მას უკვე უფლება ჰქონდა შეხებოდა მამაკაცის ნივთებსა თუ ტანსაცმელს (შეეკერა ან მოექსოვა და სხვა), რაც ორი კვირის მანძილზე, საწმინდარში გასელამდე ეკრძალებოდა. შეეძლო გასულიყო სამკალსა და ხათიბში თუ ეს აუცილებელი იყო, მაგრამ არა სალოცავის ასლომახლო ტერიტორიაზე და სხვ.

სამრეკლოში ბავშვი დედის უბეში აღარ იწვა. აქ მას "კორნეს" მოუმზადებდნენ (იშვიათად აკვანს). კორნე ასალდაბადებული ბავშვისთვის სპეციალურად მომზადებული წნელისაგან მოწნული დაბალი, მოგრძო, უსახელურო საწოლი იყო. კორნეს ძირი ბრტყელი ჰქონდა და არ ირწეოდა. შიგ "ნასეკერამდე" რბილი ჩალა ეგო. კორნეში ხიჩონში შეხვეულ ბავშვს ჩააწვენდნენ. ხიჩონი, როგორც აღვნიშნეთ, მსხვილი მატყლის ძაფისაგან, მჭიდროდ ნაქსოვი ქსოვილია, ერთი გრძელია, მეორე შედარებით მოკლე. გრძელ ხიჩონში ბავშვი გულმკერდამდეა გახვეული. მოკლე კი გულმკერდზე აქვს

შემოხვეული. შესვლის შემდეგ სიჩონებში გასვეულ ბაეშვს ძაფებით შეკრავდნენ, ე.ი. მატყლის გრძელ ძაფებს გადაახვევდნენ სიმაგრისათვის. კორნეში ბავშვს თაეი აღმოსავლეთისაკენ უნდა ჰქონოდა თვალებით დასავლეთისაკენ უნდა ეეურებინა. ჩაწვენის და ამოყვანის წინ დედა ეტყოდა: "ჯვარიმც გწერავ ცხრაჯერ ცხრა წმინდის გიორგის დაწერილიო". კორნეს ქვეშ სმალს ან ხანჯალს ჩაუდებდნენ, თავსა და ფეხქვეშ ნასშირს ამოუდებდნენ, ავი სულებისა და ავი თვალისაგან დასაცავად. საშრელოში ყოფნის შემდეგ ქალი სახლში გადადიოდა.

როგორც ვ. ბარდაველიძე აღნიშნავს: "შელოგინე "საშინაო" ხდება (ე.ი. სახლში დაბრუნება შეუძლია, ნ.მ.) მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის ერთ თვეს, ან ექვს კვირას დაჰყოფს საშრელოში, ისიც იმ მომენტიდან, როდესაც ჩაატარებს ვ.წ. "შატუსვას", "შაფსუკებას" და "გადმოწკეპას"... როდესაც ქალი თავის ქმარ-შვილის ბინაში ბრუნდება, საშრელოში გაკეთებული ხელსაქმე მან უნდა ცეცხლზე გადაატაროს სიტყვებით: "ცეცხლო, შენ სიწმინდე მიეცი" ("შატუსვა"), შემდეგ გარეთ გამოიტანოს და დაბერტყოს ("გამოწკეპა") და, უკანასკნელად, პირით წყალი შეასხას ("შაფსუკება").. ყველაფერი, რაც ქალთან ერთად სახლში ბრუნდება (აკვანი, კორნე, ჯამი, რეინეული და სხვ.), განიწმინდება თავისი ბავშვით და ბარგით ქალი ქმრის ოჯახში ხალამო ხანს, მზის ჩასვლის შემდეგ შედის (V; 250).

ამავე დროს ქალის ოჯახში იწვევენ ხუცესს. ქალის სათაესოდან (ქალის კუთვნილი საქონელი) იკვლება საკლავი - ცხვარი ან ხბო და ხდება ქალის სახლის და მისი ოჯახის მორიგი განათვლა (XIII; 184). ამ რიტუალში მთავარი მელოგინის განათელა იყო. ხუცესი სახლის ბანზე ცხვარს დაკლავდა, ცხვრის სისხლს მელოგინეს ხელებზე გადაავლებდა და "შუბლზე და გულ-მხარზე ჯვარულად წააცხებდა", ჯვარს გამოუსახავდა (XIII; 184).

აქვე აღვნიშნავთ, რომ ქალს განათვლის შემდეგაც არ ჰქონდა ჭერხოში ასვლის, ე.ი. საკრალურთან ურთიერთობის

უკლება, რაც მას მსოლოდ 9 კვირის შემდეგ ეძლეოდა.

სახლში გადასვლის შემდეგ ჩვილს აკვანში ჩააწვენდნენ. აკვანში, ისევე როგორც კორნეში, ჩაწვენის დროს იტყოდნენ: ჯვარიმც გწერავ ცხრაჯერ ცხრა წმიდის გიორგის დაწერილიო. ხევსურული აკვანი* უშიბაქოა, შეკრულია ოთხი კარგად გამოთლილი ფიცრისაგან, ორი მოგრძო ფიცარი გვერდისაა, მოკლე კი "თავ-ფეხითისა". ფიცრებს ძირებს გაუთლიდნენ, ე.წ. "საგოგებს" - ფესებს გაუკეთებდნენ, რომ აკვანი კარგად დარწეულიყო. "თავ-ფეხის ფიცრებს" ზედა მომრგვალებულ ნაწილში გასვრეტდნენ და აკვნის "ულელს" -სახელურს გაუყრიდნენ. გვერდის ფიცრებს ძირში რამდენიმე ადგილას გახვრეტდნენ და პატარა ჯოხებს გაუყრიდნენ, რაზედაც ორ მოგრძო ჯოხს ჩამოკიდებდნენ. ჯოხებზე კი მსხვილი ძაფისაგან დაწნულ "გადასაკრავს" დაამაგრებდნენ, რაც არტასის ფუნქციას ასრულებდა. აკვანში ჯერ ხის რამდენიმე წერილ ტოტს დადებდნენ, შემდეგ შვრიის ან ქერის რბილ ჩალას ჩააფენდნენ, მერე ხიჩონებს გადააფარებდნენ - პირველად აკვნის სიგრძეზე გრძელ ხიჩონს დააფენდნენ და ბავშვს ფეხებიდან მთელ ტანზე შემოასვევდნენ, მერე გულ-მკერდის ხიჩონს გადააფარებდნენ ორივე მხრიდან და ხელებს დაუმაგრებდნენ. თუ ზამთარი იყო, ზევიდან ბატკნის ტყავს დაახურავდნენ, შემდეგ კი გადასაკრავს "დაახლართავდნენ". ე.ი. გადასაკრავს გადააკრავდნენ, რომ ბავშვის ხელ-ფეხს არ ეშოძრავა და ძილი არ დაფრთხობოდა.

უნდა აღენიშნოთ, რომ ხევსურები ბავშვს ფეხებს არ "გაუკოჭავდნენ", ჩვილი აკვანში ფეხებგაშლილი იწვა. აკვნიდან ხშირად ამოიყვანდნენ, ბავშვი უნდა "გაიშალოს - ამოძრავდესო". ჩვეულებრივ აკვნის ფეხზე თოკი იყო გამობმული და, როცა დედა სელსაქმობდა, აკვანს თოკით არწევდა.

---

* გამოთქმულია მოსაზრება, რომ ხევსურული აკვანი, საქართველოში XIII ს-მდე აღმოსავლეთის მომთაბარე ტომების მიერ შემოტანილი აკვნის დამკვიდრებამდე გავრცელებული ბავშვის საწოლის მსგავსი იყო (X, 27).

აკვანში ჩაგებულ სალოგინეს ხშირად ცვლიდნენ, ხიჩონს კი არა. როცა დასველდებოდა, რბილ ჩვრებს შეუფენდნენ ხოლმე. აკვანზე ჩამოკიდებილი იყო: ურძნის ხის (Viburnum lantana L.) მძივები და სხვადასხვანაირი შელოცვილი სამკაულები ავი თვალის საწინააღმდეგოდ, ლორის კბილი, არწივის ფესი კი - ავი სულების დასაფრთხობად. ამავე მიზნით აკვნის ქვეშ იდო ხანჯალი, ხმალი ან თოფის ტყვია, ბავშვს თავსა და ფეხებქვეშ კი ნასშირი ჰქონდა ამოდებული.

დედა ჩვილს ძუძუს უმეტესად აკვანში აწოვებდა ხან ერთი მხრიდან, ხან მეორედან, ჩვილს თავი რომ არ გამრუდებოდა და თვალები არ დაელმებოდა; განათება უკანა ან მხოლოდ ცალ მხარეს რომ არ ჰქონოდა აკვანს ხშირად უცვლიდნენ ადგილს, რადგან, მათი შეხედულებით, ბავშვს თვალები სინათლისკენ "გადერბოდა", თუ უკნიდან ექნებოდა სინათლე თვალები შუბლისაკენ "წაუვიდოდა", ხოლო თუ მხოლოდ "ცალ გვერდზე", ე.ი. ერთი მხრიდან - თვალები მხოლოდ ამ მხარეს დაუფიქსირდებოდა და გამოიწვევდა სიელმეს, როგორც თვითონ ამბობდნენ "თვალების გამრუდებას". რასაც იწვევდა აგრეთვე ბავშვის თავის გაციება. მას მხოლოდ "თავის სითბოთი" მკურნალობდნენ - ტყვიასა და სანთელს ერთად გადაადნობდნენ და ბავშვის თხემის ძვლის ახლოს, ცხვირის მიმართულებით "ჩამოასხამდნენ", ისეთ მანძილზე, რომ ეს პროცესი ბავშვის თხემის ძვალთან ახლო ყოფილიყო ოღონდ კანს არ უნდა შეხებოდა. შესაძლებელია, სითბური მოქმედების გარდა, ერთად გადადნობილ ცხელ ტყვიასა და სანთელს გარკვეული ხახის გამოსხივება ჰქონდა და დადებითად მოქმედებდა ახალშობილზე. იცოდნენ აგრეთვე ოდნავ ცხელი ხავიწის (ერბოში მოხარშული ფქვილის) ბავშვის საფეთქლებზე დადება. საფეთქლებს ჯერ რაიმე ჩვარს დაადებდნენ, შემდეგ ხავიწს და თავს შეუხვევდნენ. ეს თვალების გამრუდების მკურნალობის უებარ საშუალებად ითვლებოდა.

ბავშვს თუ "ლაჯები" გამოეწვებოდა - "გამოეყელებოდა"

დედის რძეს ან კარაქს, ძალიან დამწვარზე კი კარაქში აზელილ ნახშირის ფხვნილს წაუსვამდნენ ხოლმე.

როგორც თანამედროვე ლიტერატურიდან ცნობილია, ბავშვის აკვანში გაზრდა მიზანშეწონილი არ არის*. აკვნის მთავარი ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ ბავშვი აქ მჭიდროდ შეკვეული, მაგრად გაკრულია, გაშლილად და ლაღად არ წევს, თავისუფლად ვერ მოძრაობს, თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, სევსურულ აკვანს ამ მხრივ გარკვეული უპირატესობა აქვს, ბავშვი მსუბუქად არის შეხვეული და შედარებით თავისუფლად მოძრაობს.

მიუხედავად აკვნის ზემოაღნიშნული უარყოფითი თვისებებისა, იგი მაინც პოპულარული იყო საქართველოს მოსახლეობაში და ალბათ ამას თავისი მიზეზები ჰქონდა. პირველ რიგში ის, რომ აკვანში ჩაკრულ ბავშვს დედა ადვილად უვლიდა. ბავშვი აკვნიდან არ გადმოვარდებოდა, აკვნის გადაბრუნების შემთხვევაშიც კი იგი რამდენადმე დაცული იყო. ბავშვის შალის გადასახვევი - სიჩონი სისველეს კარგად ატარებდა და ნაკლებად ინარჩუნებდა. ბავშვის დაძინებასაც დედა ისე ახერხებდა, რომ სამუშაოს, მაგ. ხელსაქმეს არ მოსცდებოდა და სხვ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ აკვანი გარე სამუშაოების დროსაც სამკალში თუ სათიბში დედებს თან დაჰქონდათ. როგორც ვაჟა-ფშაველა აღნიშნავს: "სიცხე-პაპანაქებაში ხშირად პნასავთ ფშაველის დედაკაცს საღმე ფერდობში ყანახ ჰმკიდეს გაცხარებული, ხოლო იქვე პალოებზე აკვანი იყოს მიბმული, რაშიც ბავშვი წევს ხის ტოტებით დაჩრდილული, მოსაგრილებელი" (IX, 351).

სწორედ ეს უკანასკნელი გარემოებანი, როგორც ჩანს, ამსუბუქებდა აკვნის ნაკლს და განაპირობებდა მის პოპულარობას ქართველი ხალხის ყოფაში.

ამგვარად, ჩვენ განვიხილეთ მშობიარობასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები ხევსურეთში, სადაც

---

* აღნიშნულ საკითხზე იხ. (XI).

აშკარად ჩანს როგორც უძველესი რელიგიური პლასტები, ისე შემდეგი სანის დანაშრევები.

პირველ რიგში ყურადღებას იმსახურებს ქალის მშობიარობა მიწაზე, ჩალაზე, რომლის უპირატესობა ერთ-ერთ ხევსურულ თქმულებაშია ახსნილი. ამ თქმულების მიხედვით, საღამოს შინ დაბრუნებულ დაღონებულ მზეს მზის დედა დარდის მიზეზს ეკითხება. მზე უპასუხებს, რომ დაადარდიანა მშობიარე ქალმა, რომელიც სამი დღე წვალობდა, მაგრამ შვილს ვერ აჩენდა. აღმოჩნდა, რომ ხალხით გარშემორტყმული ქალი მშობიარობდა "გაკირულ" ე.ი. შელესილ სასლში, ოქრომკედით ნაქსოვ ხალიჩაზე. მზის დედამ ძნელად მშობიარობის მიზეზად სწორედ ეს ჩათვალა და შვილს ასწავლა ქალი როგორ მოქცეულიყო: "მშობიარე ქალს ის უშველის, რომ რიყეზე აუშენონ "ღორღის ქოხი" (წვრილი ქვის ქოხი) ზედ ჩალით გადასურონ, ქვეშაც ჩალა გაუშალონ. ქოხში მარტო მშობიარე ქალი შავიდას სხვა ნურვინ შეხყვების და ქალი ჩალაზე მუხლის კვერებით (მუხლის თავებით - ნ.მ) დაჯდეს და მაშინვე გაუჩნდეს შვილიო (II; 12).

მდიდარი ეთნოგრაფიული მასალის და ჩვენ მიერ ზემომოყვანილი ხევსურული თქმულების ქართლ-კასური ვარიანტების განხილვის შედეგად, ვ.ბარდაველიძემ დაასკვნა, რომ მიწაზე მშობიარობა გავრცელებული იყო მთელ საქართველოში და არა მარტო დაბალ სოციალურ ფენებში, არამედ არისტოკრატიულ წრეებშიც.რის საბუთად მიაჩნია ვახტანგ ბატონიშვილის შემდეგი ცნობა: "რა ჟამს განთავისუფლდეს ქალი იგი და იშვას ყრმა... *დღესა მესამესა* ჟამსა ბინდისასა შეაწვენენ ქალს ტასტსა ზედა..." (VII; 18-19).

ვ. ბარდაველიძის აზრით, "ქალი თავის ურთიერთობაში მიწასთან მეტად ახლო დგას, რომ ის დედა-მიწის ღვთაების წინაშე, თუ შეიძლება ხევსურული გამოთქმა ვიხმაროთ, წილნაყარია". ამავე დროს იგი შესაძლებლად თვლის საქართველოში დამოწმებული მშობიარობის წესების კავშირს დემეტრას კულტთან (II; 272).

მნიშვნელოვანია ერთი ფაქტი - წმ. ნინოს ცხოვრების ამსახველ ქართულ წერილობით წყაროებში ("მოქცევაი ქართლისაი", "არსენ ბერის თხზულება" და სხვ.) შემონახულია ერთი ცნობა, რომლის მიხედვით სამეუფეო სამოთხის მცველ ცოლ-ქმარს (ანასტასსა და მის მეუღლეს) შვილები შეეძინათ მხოლოდ სამეუფეო სამოთხის "ნაძუთა ქუეშე ბაბილოთა" შვილიერების მიმცემი მიწის ჭამის შემდეგ. ნ.ხაზარაძის აზრით: "ამ ცნობაში ასახულია, როგორც მიწისაგან ადამიანის შესაქმისა და მიწითა და წყლით ნათლისღების შესახებ არსებული თვალსაზრისები, ასევე დედამიწის კულტთან დაკავშირებული ქართველთა უძველესი რწმენა-წარმოდგენები" (XXIV; 59).

ირ. სურგულაძე აღნიშნული საკითხის შესახებ წერს: "ქართველთა წარმოდგენით, მიწა დედურ საწყისს განასახიერებს, ეს მოდელი ორიგინალური არ არის და თითქმის სრული სიზუსტით მეორდება მთელ ძველ სამყაროში, ანალოგიური ვითარება განსაკუთრებით თვალნათლივ ჩანს ბერძნულ მითოლოგიაში, ქალისგან ყრმის შობა გაიგივებული იყო მიწისაგან ნაყოფის შობასთან (XVIII; 82).

ამგვარად, მიწაზე მშობიარობის უძველესი წესი, რომელიც შემდგომ პერიოდში ტრადიციად იქცა, ხევსურეთში დასტურდება მითოლოგიური სიუჟეტით. საინტერესოა, რომ საქართველოს სხვა კუთხეებში, იქ, სადაც ქალი მიწაზე აღარ მშობიარობს, მაინც აქტიურია მიწის სიმბოლიკა სამშობიარო ადგილზე, მიწის დაყრის ან ჩალის დაფენის სახით მშობიარობის ტრადიციულ წესებში. მიწაზე მშობიარობა ერთ-ერთი უძველესი პლასტია და მიწის დედურ საწყისთან, მიწის ნაყოფიერების რწმენასთან არის დაკავშირებული.

როგორც აღვნიშნეთ, მშობიარობის დროსა და მშობიარობის შემდეგ ხევსურული რწმენა-წარმოდგენების მიხედვით ქალი უწმინდურია. აქ გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე ადგილობრივ კოსმოგონურ წარმოდგენებს, რომლის მიხედვით სამყარო ვერტიკალურ ჭრილში

წარმოადგენს ზესკნელს ანუ ზეცას, ღვთაებათა სამყოფელს, ქვესკნელს - საიქიოს, შავეთს - ავ სულთა და უწმინდურთა სამყოფს და სკნელს - სამზეოს - ადამიანთა, ცხოველთა, მცენარეთა - სამყაროს (XIX; 82).

ჰორიზონტალური სამყარო კი წარმოადგენს "გარეს" - ქაოსურ მოუწესრიგებელ სივრცეს - უწმინდურთა და ავ სულთა სამყოფს, და "შინას" - მოწესრიგებულ ადამიანთა საზოგადოებას, ცხოველებისა და მცენარეების სამყაროს (XVIII; 134).

"შინა" სოციალური ჯგუფისა და ინდივიდის საარსებო მოწესრიგებული სივრცეა, რომელიც ისევე უპირისპირდება "გარეს", როგორც კოსმოსი-ქაოსს. "გარეს" გააზრებაში შენარჩუნებულია "ქაოსური" ბუნება და ამიტომ თუ "შინა" საკრალური და წმინდაა, "გარე" შეიძლება უწმინდური და მავნე იყოს (XVIII; 134).

მშობიარე ქალი, როგორც უწმინდური, "შინადან" - "გარე" სამყაროში - უწმინდურთა სამყოფში გაიდადის და მის უკან დაბრუნებას - "შინ მიბრუნებას" გარკვეული დრო (40 დღე) სჭირდება*.

ამ პერიოდში ხდება ქალის გაწმენდა ეტაპობრივად. ხამი დღე მშობიარობის შემდეგ, როდესაც ქალი სამშობიარო ქოხშია, ყველაზე უწმინდურად ითვლება. მას ეკრძალება შინა სამყაროსთან თითქმის ყოველგვარი ურთიერთობა. განსაკუთრებით კი შეხება საკრალურთან. არ შეუძლია ახსენოს სალოცავის, წმინდანის სახელი, იშვიათად, მსოლოდ განსაკუთრებული გაჭირვების დროს, საშველად შეუძლია მიმართოს ხახმატის ჯვარსა და დედა მარიამს (II; 98).

ბავშვის დაბადების დღეს, ქალი თვითონ გადაიცვლებს წყალს, დაიბანს ტანს, მესამე დღეს კი კვლავ განიბანება თვითონ და აბანავებს ბავშვს, გადაიცვლებს ნაკურთხ წყალს თვითონ და

*ქალის სამრეველოდან სახლში გადასვლის დრო სხვადასხვა ავტორის მონაცემების მიხედვით მერყეობს 4-დან 6 კვირამდე. ვფიქრობთ, რომ ეს დრო, ისევე როგორც მთელ საქართველოში 6 კვირით, უფრო სწორად 40 დღით განისაზღვრებოდა, რომელიც ქალის ხაოჯახო საქმიანობაში ადრეულად ჩართვის მიზნით ზოგჯერ ირღვეოდა.

გადააცვლებს ბავშვსაც. ე.ი. ატარებს თავის განწმენდის პირველ და ბავშვის განწმენდის პირველ რიტუალს. წვავს სალოგინე ჩალას, მდინარეში რეცხავს ტანსაცმელს, რომელსაც იქვე რიყეზე ტოვებს და ბოლოს ქოხსაც "ჩამოაქცევს", დაანგრევს.

საინტერესოა, რომ მენსტრუაციის მქონე უწმინდურ, მირეულ ქალს, ხევსურეთში "გარეთ მყოფს" უწოდებენ, რაც მიუთითებს, რომ იგი ამ პერიოდში გარე სამყაროს მკვიდრია. ამ კუთხით საინტერესოა ძველი ქართული ტერმინი "გარეშე მჯდომელი", რომელიც ილ. აბულაძის განმარტებით, "დედათა წესის მქონეს ეწოდება"(1).

როგორც ცნობილია, წარმოდგენა მენსტრუაციის მქონე, მშობიარე და მელოგინე ქალის უწმინდურობის შესახებ უძველეს და ფართოდ გავრცელებულ რწმენა-წარმოდგენათა რიგს განეკუთვნება. ასევე არქაულია ამ პერიოდში ქალის იზოლირების წესი, განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ზემოაღნიშნული ბიბლიურ ტრადიციასაც წარმოადგენს. უწმინდურობის პერიოდში, ე.ი. მენსტრუაციის დროს და მშობიარობის შემდეგ 40 დღის (ვაჟის გაჩენის შემთხვევაში) და 80 დღის (ქალის გაჩენის შემთხვევაში) მანძილზე ქალი იმყოფებოდა ე.წ. "განწმენდის ხისლში".

1. ელაპარაკა უფალი მოსეს და უთხრა:

2. ელაპარაკე ისრაელიანებს: თუ დედაკაცი დაორსულდება და ვაჟს გააჩენს, შობის შემდეგ შვიდ დღეს უწმიდურია იგი. როგორც წიდოვანების დროს, ისე უწმინდურდება.

3. .....

4. ოცდაცამეტი დღის მანძილზე უნდა დარჩეს ქალი განწმენდის ხისლში; წმიდას არაფერს შეეხოს, არც ტაძარში შეეიდეს, ვიდრე განწმენდის ვადა არ გავა.

5. თუ გოგო შვა, ორ კვირას იქმნება გაუწმიდურებული, როგორც წიდოვანების დროს. ხამოცდაექვსი დღის მანძილზე

უნდა დარჩეს განწმენდის სისხლში (VIII, ლევიანნი 12; 1-5)*.

ამგვარად, მშობიარობის შემდეგ ქალი იზოლირებული იყო, განსაკუთრებით პირველი 7 დღე, როდესაც იგი ისევე უწმინდურად ითვლებოდა, როგორც მენსტრუაციის დროს. გაშორიცხული არ არის, რომ ამ პერიოდში ქალი სახლის გარეთაც ყოფილიყო, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ დედათწესიან ქალს *გარეშე მჯდომელიც* ეწოდებოდა (I), ე.ი. გარე სამყაროს მკვიდრად იყო მიჩნეული.

საყურადღებოა, რომ სულხან-საბა ორბელიანი, სახლის დეფინიციის დროს, გამოყოფს სამშობიარო სახლს, რომელსაც კეიტონს უწოდებს. "კეიტონ - არს სახლი (იქ სადა დედანი შვილთა შობენ, გინა სახლი სალხინო) (XVI), ეს ტერმინი ბერძნულია და საწოლს, საწოლ ოთახს ნიშნავს. უნდა ვიფიქროთ, რომ აქ იგულისხმება საწოლი ოთახი, სადაც ქალი მშობიარობდა. მაგრამ სულხან-საბა კეიტონს სახლად, ცალკე ნაგებობად მიიჩნევს. ეს უკვე განსხვავებულ აზრს ბადებს და მომავალი კვლევის საინტერესო პერსპექტივას ხსნავს.

სამშობიარო ქოხის შემდეგ, როგორც აღვნიშნეთ, ქალი გადადის სამრეცლოში, რომელიც ასევე "შირეული", უწმინდურ ქალთა სპეციალური შენობაა. მაგრამ მშობიარე ქალი მესამრეცლოე ქალთან შედარებით, უფრო უწმინდურად ითვლება, ამიტომ მას ახალშობილთან ერთად აწვენენ განაპირას, კარების ახლოს და ორი კვირა ძალიან ერიდებიან. მის ნივთებს, ჭურჭელს, ტანსაცმელს ასლოს არ ეკარებიან (V; 67)

განწმენდის შემდეგი ეტაპი მშობიარობიდან ორი კვირის იავზეა, როდესაც ქალის სახლში ტარდება ჩვენ მიერ ზემოაღწერილი "სელებსე ასსმისა" და "ხაჩლის ხანათლავის" რიტუალი. ამას, რი.გორც აღვნიშნეთ, "ხაწმინდარში გასვლა"

---

* ვეფა-ფშაველა თავის ეთნოგრაფიულ ნაწერებში ეხება დედათაწესიანი ქალების უწმინდურობის საკითხს და მიიჩნევს, რომ "ეს ჩვეულება ებრაულია, ეთანხმება მოსეს რჯულსა და უძველს ხარჩულად ხარწმუნიებრივი მოსაზრება, ხოლო ხაფუძველად ჩვეულება" (IX , 350).

ჰქვია, ამ რიტუალის შემდეგ ქალი ნაწილობრივ განიწმინდება. შეუძლია ხელი შეახოს მამაკაცის ტანსაცმელს და ავი სულებისაც ნაკლებად ეშინია.

განწმენდის მორიგი რიტუალი უკვე დაახლოებით 4-6 კვირის, 40 დღის შემდეგ ისევ ქალის სახლში ტარდება, როდესაც ქალი, ახალშობილთან ერთად, ოჯახში ბრუნდება, ებმება ოჯახის ჩვეულებრივ საქმიანობაში. მაგრამ ჯერ კიდევ არ არის სრულიად განწმენდილი, მას არ შეუძლია ჭერსოში ზედა სართულში, მამაკაცთა საძინებელში, სასლის ყველაზე წმიდა ადგილში ასვლა.

განწმენდა-განათვლის უკანასკნელი ეტაპი 9 კვირის შემდეგაა, როდესაც ქალი საბოლოოდ განიწმინდება და შეუძლია საკრალურთან უთიერთობა.

პირველი განბანის გარდა, ქალის განწმენდის რიტუალები სრულდება თავის ოჯახში და გულისხმობს ხუცესის მიერ დაკლული საკლავის სისხლით თავისივე ოჯახის წევრებისა და სასლის, ბოლოს, თვი ქალის განათვლას.

როგორც ვხედავთ, განწმენდის ამ ეტაპების შედეგად ხდება ქალის თანდათანობით გარედან შინ დაბრუნება-გადანაცვლება ჰორიზონტალურ სივრცეში სამშობიარო ქოხიდან, სამრეელოში, შემდეგ კი უკვე სახლში. ამავე დროს უნდა ვიფიქროთ, რომ ხდება ქალის გადანაცვლება ვერტიკალურ სივრცეში, ქვევიდან-ზევით მიწიდან-ჭერხოში. როგორც ზ. კიკნაძე აღნიშნავს: "გზა, რომელსაც გაივლის დედაკაცი ახალშობილთან ერთად ბოსლიდან ჭერხომდე, სიმბოლურად გამოხატავს ჯვარისაკენ მიმავალ განწმენდის გზას, აღმავალ გზას შობის ადგილიდან ჯვარამდე" (XII: 223).

ამგვარად, ქალის განწმენდას, მის დაბრუნებას გარედან შინ ჭირდება 40 დღე, ასევე 40 დღე ჭირდება ბავშვის გარედან შინ უწესრიგო ქაოტური სამყაროდან - მოწესრიგებულ სამყაროში შემოსვლას.

საინტერესოა, რომ ეს სწორედ დროის ის მონაკვეთია, როდესაც მიცვალებულის სული ტოვებს *შინას* და გადადის *გარე* სამყაროში, საიზეოდან მიდის საიქიოში. ამ კუთხით ყურადღებას

იმსახურებს ერთი დეტალი: ბავშვის "კორნესა და აკვანს ისე დადგამდნენ, რომ ბავშვს თავი აღმოსავლეთისაკენ ჰქონოდა, შებრუნებით დაწვენა არ შეიძლებოდა, იტყოდნენ: "არ ვარგა "ყმაწვილისადო" - ისე მკვდარს აწვენენო თავი დასავლეთისკენ და ფეხებით აღმოსავლეთისკენო". ამიტომ ყმაწვილი თვალებით დასავლეთისკენ უნდა იყურებოდეს, აღმოსავლეთს კი არ უნდა ხედავდესო" (II: 124). ეს კი იმაზე მითითებს, რომ, ხევსურული რწმენა-წარმოდგენების მისედვით, ახალშობილის *გარედან შინ* შემოსასვლელი და მიცვალებულის სულის *შინიდან გარეთ* გასასვლელი გზა ერთი და იგივე იყო და მათ მიერ ამ გზის გავლას, სხვადასხვა მიმართულებით, დროის ერთი და იგივე სანგრძლივობა - 40 დღე ჭირდებოდა*.

ამ კუთხით საინტერესოა ხევსურული რწმენა-წარმოდგენების ანალიზის საფუძველზე ზ.კიკნაძის მიერ გამოთქმული მოსაზრება: "ადამიანი როცა იბადება, ის უწმინდური იბადება; როცა კვდება ადამიანი, ის კვლავ უწმინდური ხდება. "ცივი", როგორც მიცვალებულს უწოდებენ ტაბუირებულ ენაზე, ჯვარისაგან განრიდებულია; ისევე შორს არის ჯვრისაგან, როგორც ბოსელში თუ ქოხში ახლადშობილი ყრმა ... დამმარხველნი ტანს განიბანენ, როგორც ახლად მოლოგინებული და ასლად შობილი იწმინდებიან. ზოგიერთ ხაყმოში, მაგ., არხოტში, "მიცვალებულს ასვენებენ ბოსელში"... ჩანს, საყმო რაღაც საიდუმლო კავშირს ხედაკდა ადამიანის შობასა და სიკვდილს შორის" (XII, 223-224).

როგორც აღვნიშნეთ, ქალი და ბავშვი 40 დღე უწმინდურ გარემოში იმყოფებიან და ხდება მათი მხოლოდ ნაწილობრივ განწმენდა, ამიტომ მათ განსაკუთრებით ერჩიან ბოროტი ძალები, ავი სულები. სწორედ ამიტომ ამ პერიოდში

* შუა აზაის მკვიდრთა, კერძოდ ტაჯიკების რწმენა-წარმოდგენების ანალიზის შედეგად, გამოთქმულია მოსაზრება, რომ დაბადებიდან 40 დღის მანძილზე ბავშვი იმქვეყნიურისა და ამქვეყნიურის, ხაიქოსა და ხააქოს, მიცვალებულთა და ცოცხალთა ხამყაროს გასაყარზეა და განიცდის გარდაცვლილ წინაპართა სულების ზეგავლენას მისი უკან - ხაიქოში დაბრუნების მიზნით (XXI.137).

განსაკუთრებით ფართოდ იყენებდნენ ავი სულებისგან დასაცავ სხვადასხვაგვარ მაგიურ წესებსა თუ საშუალებებს. 9 კვირის შემდეგ კი, როდესაც სრულდება განათვლის - განწმენდის საბოლოო რიტუალი, შეიძლება ბავშვის სალოცავში მიბარებ., რაც, როგორც აღვნიშნეთ, სალოცავის მიერ ბავშვის მფარველობის ქვეშ აყვანას, მისთვის "მცველი ანგელოზის" მფარველობის მინიჭებას გულისხმობს.

საინტერესოდ გვეჩვენება ერთი ფაქტი. როგორც აღვნიშნეთ, 40 დღის მანძილზე, ხევსურების რწმენა-წარმოდგენების მიხედვით, უწმინდურ მელოგინესა და ახალშობილს განსაკუთრებით ერჩიან ბოროტი ძალები, ამიტომ მათ გაყვანას ქოხიდან თუ სამრელოდან მზის ჩასვლის შემდეგ, რაც ავსულთა აქტიურობის დროდ ითვლებოდა, ერიდებოდნენ. მიუხედავად ამისა, მელოგინისა და ჩვილის გადასვლა ქოსიდან სამრელოში და სამრელოდან სასლში უნდა მომხდარიყო აუცილებლად საღამოს, მზის ჩასვლის შემდეგ. საინტერესოა, რომ ვახტანგ ბატონიშვილის მიხედვით, სწორედ საღამოს ხდება მშობიარობიდან მესამე დღეს ქალის გადაწვენა: "დღესა მესამესა *ყამსა ბინდისასა* (საზი ჩემია - ნ.მ) შეაწვენდნენ ქალს ტახტსა ზედა ..." (VII: 18). ვფიქრობთ, რომ ეს დროის და სივრცის აღქმის ერთ-ერთი არქაული პლასტია. ცნობილია, რომ არქაულ დროში სივრცისა და დროის კატეგორიები არ იყო ერთმანეთისაგან გამიჯნული, ერთ განუყოფელ ქრონოტიპს ქმნიდა. სივრცის გააზრება ყოველთვის დროის ასპექტსაც გულისხმობდა (XXV: 118).

აქედან გამომდინარე, *დღე* და *ღამე*, *ნათელი* და *ბნელი* ბინარულ წყვილთა ისეთივე კატეგორიას განეკუთვნებოდა დროში, როგორც *გარე* და *შინა* სივრცეში, ე.ი. თუ *გარე* სივრცე გულისხმობდა მოუწესრიგებლობისა და ბოროტების ამხასველ ცნებას, ასევე საღამო, მზის ჩასვლის შემდეგი დრო - *ბნელი* გულისხმობდა მოუწესრიგებლობისა და ბოროტების ამხასველ ცნებას დროში და პირიქით, *შინა* - წესრიგი და სიკეთე სივრცეში, *ნათელი*, *დღე* წესრიგი და სიკეთე დროში. ე.ი. შინა, დღე, ნათელი წარმოადგენდა პოზიტიურ, ხოლო

გარე, საღამო, ბნელი ნეგატიურ კატეგორიას.

ამიტომ, როგორც ჩანს, *გარედან შინ* შემოსასვლელი გზა, გზა მოუწესრიგებელ, არაორგანიზებულ სივრცეში უწმინდურ ქალს უნდა გაევლო ასევე მოუწესრიგებელ და არაორგანიზებულ დროში - მზის ჩასვლის შემდეგ, ბნელში, და მხოლოდ განწმენდის-განათვლის შემდეგ, რაც სრულდებოდა მეორე დღეს სახლის ბანზე (მანამდე ქალი სახლის ქვედა სართულში, ბოსელშია) შესაძლებელი იყო ქალი ზიარებოდა მოწესრიგებულ სამყაროს - ჩაბმულიყო ჩვეულებრივ ოჯახურ საქმიანობაში. მხოლოდ, როგორც აღვნიშნეთ, საკრალურთან ურთიერთობის უფლება მას ჯერ კიდევ არ ჰქონდა და იგი ეძლეოდა მშობიარობიდან 9 კვირის შემდეგ.

როგორც ვსედავთ, ამ შემთხვევაში სივრცისა და დროის არქაულ გააზრებასთან გვაქვს საქმე.

მშობიარობასა და ასალშობილთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებებში უძველეს რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებთან ერთად ჩანს ქრისტიანული რელიგიის გავლენა, მაგ., სამი დღის ბავშვისთვის პურის ნამცეცის - ხთის ნაწილის მიცემა ქრისტიანული ზიარების ასოციაციას იწვევს. ასევე ქრისტიანული ელემენტია ბავშვის კორნესა და აკვანში ჩაწვენის დროს წმინდა გიორგისადმი მიმართული ლიტყვიერი ფორმულის წარმოთქმის აუცილებლობა და სხვა.

ამგვარად, ჩვენ მიერ ზემოთ აღწერილ რიტუალებში აშკარად ჩანს უძველესი რელიგიური პლასტები და შემდგომი ხანის იდეოლოგიური დატვირთვით მოდიფიცირებული ფორმები.

მშობიარობასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენებისა და წეს-ჩვეულებების განხილვის შედეგად, ჩვენ შევეცადეთ, ნაწილობრივ მაინც, წარმოგვედგინა აღნიშნულ წეს-ჩვეულებათა ფუნქციონირების რელიგიური ასპექტები ხევსურეთში.

ზემოაღწერილი წეს-ჩვეულებები, თუ მათ თანამედროვე მედიცინის პოზიციიდან განვიხილავთ, სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, შორს დგას ელემენტალური ჰიგიენური ნორმების დაცვისაგანაც კი. მაგრამ როგორც ყოველი ხალხური

ტრადიცია, ისე ეს წეს-ჩვეულებებიც უნდა განვიხილოთ იმ გარემოსა და პირობების გათვალისწინებით, რომლებშიც ისინი მოქმედებდნენ.

აქედან გამომდინარე, თუ მსედველობაში მივიღებთ, რომ ხევსურეთი XX საუკუნის 30-40-იან წლებშიც კი წელიწადის უმეტესი დრო მოწყვეტილი იყო ბარს, ასევე ცხოერების პირობებს, რომლებშიც უსდებოდათ ხევსურებს ცხოერება, მათი რწმენა-წარმოდგენების თავისებურებებსა და სსვ. არ არის საკვირველი, რომ მშობიარობის უძველესი და საკმაოდ მკაცრი ტრადიცია სწორედ ამ კუთხემ შემოინახა.

ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი წესი, რომელსაც ქალი იცავდა ფეხმძიმობის, მშობიარობის დროს თუ შემდეგ, სავსებით მიზანშეწონილი იყო თანამედროვე მედიცინის თვალსაზრისით, ხოლო ზოგიერთი ჩვეულება სრულიად მართებული.

პირველ რიგში, ეს შეეხება ფეხმძიმობის დროს და განსაკუთრებით კი უკანასკნელ თვეში ქალის ფიზიკური დატვირთვის შემსუბუქებას, ზედმეტი საკვების მიღებისაგან თავის შეკავებას, გარკვეული საკვების აკრძალვასა და სხვა.

როგორც ვაჟა-ფშაველა და გ.თედორაძე აღნიშნავენ, მშობიარის იზოლირება მთიელთა არცთუ მცირეწევრიანი ოჯახიდან გარკვეულწილად გამართლებული იყო როგორც ოჯახის სიმშვიდის დაცვით (IX; 349), ისე ჰიგიენური თვალსაზრისით და ქალს ინფექციისაგან იცავდა.

ამავე დროს, მიუხედავად იმისა, რომ ქალი მარტო მშობიარობდა განცალკევებულ სამშობიარო ქოხში, იგი მიტოვებული არ იყო, ყოველთვის იმყოფებოდა ოჯახის წევრებისა თუ ასლობლების ყურადღების და მზრუნველობის ქვეშ, რაც პირველ რიგში, ქოხთან ოჯახის წევრი მამაკაცის ღამის თევასა თუ მესამრელოე ქალების ხშირ მოკითხვასა და გამხნევებაში გამოიხატებოდა. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, ქალს მშობიარობის დროს და შემდეგ სულიერად ამხნევებდა. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ მძიმე მშობიარობის შემთხვევაში მშობიარესთან მოდიოდა ხანშიშესული დამხმარე

ქალი, რომელიც მეანობაში კარგად იყო გაცნობიერებული, სოლო ექსტრემალური სიტუაციის დროს, როდესაც მშობიარობა ძალიან გართულდებოდა და ზოგ შემთხვევაში ნაყოფი იღუპებოდა, დედის გადარჩენის მიზნით ხევსურები, რომლებიც რელიგიური ნორმების დაცვის სიმკაცრით გამოირჩეოდნენ, ამ ნორმებს არღვევდნენ და მშობიარესთან - "უწმინდურ დედაკაცთან", დამხმარედ მოჰყავდათ მამაკაცი, მწყემსი, ემბრიოტომიის ჩასატარებლად.

მიზანშეწონილი იყო ბევრი ის წესი, რომელსაც ქალი იცავდა უშუალოდ მშობიარობის დროს, წინ თუ შემდეგ, პირველ რიგში ინტენსიური მოძრაობა მშობიარობის დაწყებამდე (ქოხის ახლომახლო სიარული), დაჩოქილი მშობიარობა, რომელიც ხელს უწყობდა ნაყოფის თავით წინ მსვლელობას სამშობიარო გზებში. მშობიარობის შემდეგ სამი დღე უძრავად ყოფნა ერთგვარი პროფილაქტიკა იყო ძლიერი სისხლის დენის თავიდან ასაცილებლად. ასევე მელოგინე ქალის დაცვა მძიმე შრომისა და ქმართან ურთიერთობისაგან ორმოცი დღის მანძილზე, რა თქმა უნდა, საკვებით გამართლებული იყო. ახალშობილის ჯანმრთელობაზე ზრუნვით უნდა აიხსნას სამი დღის განმავლობაში დედის უბეში მისი ყოფნა, როგორც ჩანს, სათანადო თერმული გარემოს შენარჩუნებისა და შესაძლებელია ახალ გარემოსთან მისი თანდათანობით ადაპტაციის მიზნით. ასევე დადებითად უნდა ჩაითვალოს ჩვილის ძუძუთი კვების თავისუფალი რეჟიმი, რაც, ერთი მხრივ, ბავშვის საკვებით სრულ დაკმაყოფილებასა და მისი ნერვული სისტემის სიმშვიდეს უწყობდა ხელს. მეორე მხრივ კი დედის რძის მატების გარკვეული გარანტიაც იყო.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე, უნდა ითქვას, რომ მშობიარობის წესები ხევსურეთში, ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების პირობების გათვალისწინების შემთხვევაში, შესაძლებელია, ოპტიმალურად ჩაითვალოს.

წყაროები და ლიტერატურა

I აბულაძე ილ. ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1979

II ბალიაური მ., ბავშვის დაბადების და აღზრდის წესები ხევსურეთში, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიული არქივი, ხელნაწერი, 1938

III ბალიაური მ., ხალხური მკურნალობა ხევსურეთში, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიული არქივი, ხელნაწერი, 1941

IV ბარდაველიძე ვ. ქართველი ხალხის რელიგიური აზროვნების ისტორიიდან (მრავალსულიანობის კონცეფცია) მიმომხილველი I, თბ. 1949.

V ბარდაველიძე-ლოშია ვ., ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებული რიტუალი მთიან ქართლში, საქართველოს მუზეუმის მოამბე -4, ტფ., 1928

VI ბატონიშვილი დავით, იადიგარ დაუდი, თბ., 1985

VII ბატონიშვილი ვახტანგი, ისტორიებრი აღწერა (ს.კაკაბაძის გამოცემა), ტფ. 1914.

VIII ბიბლია, თბ., 1989

IX ვაჟა-ფშაველა, პუბლიცისტური და ეთნოგრაფიული წერილები, თხზ., ტ IX, თბ., 1964

X თედორაძე გ., ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში, ნაწ. I-II, თბ.,1930

XI კაპანაძე ნ. ბავშვის აღზრდის ქართული ხალხური ტრადიციები, თბ. 1994

XII კიკნაძე ზ., ქართული მითოლოგია, I, ჯვარი და საკმო, ქუთაისი, 1996

XIII მაკალათია ხ., ხევსურეთი, თბ., 1984

XIV Минкевич И.И., Сравнительное изучение народных средств и обычаев медицинских на Кавказе. Отношение хевсур к их роженицам. Протоколы Заседании Императорского медицинского общества, 1891, прот. 21.

XV ააკაშვილი მ., გელაშვილი ა., საქართველოს მედიცინის ისტორია, ტ. III, წ. I, თბ., 1956

XVI Соловьева Л.Т., Грузия, этнография детства. М., 1995

XVII სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ I-II, თბ.. 1993

XVIII სურგულაძე ი., სივრცობრივი ასპექტები ქართველთა რელიგიურ და მითოსურ წარმოდგენებში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XXIII, თბ ., 1987

XIX სურგულაძე ი., ქართველთა აგრარული რწმენა-წარმოდგენების ისტორიიდან (მოკვდავი და აღდგენადი ღვთაებები), მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის,XIX , თბ., 1978

XX ქანანელი, უსწორო კარაბადინი, თბ., 1940

XXI Чвырь Л. Опыт анализа одного современного образа в свете древновосточных представлений. კრებ. Средняя Азия, Кавказ и Зарубежный восток в древности, М., 1983

XXII წიგნი სააქიმოდ, თბ., 1936

XXIII ჭინჭარაული ალ., სევსურეთის თავისებურებანი, თბ., 1960

XXIV ხაზარაძე ნ., წმ. ნინოს ცხოვრების ერთი ცნობის ინტერპრეტაციათვის, რევაზ კიკნაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო ხესია, მოხსენებათა თეზისები, თბ., 1994

XXV ხიდაშელი მ. არქაული საზოგადოების მსოფლხატი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1991, №1

XXVI ხიზანაშვილი ნ., ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1940

XXVII Худадов Н.А. Заметки о Хевсуретии, Тф.,. 1887

XXVIII Яшвили А. Народная медицина в Закавказском крае, Тф., 1904

მშობიარობასა და ჩვილ ბავშვთა მოვლის ხალხური ტრადიციები ქვემო ქართლში

ნანა გვათუა

ქვემო ქართლის მოსახლეობა ქალის გარდატეხის ასაკს ძირითადად 12-13 წელს უკავშირებდა, ასაკს, როცა იწყებოდა მენსტრუალური ციკლი ანუ "წესი". სახელწოდება - წესი მიგვანიშნებს, რომ ამ ციკლის დაწყება გარკვეული ასაკიდან ქალისთვის ბუნებრივად და აუცილებლად ითვლებოდა.

უძველეს ქართულ ხელნაწერებში, ბიბლიის წიგნებსა და სასარების ტექსტებში, თვიური სისხლის დენას "წიდოვნება" ეწოდებოდა [I; 10;]). "ეს სიტყვა ამ მნიშვნელობით შემდეგ საუკუნეებშიც იხმარებოდა "დედათა წესის", "თვიურის" და "სამთვარიოს" გვერდით" (XVIII; 30).

"წესი" ყველას უნდა "ენახა" - "მოსულოდა" 12 - დან 16 წლამდე. ასევე ბუნებრივად ითვლებოდა "წესის არმოსვლა" ორსულობისა და ძუძუს წოვების დროს.

დადგენილი ასაკის (12 წელი) ქვევით "წესის ნახვა" მიაჩნდათ "უწესობად", 16 წლიდან - "დაგვიანებულად". ხოლო კარაბადინების მიხედვით - "სნეულებად"; "თუ მისგან უფრო ადრე მოუვიდეს და ან უფრო გვიან სნეულებისა ნიშანია" (XIX; 156).

მენსტრუაციის დაწყების შემდეგ თუ წესი რამდენიმე თვე დაიგვიანებდა - "აქალწუნებას", "აქანწუდებას" ეძახდნენ. ალდგენის მიზნით, ქალს ოხრახუშის (Petroselinum crispum [Mill.])* ძირების ნახარშს დაალევინებდნენ, თუ ეს არ უშველიდა და მას "წესი დაეკარგებოდა" (ე.ი. შეუწყდებოდა) ადრეულ და არა დადგენილ კლიმაქსურ (45-55 წწ.) ასაკში, ნორმალურად არ ითვლებოდა, იტყოდნენ: "ის სისხლი ჯანში დადის, ქალს ჯანი უხერდება, ალივით არტყამს, მალე ჭკუაც ერევა და გიჟდება"

*ტექსტში მოყვანილი ლათინური სახელწოდებები მოყვანილია ა. მაყაშვილის ბოტანიკური ლექსიკონიდან (XIII).

(IV; 7). ამ შემთხვევაში ნაადრევი კლიმაქსი იგულისხმება. ხოლო 45 წლის შემდეგ "წესის დაკარგვა" ისეთივე ნორმად ითვლებოდა, როგორც "წესის ნახვა" 12 წლის შემდეგ. მიაჩნდათ, რომ დროულ კლიმაქსს შეიძლებოდა გამოეწვია: სისუსტე, უხასიათობა, "სისხლის მოწოლა სახეში" (ალები), მაგრამ არა გაგიჟება - "ჭკუიდან გადასვლა".

საინტერესოდ გვეჩვენება ხალხის დამოკიდებულება იმ ქალების მიმართ, რომლებიც მენსტრუაციას ე.ი. "წესს" საერთოდ "ვერ ნახულობდნენ". ეს დადგენილი ნორმიდან გადახრად, "წესის ლარღვევად" ითვლებოდა, ამიტომ ასეთი ქალი ავადმყოფად მიაჩნდათ; მაგრამ ვინაიდან მას სისხლდენა საერთოდ არ ჰქონდა ე.ი. "უწმინდური ", "მურტალი" არ ხდებოდა, "წმინდა ავადმყოფს" ეძახდნენ.

"წმინდა ავადმყოფად" მიაჩნდათ აგრეთვე ქალი, რომელსაც მენსტრუალური ციკლი დროულად დაეწყებოდა (იგულისხმება 12-17 წლამდე), მაგრამ ადრეულ ასაკშივე შეუწყდებოდა. ხოლო ქალი, რომელსაც ციკლი 30 წლის ზევით უწყდებოდა "წმინდა ავადმყოფად" აღარ ითვლებოდა.

ძველი ქართული სამედიცინო წყაროები კლიმაქტერულ პერიოდში თვიური სისხლის დენის შეწყვეტას სისხლის გაგრილებითა და მისი "წახდენით" ხსნიდნენ (XVIII; 29).

"მენსტრუაციის ისეთი მოშლა, როგორიც არის მისი სრული შეწყვეტა ანუ როგორც ახლა უწოდებენ - ამენორეა, ძველთაგანვე ყოფილა ცნობილი. თვიურის არმოსვლას "დედაკაცის წესისა უკუდგომა", "წიდოვნების შეკრულობა" ეწოდებოდა" (XVIII; 31). ჯანმრთელ ქალს, თუ ის ფეხმძიმედ არ იყო, მენსტრუაცია ყოველ თვეს უნდა ჰქონოდა. ამ პერიოდში იგი უწმინდურად ითვლებოდა და უფლება-მოვალეობები მკვეთრად ეზღუდებოდა. "წესიან ქალს" მკაცრად უნდა დაეცვა სხვადასხვა ხასის აკრძალვები, მაგ., ეკრძალებოდა სალოცავში მისვლა და თუ მაინც შევიდოდა, როგორც ამბობდნენ, მას საქმე კარგად არ წაუვიდოდა. ეკრძალებოდა სხვადასხვა ოჯახური

საქმიანობა, მაგ., არ ჰქონდა პურის გამოცხობის უფლება, არ შეეძლო მარანში შესვლა, ხეხილთან მისვლა - ხე ვახმეებაო, - იტყოდნენ. ეკრძალებოდა მამაკაცთან სქესობრივი ურთიერთობა და სხვა*.

წესის დამთავრების შემდეგ ქალი ჯერ თბილი წყლით დაიბანდა ტანს, შემდეგ ნაკურთხ წყალს, "ნათლის წყალს" გადაივლებდა "განსაწმენდად".

ნაკურთხი წყალი ყველა ოჯახს ჰქონდა. წყალკურთხევის - ნათლიღების დღეს (19 იანვარს) მღვდლის მიერ სახლისა და წყლის განათვლა აუცილებელ რიტუალს წარმოადგენდა. ნაკურთხ წყალს ოჯახი მთელი წელი ინახავდა და გარკვეული დაავადების თუ განწმენდის სხვადასხვა რიტუალის ჩატარების დროს საჭიროებისამებრ იყენებდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ქალის უფლება-მოვალეობათა შეზღუდვა უფრო მკაცრი იყო საქართველოს მთაში, კერძოდ ხევსურეთში (II; 18), ფშავში, თუშეთში, მთიულეთში (XII) და სხვა. სადაც ქალი დედათწესის დროს, უწმინდურობის პერიოდში იზოლირებული იყო და ოჯახის გარეთ სპეციალურ ნაგებობაში იმყოფებოდა.

ქვემო ქართლში თვიურიან ქალთან დაკავშირებული აკრძალვები უფრო შერბილებული იყო. აქ არ იყო მიღებული ამ დროს ოჯახიდან ქალის გასვლა, თუმცა გარკვეული წესების დაცვა აქაც, როგორც ზემოთ ვთქვით, აუცილებელი იყო.

შეხედულებას მენსტრუაციის დროს ქალის უწმინდურობის, მის მიერ ზიანის მოტანის და დედათწესიანი ქალის უფლება-მოვალეობათა შეზღუდვისა თუ იზოლირების აუცილებლობის შესახებ ვხვდებით მსოფლიოს სხვადასხვა

---

*ამავე ხასიათის ცრუმორწმუნეობა დღევანდელ ევროპაშიც შემონახულა. სადაც ჯერ კიდევ სწამთ, რომ თუ თვიურიანი ქალი სალუდეში შევა- ლუდი მწარდება, რძე და ღვინო ფუჭდება, მისი ხელის შეხებით ყარდი და ყვავილი ჭკნება და სხვა (XXI, 137-138).

ხალხებში, რაც ვრცლადა აქვს აღწერილი ჯეიმს ფრეზერს (XX; 201-203)*.

უწინ ქალის გათხოვება 13 წლიდან (ე.ი. მენსტრუალური ციკლის დაწყებიდან) დასაშვები იყო. გათხოვებისთანავე ის ქმრის ოჯახში გადადიოდა საცხოვრებლად.

გარკვეული ხნის მანძილზე ქალი თუ ვერ დაფეხმძიმდებოდა, მიმართავდა ბებიაქალს, რომელიც სოფლის მეანს წარმოადგენდა და ე.წ. ქალურ დაავადებებს მკურნალობდა. ის ავადმყოფს გამოკითხავდა, გასინჯავდა და გაარკვევდა უშვილობის მიზეზს. მაგ., ქალს თუ მენსტრუალური ციკლი არეული ჰქონდა - "წესს წესიერად ვერ ნახულობდა", ეტყოდა: "მისი საშველი არ იქნება, გადამწვარი საკვერცხე აქვს" და მკურნალობას ხელს აღარ მოკიდებდა.

თუ საქმე საკვერცხეების ანთებას ეხებოდა, რის ხიმპტომებს, გადმოცემით, ქვედა მუცლის ტკივილი და გამონადენი წარმოადგენდა, მაშინ ბებიაქალი პაციენტს სითბურ პროცედურებს ჩაუტარებდა: სხვადასხვაგვარ ბალახს (სასელები ვერ დავაზუსტეთ) კასრში ჩაყრიდა და მდულარე წყალს დაასხამდა, ოდნავ შეაგრილებდა და ქალს წელს ქვევით ჩასვამდა. აბაზანის შემდეგ ქალი თბილად უნდა ყოფილიყო. ან პურის საცხობ ღუმელს - ფურნეს გახეხავდა, გაახურებდა და ქალს შიგ მოათავსებდა მანამ, სანამ ის სიმხურვალეს გაუძლებდა. შემდეგ საწოლში ჩააწვენდა. ან ქალს პატარა მუცელზე ნივრის მოხარშულ "ფოჩს" (ღეროებს) დაადებდა და თბილად დაახურავდა; პროცედურას რამდენჯერმე გაიმეორებდა.

როცა ქალს "მუცელი არ რჩებოდა", ე.ი. 2-3 თვის მუცელი ხშირად ეშლებოდა, წელის სისუსტეს აბრალებდნენ,

---

*მაგ., სამხრეთ აფრიკის მეჯოგე ტომები თვიურიან ქალს ცალკე ოთახში ათავსებდნენ. რადგან ეშინოდათ ამ მდგომარეობაში მყოფი ქალის ხისხლის ხაძოვარ ილალზე დაწვეთება, რასაც შეიძლება გამოეწვია მთელი ჯოგის მოწამელა და გაწყვეტა. ჩრდ. ამერიკის ინდიელი ქალები მენზიხის დროს სოფლიდან ეხიზნებოდნენ ქოხებში განმარტოებით. ამ დროს მათ არავინ ეკარებოდა, სახლში დაბრუნება კი მხოლოდ გახუფთავების შემდეგ შეეძლოთ.

იტყოდნენ: "წელი აქვს ბოშე" ან "მუცელი აქვს მობოშებული" ("დუნე, ფონე, მოშვებული, არამაგარი" (XXII). ასეთ შემთხვევაში, ბებიაქალი პირველ რიგში წელის დაჭიმვას, "წელის გაწევას" მიმართავდა. ქალს პირქვე დააწვენდა ბოძთან ახლოს, ფეხებს ბოძზე დაუბამდა, ხერხემალს ერბოთი ან რაიმე სხვა ცხიმით დაუზელდა, უფრო მეტად - "იმ წერტილს, სადაც საშვილოსნო იყო მიმაგრებული". შემდეგ ხელებს იღლიებში მოჰკიდებდა და "დაქაჩავდა" ისე, რომ "წელი გატკაცუნებულიყო". ამ პროცედურას "ყველაფერი თავის ადგილას უნდა ჩაესვა" (VII, 12). წესით, ერთხელ დაჭიმვა საკმარისი უნდა ყოფილიყო.

შემდეგი ეტაპი გულისხმობდა წელის გაკვრას "იახოთი", რომელიც სხვადასხვაგვარად მზადდებოდა, მაგ., კარგად ათქვეფილ კვერცხის გულს შეურევდნენ თხის ბეწვს - "ბალანს" და პურის ფქვილს, ან თაფლის სანთელს, საკმეველს "საკმელს" და ხელის ფქვილის ფაფას (გაცრილი ქერის ფქვილი). კვერცხის გულს ურევდნენ აგრეთვე თაბაშირს ან კირს იმდენს, რომ მაწვნის კონსისტენციის მასა მიეღოთ.

იახოს წაუსვამდნენ ქსოვილზე - ნარმაზე ("ბიაზზე", "ამერიკაზე") და ქალს წელზე შემოადებდნენ. ამის გარდა "ფისის იახოსაც" ამზადებდნენ: თხის ტყავზე წასმულ ფიჭვის ან ნაძვის გადამდნარ თბილ ფისს, ქალს წელზე დააკრავდნენ. შესაკრავად ხმარობდნენ აგრეთვე წელის ზომაზე დაჭრილ თხის ტყავს, რომელიც წებოსავით ეკრობოდა კანს.

ბებიაქალი იახოს ხელს არ მოკიდებდა, სანამ ის თვითონ არ აძვრებოდა.

აქვე აღვწერთ ქვემო ქართლში მცხოვრები სხვა ეროვნების ხალხის ზოგიერთ ტრადიციას.

მაჰმადიანური მოსახლეობა ქალს წელის გასამაგრებლად 1-2 საათით ცხვრის ტყავში გაახვევდა - "ჩასვამდა". ხმარობდნენ იახოსაც, რომლის დამზადების წესი ჩვენ მიერ ზემოთ აღწერილის იდენტურია.

სომეხი მოსახლეობა ასეთ შემთხვევაში ბებიაქალს "ჰავაჩს//ჰევაჩს" ან "ტადმერს" (შდრ. ქართულ კარაბადინებში

- "ტატმერი") მიმართავდა. იგი ქალს ჯერ ქონში მოშუშული ხასვით დაუზელდა წელს. შემდეგ "იახოთი" გაუკრავდა. მეექვსე დღეს ქსოვილს პირს ისე აუწევდა. რომ წელიდან არ მოშორებოდა: იახოს არყით დაასველებდა. ისევ შეკრავდა და ხელს აღარ მოკიდებდა. ვიდრე იახო თავისით არ მოძვრებოდა.

ზოგ შემთხვევაში წელის ერთხელ გაკვრა საკმარისი იყო. ზოგჯერ კი პროცედურას ორ-სამჯერ იმეორებდნენ. თუ შედეგს მაინც ვერ მიაღწევდნენ. ე.ი. ქალი არ დაფეხმძიმდებოდა. ბებიაქალი მას "ხელს აღარ მოჰკიდებდა". იტყოდა: "ეს ჩემი ავადმყოფი არ არის".

იმ შემთხვევაში. თუ მკურნალობა ნაყოფიერად ჩაივლიდა და ქალს "მუცელი აყვებოდა". ბებიაქალი მას "პატარა მუცელს" ფრთხილად "აუწევდა". რბილ ნაჭერს ან თავშალს შემოახვევდა. რომ მუცელი დაბლა არ დაწეულიყო - "არ დაბოშებულიყო" და ისევ არ მოშლოდა.

ქვემო ქართლში უშვილობის მიზეზად "გამრუდებული". "გადავარდნილი". "გადახრილი". "გადაკეტილი" საშვილოსნოც ითვლებოდა. რომელიც. ადგილობრივ მეანთა გადმოცემით. შეიძლება თანდაყოლილი ან პირველი მშობიარობის შემდეგ რაიმე გართულების შედეგი ყოფილიყო. ბებიაქალი "პატარა მუცლის" ზემოდან ხელით გასინჯვით მიხვდებოდა. საშვილოსნო გამრუდებული იყო თუ არა. ამის შემდეგ პატარა მუცელს ქონით ან ერბოთი დაუზელდა. მსუბუქი მასაჟით მუცელს აუწევდა. საშვილოსნოს გაუსწორებდა და კოტოშს (თიხის პატარა ქილას) "მოჰკიდებდა" ზევით ამოწეყის მიზნით. კოტოშის მოვარდნის შემდეგ კი მაფიქსირებელ ნასვევს დაადებდა.

არსებობდა მკურნალობის სხვა მეთოდიც - ბებიაქალი პაციენტს გულაღმა დააწვენდა. წელიდან თეძოების გავლით ხელს გამოატარებდა. საშვილოსნოს არეზე ზევიდან "ხელსაფქვავს" დაადებდა და მოატრიალებდა. ეს პროცედურა კეთდებოდა დილით. უზმოზე. სამი დღის განმავლობაში. წესით სამი დღის შემდეგ საშვილოსნო უნდა გასწორებულიყო.

ჩვენ დავამოწმეთ ხალხური "დიაგნოსტიკის" ერთი საინტერესო მეთოდი: ბებიაქალი წყალში გამოხარშულ თბილ

ნაბადს გადმობრუნებულ სათლზე დააფენდა. შუაში კვერცხის გულს დადებდა, ზედ ქალს გადააჯენდა. თუ "საშვილოსნო კვერცხის გულს შეიწოვდა", როგორც თვითონ იტყოდა, "საშვილოსნო გადაკეტილი არ იყო" და ქალი მალე მორჩებოდა, თუ არ შეიწოვდა, საშვილოსნო "გადაკეტილად" ან "გამრუდებულად" ითვლებოდა და ასეთ შემთხვევაში მკურნალობას ბევრი დრო სჭირდებოდა. ეს გონებამახვილური მეთოდი, როგორც ჩანს, ფალოპის მილების გამტარუნარიანობის დადგენის ცდას წარმოადგენდა.

ადგილობრივი მეანები უშვილობის მიზეზად ჭიპის "დაწევა" - "ჩავარდნასაც" მიიჩნევდნენ, რაც შესაძლოა ტრავმის ან მძიმე ჯაფის შედეგად განვითარებულიყო. როგორც ბებიაქალები გვიხსნიან, "ჭიპი ნელ-ნელა საშვილოსნოს ეწებებოდა და ხელს უშლიდა დაფეხმძიმებას". მეანი ჭიპს მარჯვენა ცერით გასინჯავდა. თუ "ისე ფეთქავდა, რომ მოსვენება არ ჰქონდა, ჭიპს ჩავარდნილად მიიჩნევდა, ჭიპის დაწევამ, როგორც ამბობდნენ - "მუხლის მოკვეთა, მოზარმაცება და ტკივილი იცოდა" (VI; 3).

ამ შემთხვევაში ქალის მკურნალობა "საშვილოსნოს (ალბათ საშვილოსნოს ყელის, ნ.გ.) გასაფართოებლად" აბაზანებით და შეორთქვლით იწყებოდა. ბებიაქალი პაციენტს სხვადასხვა ბალახებისა და ყვავილების (მათი სახელები გასაიდუმლოებულია) ცხელი ნაყენის ან ნახარშის აბაზანებს გაუკეთებდა ან "შემოსულ" ლენცოფას - "ღრიანცოფას" (Hyoscyamus niger L.;) და ქათმის განავალს ერთად წამოადუღებდა და ავადმყოფ ქალს ცხელი ნახარშით სავსე სათლზე დასვამდა.

შემდეგი ეტაპი დაზელვას გულისხმობდა. ბებიაქალი ჭიპის არეს და წელს დათვის ქონით ან სხვა რაიმე ცხიმით დაზელდა - "შემოზელდა". მერე ჭიპს კოტოშს მოჰკიდებდა. არსებობდა კოტოშის მოკიდების რამდენიმე მეთოდი, მაგ., ჯოხზე წამოცმულ, არაყში დასველებულ ან ცხიმწასმულ ნაჭერს ცეცხლს მოუკიდებდა და კოტოშს შიგნიდან მოავლებდა, პაციენტს ჭიპზე დაადებდა და გააჩერებდა 15-20 წუთი. თუ

ჭიპი ძალიან იყო ჩავარდნილი. შესაძლოა ქილის ზომაზე ამოწეულიყო და ისე მაგრად "მოკიდებოდა ხორცს", რომ მოსახსნელად ბებიაქალს მისი გატეხვა დასჭირვებოდა; ზოგჯერ შეანი პატარა თეთრ ქსოვილში ჩაყრიდა ნაცარს, პირს ისე მოუკრავდა, რომ ნაცრიანი მსარე ბურთს დამსგავსებოდა. "ნაცრიან ბურთს" დაადებდა ჭიპზე. ნაჭრის ზედაპირს თხის ან სხვა ცხოველის ცხიმს მოუსვამდა, ცეცხლს მოუკიდებდა, ზედ კოტოშს დაადებდა, ცეცხლი ჩაქრებოდა, ქილა მუცელს "მოეკიდებოდა" და "დაწეული ჭიპი" ზევით ამოიწევდა, ინფორმატორის სიტყვებით: "ვისაც ძალიან ჩავარდნილი ჰქონდა ჭიპი, იმის ხორცი ცომის გუნდასავით ამოიწევდა ქილაში და მისი მოძრობა ძნელი იყო" (V; 15).

ხშირად უშვილობას "განუვითარებელ საშვილოსნოს" აბრალებდნენ, რისთვისაც, როგორც ამბობდნენ, დამახასიათებელი იყო მენსტრუალური ციკლის არევა (ორ-სამ თვეში ერთხელ), ზედმეტი თმიანობა და სხვა. ერთ-ერთი ბებიაქალის გადმოცემით, ასეთი ავადმყოფის მორჩენა შეიძლებოდა, მხოლოდ შედეგი (ე.ი. დაორსულება) შეიძლება გვიან მოპყოლოდა.

ზოგიერთი ბებიაქალი ხელს არ მოკიდებდა განუვითარებელი საშვილოსნოს მკურნალობას, რადგან თვლიდა, რომ ის თავისით განვითარდებოდა და გარკვეული დროის შემდეგ, მკურნალობის გარეშე, შეიძლებოდა ქალი დაფეხმძიმებულიყო. სოფ. ხატისსოფელში აღწერილი გვაქვს შემთხვევა, როცა ქალს ოცდაორი წელი შვილი არ უჩნდებოდა განუვითარებელი საშვილოსნოს გამო. ბოლოს ყოველგვარი მკურნალობის გარეშე დაფეხმძიმდა და შემდეგ ხუთი შვილი გააჩინა.

ძველ ქართულ ოფიციალურ მედიცინაში ქალის უნაყოფობის მრავალ მიზეზს იცნობდნენ.

"XI საუკუნის წყაროებში უშვილობის მიზეზად დასახელებულია საშვილოსნის ხიმხივნური დაავადება, აგრეთვე თვიურის აშლა... საშვილოსნოს მდებარეობის შეცვლა.

XIII საუკუნის წყაროებიდან ირკვევა, რომ იმ ხანად,

გარდა აღნიშნული მიზეზებისა, უნაყოფობას უკავშირებდნენ ქალის სქესობრივ განუვითარებლობას.

XV-XVI საუკუნეებში უშვილობას მიაწერდნენ საშვილოსნოს შიგნითა გარსის ანთების შედეგად განვითარებულ ცვლილებებსაც (XVIII; 38).

ქვემო ქართლში ქალები ნაყოფის შენარჩუნების მიზნით, ხშირად მაგიურ ან რელიგიურ საშუალებებსაც მიმართავდნენ. მაგ., მუცლის ხშირი მოშლით შეწუხებული ქალი მონახავდა მაკე ძაღლს ან კატას და იტყოდა: "შენ დაგეხოცოს შვილები და მე დამრჩეს". ამ მაგიური ქმედებით მისი სატკივარი თუ სისუსტე, რის გამოც მუცელს ვერ ინარჩუნებდა, თითქოს გადავიდოდა მაკე ცხოველზე, მუცლის შერჩენის ძლიერი, ცხოველური უნარი კი - მასზე.

მუცლის შერჩენის მიზნით ქალის მღვდლის პერანგში გაძვრენაც იცოდნენ. ამ შემთხვევაში, ალბათ წმინდა ძალების იმედი ჰქონდათ.

ჩვეულებრივ, ქართველები უშვილობის დროს ღვთისმშობელს მიმართავდნენ. როდესაც თხოვნა არ ჭრიდა ან შედეგი იგვიანებდა, შვილს მონატრებული მშობელი, მიზნისთვის რომ მიეღწია, დაპირებას იძლეოდა: "ოღონდ შვილი გამიჩნდეს და ურჯულოს მივცემ", ან "თათრულ სახელს დავარქმევ", ან "თათარს მოვანათლინებ".

ქვემო ქართლში მცხოვრები ბერძნული მოსახლეობა ასეთ შემთხვევაში კი დასასმარებლად წმ. დემეტრეს თხოვდა შველას.

ზოგიერთი ქალი პირიქით ხშირი ორსულობით იყო შეწუხებული. ფეხმძიმობიდან თავის დასაცავად ან მუცლის მოსაშლელად ისინი ბებიაქალებს მიმართავდნენ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მშობიარობიდან 3-4 წელი, ვიდრე დედა ბავშვს ძუძუს აწოვებდა, მას ფეხმძიმობიდან თავის დაცვა არ სჭირდებოდა, რადგან, ამ პერიოდში მისი დაფეხმძიმება ნაკლებ მოსალოდნელი იყო.

როდესაც ქალს შვილის გაჩენა არ უნდოდა, იგი სხვადასხვა საშუალებებს იყენებდა, მაგ., დედალი,

ლეკვებდაყრილი მგლის ნაწლავს შემოიკრავდა წელზე, რომ შვიდ წელიწადს არ დაორსულებულიყო. ადგილობრივთა შეხედულებით მგლები შვიდ წელიწადში ერთხელ ყრიდნენ ლეკვებს, ამიტომაც მისი ეს თვისება ამ ქმედებით ქალზეც უნდა გადასულიყო.

თუ ეს საშუალება არ გაამართლებდა და ქალი მაინც დაორსულდებოდა, მიმართავდნენ მუცლის ხელოვნურად მოშლას, "მუცლის გაფუჭებას", "მუცლის წასდენას", რაც ზოგჯერ სავალალო შედეგით მთავრდებოდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ქალი ყურმოკრულ მეთოდს თვითნებურად იყენებდა. მაგ., შუშას დანაყავდა და დალევდა. ზოგჯერ დიდ ხელსაფქვავს მუცელზე დაიტრიალებდა. სიმაღლიდან გადმოხტებოდა და სხვა. ასეთი მეთოდების გამოყენების შედეგად ზოგ შემთხვევაში ქალი იღუპებოდა (III; 17).

უფრო ეფექტური და უვნებელი იყო ბებიაქალის მიერ გამოყენებული მუცლის მოშლის მეთოდები, იგი მოსალოდნელი სისხლის დენის შესაჩერებელ გარკვეულ საშუალებებსაც ფლობდა. ბებიაქალი მუცლის მოსაშლელად მხოლოდ ერთი - ორი თვის ფეხმძიმეს მოკიდებდა ხელს, უფრო დიდი ხნის დაგვიანებულად ითვლებოდა.

ჩვენ ჩავიწერეთ "მუცლის გაფუჭების" რამდენიმე მეთოდი: ერთ შემთხვევაში ბებიაქალი პაციენტს დააწვენდა, კუჭის არეზე მასაჟს გაუკეთებდა და თან, "კუჭის თავს" ოდნავ მოუგრეხდა და ასე "წაუხდენდა" მუცელს.

სოფ. განთიადში ერთ-ერთმა ბებიაქალმა ჩაგვაწერინა აბორტის თავისებური მეთოდი; როცა ქალს "წესი" გადასცდებოდა, ბებია მაშინვე აუწევდა "პატარა-მუცელს" - საშვილოსნოს არეზე მასაჟს გაუკეთებდა. თუ სისხლის დენა არ დაიწყებოდა ეს იმას ნიშნავდა, რომ სისხლი მუცელში იღვრებოდა და ნაყოფიც შეიძლება შიგ ჩარჩენილიყო, რაც სახიფათოდ ითვლებოდა. მაშინ ის კიდევ გაიმეორებდა მუცლის წახდენის ამ მეთოდს. თუ ესეც უშედეგოდ დამთავრდებოდა (ე.ი. ნაყოფი არ ჩამოვარდებოდა), მაშინ ბებიაქალი პაციენტს დააწვენდა, მენჯის ქვეშ მუთაქას

დაუდებდა, ფესებს ზევით ააწევინებდა. ხელს მცირე მენჯში შეუყოფდა, იქ, სადაც საშვილოსნოს ყელი მდებარეობდა, დააწვებოდა ისე, რომ ქალს წელი ტკენოდა, რის შემდეგაც, წესით, მას მუცელი უნდა მოშლოდა. ხოლო თუ არ მოეშლებოდა მაშინ ბებიაქალი ამას გაიმეორებდა მანამ, სანამ "ერთი ხორცის ნაქერი", როგორც ჩანს, "სისხლის კოლტი" არ ჩამოვარდებოდა და სისხლის დენა არ დაიწყებოდა, რაც მათი თქმით -"საშვილოსნოს სულ გამოასუფთავებდა" (VII; 22).

თუ სისხლის დენა ჩვეულებრივზე მეტსანს გაგრძელდებოდა, ბებიაქალი "კირის წყალში" (ერთ ჩაის ჭიქა წყალში გახსნილი 12 ჩაის კოვზი კირი) დასველებულ საფენს ქალს წელზე შემოადებდა. იცოდა აგრეთვე: ბეჭებზე ცივი ტილოს ან საშვილოსნოს არეზე დამწვარი შაქრის ფხვნილის დადება.

საერთოდ, მუცლის გაფუჭება-წახდენა ცოდვად ითვლებოდა. ერთ-ერთი ბებიაქალი თავის "ცუდად ყოფნას" ღმერთისგან გამოგზავნილ სასჯელად ეიჩნევდა ქალებისათვის გაწეული დახმარების გამო: "ღმერთი მტანჯავდა, მაგრამ ამას იმისთვის ვაკეთებდი, რომ ქალები მეცოდებოდნენ", აგვიხსნა მან (VII; 23).

ადგილობრივი მოსახლეობის გადმოცემით, ბებიაქალებს ზოგჯერ შეეძლოთ ფეხმძიმე ქალისათვის დაედგინათ - გოგო ეყოლებოდა თუ ბიჭი, იტყოდნენ: "გოგო გუდასაებრ გდია მუცელში, ბიჭი კი ხვლიკივით დაძვრებაო".

ნაყოფის მუცლად ყოფნისას სქესის დადგენის სხვადასხვა ნიშანია აღწერილი კარაბადინებში, მაგ., "კიდევე დედაკაცი რომე ორსულად იყოს და დამძიმდეს, მუცელი უნდა გაუსინჯოთ, თუ მუცელი მარჯვენასა მხარსა უფრო დიდი აქუს, უსათიოდ ვაჟითა არის და თუ მუცელი მარცხნით უფრო დიდი აქუს, უსათიოდ ქალითა იქნების ...

კიდევე დედაკაცი რომე დღეზედა იდგეს, მოიტანე ერთი ჯამი და წყლითა აავსე, მოიტანე ამა ორსულისა დედაკაცისა რძე და ამა წყლით სავსესა ჯამშიგა ჩაასხით, თუ ესე რძე წყალზედა დადგეს, უსათიოდ ვაჟითა არის, და თუ რძე ძირს

წავიდეს, და ქალითა იქნების ..." (IX; 224-225) და სხვა.

ხალხის შესედულებით, ორსულ ქალს ოთხ თვემდე არ ენძრევა მუცელი, რასაც მოსახლეობა შემდეგნაირად ხსნის: "ოთხი თვის შემდეგ საიქიოს მყოფი მამა-პაპის სულებიდან ერთ-ერთი სული წამოვა და ფსიზელ ან მძინარე ქალს დამთქნარების ან სხვა შემთხვევაში ჩაუძვრება მუცელში და უნძრევს მუცელს. იმიტომ არი რომ უყვართ მამა-პაპაი. სული სულსა სცნობს. მკედრის სული ჩაუძვრება, ხორცს შეისხამს და დაიბადება. ვისი სულიც იქნება იმას გავს, იმისთანა სასელოვანი გამოვა ბავშვი. ყველა სცნობს, როცა იბადება, რომ იმის სულია. სული უკვდავია" (XV; 30).

წერილობითი წყაროების მისედვით კი: "რა სუთის თვისა შეიქნას ქალსა მუცელი იძრასო" (VIII; 71), ე.ი. ქალის "მუცლის განძრევა" ორსულობის ხუთი თვის თავზე უნდა მომხდარიყო. ეს ორსულობა ითვლებოდა ცხრათვიანი და შვიდთვიანი ორსულობაც. იგივეს ვკითხულობთ XI საუკუნის წყაროშიც: "...რა გათავდეს დღენი ორსულობისაგან დაიბადების შეშეიდესა თვესა ან შეცხრესა" (XIX; 34).

ექვსი ან რვათვიანი ბავშვი "დღენაკლულად" ითვლებოდა და მისი გადარჩენა შეუძლებლად მიაჩნდათ. ძვ. სამედიცინო ლიტერატურის მისედვითაც: "და თუ რვა თუედ იშვას, უკუნისამდე დარჩომაი მისი არ ეგების....." (XXV; 17).

როცა ფესმძიმე ქალს მშობიარობის დრო მოუწევდა, სამშობიაროდ დედის სახლში მიდიოდა. ამ წესს განსაკუთრებით პირველ მშობიარობაზე იცავდნენ. ქალის დედის ოჯახში ოთახს საგანგებოდ დაასუფთავებდნენ. იმ ადგილას, სადაც ქალს უნდა ემშობიარა, დააფენდნენ ნაჭერს, ზედ დაყრიდნენ მიწას (თუ იატაკი მიწის არ იყო) და ჩალას, რომ მშობიარობის დროს გამოყოფილი სისხლი მასზე დაღვრილიყო. იქვე დადებდნენ მუთაქას. ბებიაქალს ოჯახის რომელიმე წევრი, მეზობელი ან ნათესავი ქალი ეხმარებოდა. სასტიკად იკრძალებოდა "წესიანი" ქალის დასწრება, რადგან გადმოცემით, მას შეეძლო ზიანის მოტანა როგორც დედისთვის, ისე შვილისთვის. შემდეგ შემოიყვანდნენ

მშობიარეს. დააჩოქებდნენ. მუხლებს მუთაქაზე დაადებინებდნენ. დამსმარე ქალი წინ-მუსლებთან დაუდგებოდა, ალბათ ამიტომაც მას "მუხთბალიშს" უწოდებდნენ. საინტერესოა, რომ სამცხე-ჯავასეთში სამშობიარო ტკივილებზე იტყოდნენ: "სამუსლემ დააყარაო" [XXIV: 18]). მშობიარე დამსმარე ქალს ხელებით კისერზე დაეკიდებოდა. დამსმარე დრო და დრო მუცელზე ხელს უსვამდა, მსუბუქ მასაჟს უკეთებდა. მუცელს დაუჭერდა - "საშვილოსნომ გულზე არ დაარტყას".

ბებიაქალი მშობიარეს ზურგიდან დაუდგებოდა, წელზე მასაჟს გაუკეთებდა, მუცელს დაიჭერდა და ბავშვს მიწევ-მოწევდა: იმოძრაოს, იფართხალოს ბავშვმაო. თუ მშობიარობა გაჭიანურდებოდა, იგი ქალს წამოაყენებდა, ოთახში გაატარებდა, ზოგჯერ იატაკზე გაშლილ ფარდაგზე გადააგორ-გადმოაგორებდა, რასაც თითქოს უნდა დაეჩქარებინა და გაეადვილებინა მშობიარობის პროცესი.

ჩვენი მასალა ანალოგიას პოულობს კარაბადინებში დაცულ ცნობებთან: "...როდესაც დედაკაცსა ტესა დაუწყოს, ხშირ-ხშირად წასძრან-წამოსძრან და როდესაც ღაჯდომა უნდოდეს, სკამზედა დასვან..." (IX: 121).

სანაყოფო წყლების დაღვრის შემდეგ, მშობიარობა თუ ყოვნდებოდა, ბებიაქალი მშობიარეს უკნიდან ზურგით მიეყრდნობოდა, მკლავებს მკლავებში გამოსდებდა და რამდენჯერმე გადაწევდა - წელი "მობუჟდესო". ან მუცელზე ხელს მაგრად დაუსვამდა - ზევიდან ქვევით "ჩაქნევდა", "ჩაბღერტავდა" - წელი და საშვილოსნო - გაიხსნასო.

თუ ეს არ უშველიდა, ხელზე ცხიმს ან საპონს წაისვამდა და. საშვილოსნოს ყელის გახსნას შეეცდებოდა. მიუხედავად ამ ზომების მიღებისა, ასეთი მშობიარობა იოლად ითვლებოდა. მშობიარობა მძიმედ, რთულად მიაჩნდათ იმ შემთხვევაში თუ "ბავშვი მუცელში მრუდეთ" იყო, ე.ი. "ფესებით მოდიოდა". ამ დროს ბებიაქალი მშობიარეს მუცელზე მასაჟს გაუკეთებდა, რითაც ცდილობდა ბავშვის შემობრუნებას.

ნაყოფის არასწორ მდებარეობაზე, რომელიც

გართულებული მშობიარობის ერთ-ერთ მიზეზად ითვლებოდა. ძველ სამედიცინო წყაროებში ვკითხულობთ: "და ესეც უნდა იცოდეთ. თუ მარტვილი (ჩვილი, ნ.გ.) ცალსა მხარსა წევს. ის მარტვილი უსათუოდ ადრე და ადვილად დაიბადების. და თუ მართლად და გაწონით უწევს და სწორად ბოქუენშიგა აჭირებს. ის მარტვილი მწოედ ძნელად და სარჯელით დაიბადების" (IX; 120).

"ძნელად შობისა მიზეზი... ერთი მისგან კიდე. რომე მისგან ყმაწვილი უკუღმა მოვიდეს ფერდათკე ანუ გვერდით ანუ მუხლთაკე" (XIX; 152).

მძიმე მშობიარობის დროს ზოგჯერ ქალს ფარდაგში გაასვევდნენ და ფრთხილად გააგორებდნენ - "ბავშვი გასწორდესო". ან ტახტიდან გადმოახტუნებდნენ - "ადვილად დაიბადოსო", ან მშობიარეს ფეხებს აუწევდნენ. ერთად მიაწყობინებდნენ და კარებზე მიარტყმევინებდნენ - "ბავშვი ჩქარა დაიბადებაო". როდესაც ქალს ჭინთვები არ ჰქონდა. ხელში ცარიელ ბოთლს დააჭერინებდნენ და შიგ ჩააბერინებდნენ. რომ ხელოვნური ჭინთვა გამოეწვიათ. იყენებდნენ აგრეთვე სითბურ საშუალებებს. მაგ.. ფეხებს შუა ნაკვერჩხალს დაუდებდნენ. ან მაგრად მოხარშულ კვერცხს ცხელ წყალში ჩააგდებდნენ და დაუდგამდნენ. რომ: "ბავშვი ჩქარა წამოვიდესო". გარდა ამისა. მშობიარეს ტკბილ თაფლიან წყალს დაალევინებდნენ - ძალას მისცემსო.

მშობიარობის გაადვილების მიზნით სითბური პროცედურის ჩატარების წესი აღწერილია ძველ ქართულ სამედიცინო ხელნაწერებში: "და ასრე უნდა როდესაც დედაკაცსა ტეხა დაუწყოს და ტეხა გაუძნელდეს აბანოშიგა აბანონ და ტანზედა და წელზედა ბევრი თბილ-თბილი წყალი დაასხან და თუ წელთამდისინ თბილს წყალში ჩასმენ და ბოქუენსა. მუცელსა და ზურგის მსივებსა (ხერხემალი, ნ.გ.) კარგა დაუზელენ. ისი ხჯობს". ან "...კიდევ ტეხა დაუწყოს და გაუძნელდეს. ფოიტანე ტუხტი (Althaea. ნ.გ.) და ან მალოქი (ბალბა. Malva. ნ.გ.) და ან თეთრი გვირილა. და თუ სამივ ერთად არის ისი სჯობს. და წყლითა კარგად მოხარშონ. და

მტეხიარე ადამიანი წელთამდისი შიგ ჩასვან და მუცელი და ფერდები კარგად და ძალიანად ამოუზილონ, და ღვთისა შეწევნითა ადრე და უზიანოდ დაეხსნების და მორჩების" (IX; 121).

გართულებული მშობიარობის დროს ზოგჯერ მაგიურ ქმედებებსაც მიმართავდნენ, მაგ., გაიხსნიდნენ კალთას და იტყოდნენ: შენი წელი ასე გაიხსნასო. მოიყვანდნენ ისეთ ადამიანს, რომელსაც "გველ-ბაყაყი ყავდა დაშორებული". სოფელში გველს, რომელიც ბაყაყის შეჭმას ცდილობდა, გულგრილად არავინ ჩაუვლიდა გვერდს, უეჭველად პირიდან გააგდებინებდა, რომ შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში სარგებელი მოეტანა ქალისათვის. ასეთი პიროვნება, ერთი მაინც, ყოველ სოფელს ჰყავდა. მას ქალის მუცელზე ხელს წაასმევინებდნენ და იტყოდნენ: ბაყაყი გაათავისუფლა, ქალიც ასე გაათავისუფლოსო. ამ შემთხვევაშიც იმიტაციურ მაგიასთან გვაქვს საქმე - გველის პირში მოთავსებული ბაყაყის განთავისუფლება - საშოდან ბავშვის გამოდევნის მსგავსად განიხილებოდა. იცოდნენ აგრეთვე თოფის გასროლა ავი სულების გასადევნად.

ზოგჯერ მშობიარე ქალის ქმარს გაუშვებდნენ სალოცავში, თან ხილაბანდს გაატანდნენ, რაც მას ღვთისმშობლის ხატისთვის უნდა ესროლა და ეთქვა: შენი წელი ასე გაიხსნასო. აქაც მაგიურ ქმედებას აქვს ადგილი. ხილაბანდი, რომელიც ხატზე სროლის დროს გაიშლებოდა მშობიარე ქალის "წელის გახსნის", ე.ი. დროული მშობიარობის გამომწვევ ქმედებად მიაჩნდათ, რასაც ადასტურებს ამ დროს წარმოთქმული სიტყვები. მეორე მხრივ კი, რა თქმა უნდა, ღვთისმშობლის ნაყოფიერების ფუნქციას ენიჭებოდა მნიშვნელობა.

იყო შემთხვევები, როცა ნაადრევი, მოულოდნელი მშობიარობის დროს ქალს ყოველგვარი მომზადებისა და ბებიაქალის დახმარების გარეშე უსდებოდა მშობიარობა. ასეთ დროს ის ხის დიდ გობს - "გეჯას" დადგამდა და იმაზე იმშობიარებდა.

მშობიარობის მსგავსი წესები მოწმდება ქვემო ქართლში მცხოვრებ სომხურ, ბერძნულ და მაჰმადიანურ მოსახლეობაში. სომეხი ბებიაქალი ქალს მუცელზე მასაჟს გაუკეთებდა. თუ ბავშვი შებრუნებულად იყო, მშობიარეს ჯერ "დაფერთხავდა" (ე.ი. გადაწევდა - "ჩაბღერტავდა", ისევე როგორც ზევით აღვწერეთ) და შემდეგ ბავშვს მასაჟით მოაბრუნებდა.

როდესაც ქალის მშობიარობის დრო მოაწევდა, მაჰმადიანები ბებიაქალთან ერთად მიმართავდნენ "ჯინდარჯის" (ადამიანს, რომელიც ავ სულებს ანუ ჯინს ებრძვის შელოცვებითა და ავგაროზებით - "ჰამაილით", (ჰამაილი იგივე ნუსხა, ყურანის სათანადო ტექსტის ქაღალდზე დაწერილი ფრაგმენტია), რომ "ჰამაილი" გაეკეთებინა; ან "ჰამაილს" დროებით სხვისგან ითხოვდნენ.

მშობიარობის დროს თუ ქალი ცუდად გასდებოდა, გონებას დაკარგავდა, მას ყურებს დაუზელდნენ და ზევით აუწევდნენ, თან თოფს გაისვრიდნენ ავი სულის - "ჯინის"* დასაფრთხობად, იტყოდნენ: სროლაზე ჯინი გაეცლება და ქალს გაანთავისუფლებსო. სროლის ხმაზე ქალი შეკრთებოდა და გონს მოვიდოდა. თუ მშობიარობის დამთავრების შემდეგ ისევ ცუდად იყო, გამოიყვანდნენ ცხენს და ქალის დასანახად აქმევდნენ ქერს, მათი შესედულებით, ამას მშობიარეზე კარგად უნდა ემოქმედა (IV; 4;).

ბერძნებ ი, ისევე როგორც ქართველები, მშობიარობის წინ, სამშობიარო ტკივილების შემსუბუქებისა და მშობიარობის გაადვილების მიზნით, ქალს მოსალული ქერის ტკბილ ფაფას აქმევდნენ. დასახმარებლად კი ფეხმძიმე ქალი წმ. მარიამს მიმართავდა თხოვნით: კარგად მამშობიარე და ბავშვით შენს კარებზე მოვალო.

ქვემო ქართლში ბავშვი დაიბადებოდა თუ არა, ბებიაქალი ქიპლარს ჩვეულებრივი მაკრატლით გადაჭრიდა,

---

*ჰაჰმადიანთა შესედულებით ჯინი ადამიანის მსგავსია. თუ მას ვინმე ცდინახავს და ნეხს ჩაურჭობს, სამუდამოდ მისი ტყვე გახდებოდა.

შემდეგ ბამბის ან აბრეშუმის ძაფს მაგრად მოუჭერდა; შაქარს ან ნიგოზს პურის გულთან ერთად გაღეჭავდა, დაამრგვალებდა, ჭიპზე დაადებდა და გადაუსვევდა; ან ფუტურო ხის ფქვილს დააყრიდა და ბავშვს ჭიპს ისე შეუკრავდა. ყველა ეს საშუალება ხელს უწყობდა ჭიპის "მოკრეფა, მომშრალება, მოშუშებას", ე.ი. ჭიპის სწრაფ და გაურთულებლად შეხორცებას და მოსალოდნელი "წყალმანკის" თავიდან აცილებას.

ხუთი, შვიდი, ზოგჯერ ცხრა დღის შემდეგ ჭიპი თავისთავად ძვრებოდა. ჭიპის მოვარდნის შემდეგ თუ ჭიპის არე დასივდებოდა, უმარილო ყველს პურთან ერთად დასრესდნენ და ზედ დაადებდნენ. მომძვრალ ჭიპს ინახავდნენ და სხვადასხვა ავადმყოფობის დროს ბავშვის სამკურნალოდ იყენებდნენ. მაგ., მუცლის ტკივილის დროს გამხმარ ჭიპს წყალში ან დედის რძეში გალესავდნენ და ბავშვს დაალევინებდნენ (ამ მიზნით თხის გამხმარი ნაღველის გამოყენებაც იცოდნენ). თუ ბავშვი გაცივდებოდა ან ტანზე გამოაყრიდა, ჭიპს წყალში ჩააგდებდნენ და ამ წყლით დაბანდნენ.

თუ ჭიპს არ შეინახავდნენ, მაშინ ის მიწაში უნდა ჩაეფლოთ, მისი გადაგდება არ შეიძლებოდა - ცხოველს რომ არ შეეჭამა. ხალხი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა იმას, თუ სად იყო ჭიპი "დამარხული", ითვლებოდა, რომ ამას გარკვეული ზეგავლენის მოხდენა შეეძლო ბავშვის მომავალზე. მაგ., თუ მას სკოლასთან ახლოს ჩაფლავდნენ - ბავშვი "ნასწავლი" გამოვიდოდა; თუ ბაღში, რომელიმე ლამაზი ხის გვერდით - ლამაზი იქნებოდა; თუ სახლთან ახლოს - სახლი ეყვარებოდა და "არა გარე-გარე სიარული" და ა.შ. ამ შემთხვევაშიც, როგორც ვხედავთ, იმიტაციურ მაგიასთან გვაქვს საქმე.

ბავშვის მომყოლსაც ("ამხანაგი" - "ტყუპი") და საფენებსაც, ქალს მშობიარობის დროს რომ ეგო, მიწაში ღრმად ჩაფლავდნენ, "დამარხავდნენ", რომ ძაღლებს არ შეეჭამათ.

თუ მომყოლის გამოძევება გაძნელდებოდა, ბებიაქალი ქალს ბოთლში ჩააბერინებდა, თან მუცელზე ხელს მოუჭერდა

და დააწვებოდა. იცოდნენ აგრეთვე ჭიპლარზე ძველი ქალამნის ძაფით მიბმა - "მომყოლი გამოვიდესო".

ამგვარად თავდებოდა მშობიარობის პროცესი და იწყებოდა დედა-შვილზე ზრუნვის ახალი ეტაპი.

სამი დღე ქალი თივაზე უნდა წოლილიყო; შემდეგ ბებიაქალი მელოგინეს პატარა ბუცელს აუწვევდა, "თავშლით" შეუკრავდა, რომ "საშვილოსნო - სავაშლე დაბინავებულიყო" და საწოლში ჩააწვენდა.

ქალს თუ რაიმე სამშობიარო ტრავმა ჰქონდა, ბებია ქსოვილის ნაჭერს გადამდნარი ზეთისა და სანთლის მალამოს წაუსვამდა, მტკივან ადგილს დაადებდა "მოსაშუშებლად" (ქვემო ქართლში მცხოვრები მაპმადიანები პურის ფქვილში შეურევდნენ "იარფუზის" [პიტნის მსგავსი მცენარეა, ქართული შესატყვისი ვერ დავადგინეთ. ნ.გ.] დასრესილ ფოთოლს და მტკივან ადგილს დაადებდნენ).

მშობიარობის შემდეგ, სისხლდენის შემთხვევაში, ქალს მუცელს მაგრად გაუკრავდნენ -"გაუკოჭავდნენ" და ისე დააწვენდნენ, რომ ფეხები შემაღლებულად ჰქონოდა, ან ფეხებს "კირის წყალში" ჩააყოფინებდნენ, ან ფარსმანდუკის - მელიკუდას (Achillea millefolium L.) და ჭინჭრის (Urtica urens L.) ნაყენს ასმევდნენ და სხვა.

მშობიარობის დამთავრებისთანავე ბებიაქალი ბავშვს ფეხებით დაიჭერდა. თუ ბავშვი "დაბნედილი" - "გაგუდული" დაიბადებოდა, მას სახეში ან საჯდომზე ხელის დარტყმით მოაბრუნებდა. შემდეგ, თბილ ან "ნათლის" ნაკურთხ წყალს შეასხურებდა და იტყოდა:

სუქ-სუქო!
დათვი მჭლე და შენ მსუქანიო,
გაივსე და გახაშხაშდი,
შეგემატოს დღე და ჯანიო.

დაბანის შემდეგ ბავშვს კისერზე, ბეჭებზე, იღლიებში და საზარდულებში აუცილებლად მარილს დააყრიდნენ, რომ არ გამოყელვოდა, იტყოდნენ: "არ გამოეყელება და მაგარი იქნებაო". თუ ახალშობილი ხუსტი - "ბოშე" იყო, მას ყოველ

დაბანაზე წყალში მარილს უყრიდნენ გამაგრება-გაკაჟებისთვის.

ბავშვს 40 დღის განმავლობაში ყოველდღე აბანავებდნენ გობში. წყლიდან ამოყვანის შემდეგ, ნაბან წყალს სამჯერ შეაპკურებდნენ და სანამ არ ჩაიძინებდა, წყალს არც გაანძრევდნენ და არც გადაასხამდნენ, რომ ბავშვს "ტკბილი ძილი ჰქონოდა".

მაპმადიანი მოსახლეობის ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით ბავშვს დედა 40 დღე შემდეგნაირად აბანავებდა: 40 ცალ ქერის მარცვალს ჩააგდებდა წყალში, შემდეგ ამ წყალს სუფრის კოვზით ბავშვს თავიდან ბოლომდე ორმოცჯერ გადაასხამდა.

დაბანის შემდეგ ბებიაქალი ჩვილს მაშინვე საჩვენებელი თითით ყელს ამოუზელდა, "სასას აუწევდა", რომ ძუძუს წოვის დროს "სასა არ ჩამოსვლოდა". შემდეგ მიტკლის ხილაბანდში (XXIII) - "ბარულაში" (XXII) -"ფალასებში", რბილ ნარეცხ ნაჭრებში გასვეულ ბავშვს "ხოჭიჭზე"* მოათავსებდა და დედას გვერდზე ან ფეხებთან მიუწვენდა. ბავშვის ხოჭიჭში ყოფნის დრო ჭიპის მოვარდნით განისაზღვრებოდა, ე.ი. დაბადებიდან ერთი კვირა - ათი დღე.

ჭიპის მოვარდნის შემდეგ ბავშვი აუცილებლად აკვანში უნდა გადაეწვინათ. აკვანს შემდეგნაირად გააწყობდნენ: თავდაპირველად ჩადებდნენ "ჩალახეშს" (საბას მიხედვით: ჩვილის საგებელი, აკვნის საგებელი), რომელიც ჩვეულებრივ ტბის პირებზე დაკრეფილი მცენარეების, როგორც ჩანს, ლერწამის ან "წმინდა" რბილი თივის პატარა ლეიბს წარმოადენდა. გამოიყენებოდა აგრეთვე მატყლის ან ბამბის "ჩალახეშიც", თუმცა უპირატესობა ჩალისას ეძლეოდა, ვინაიდან უფრო გრილი იყო და ბავშვს არ "ჩაახურებდა".

ჩალახეშზე მაგრდებოდა შიბაქი, ბიჭისა და გოგოს შიბაქი ფორმით განსხვავდებოდა. ვისაც შიბაქი არ ჰქონდა, შავ მიწას ნაჭერში გამოკრავდნენ, გააჩწორებდნენ, მისცემდნენ

---

*"ხოჭიჭი" იყო ხწორი ფიცარი, რომელსაც აკვანივით პატარა ფეხები ჰქონდა. სულხან საბას მიხედვით "მცირე აკვანი" (XVII).

პატარა ლეიბის ფორმას და ჩალახეშზე დადებდნენ. შარდის გაწოვის მიზნით, ზევიდან მიტკლის ზეწარს - "ჩარსავს", "ჩარსაფს" გადააფარებდნენ, რომელსაც შეიძლება ირგვლივ არშიაც ჰქონოდა მოყოლებული. შემდეგ ჩადებდნენ "მხართბალიშს" (პატარა ბალიში), ბავშვს ბეჭები რომ დაედო. გადმოცემით, ის ხერხემლის სისწორეს უწყობდა ხელს, "კუზიანი არ გაიზრდება, თავი კი მრგვალი და ლამაზი ექნებაო".

ბავშვს ნაჭერში მაგრად შეახვევდნენ და აკვანში ჩააწვენდნენ. ფეხების სისწორის მიზნით, მუხლებზე "შუსთბალიშს" დაადებდნენ, ზევიდან კი "არტახს" (საბასთან - "არტახი" - ბრტყელი და მაგარი შესაკრავია) გადააკრავდნენ, რომ ფეხები არ ტკენოდა. მეორე არტახს ბავშვს მკერდზე გადააკრავდნენ. არტახი ორმაგი ნაჭრისგან იკერებოდა, რომელსაც ცალ მხარეს ღილ-კილო ჰქონდა, მეორე მხარეს ნაჭერი აკეცილი იყო, რომ შიგ შამფური ან "წმინდა" სუფთად გათლილი ჯოხი გაყრილიყო. ბავშვს სახეზე პირსახურავს, ტანზე კი მატყლისაგან შეკერილ საბანს დააფარებდნენ.

აკვანი ბავშვის ჩაწვენისას ცარიელი არ უნდა ყოფილიყო. თავთან და ფეხებთან ორ-ორ ახალ გამომცხვარ წმინდა ხორბლის პურს - "შუსლის პურს" დაუდებდნენ, რომ ბავშვი "სავსე", "თვალმაძღარი", "დოვლათ-ქონებიანი" ყოფილიყო და სიღარიბე არ ენახა; პურ-მარილიანი გამოსულიყო და შიმშილი არ ცოდნოდა. სამი ან შვიდი დღის შემდეგ "შუსლის პურს" ბებიაქალს გაატანდნენ. ბავშვს გვერდზე ერთ ჯამ ფქვილს და ერთ ჭიქა მარილს ჩაუდებდნენ:-"ბარაქიანად ყოფილიყო და მუდმივად პურმარილი ჰქონოდა". ზოგჯერ, იმავე მიზნით, მარილს და წყალს აკვნის ქვეშ დადებდნენ.

აკვნის საგანგებოდ აღჭურვის შემდეგ იმართებოდა ბავშვის ჩაწვენის რიტუალი, რომელსაც ბებიაქალს ან "ვინმე ხნიერ დედაკაცს" შეასრულებინებდნენ.

ბავშვს აკვანში აუცილებლად - "სავსე" - "ბადრ" მთვარეზე ჩააწვენდნენ, რომ ის მომავალში ბედნიერი ყოფილიყო, კარგი ზრდა და "სავსე ჯანი" ჰქონოდა; დღეც უნდა შერჩეულიყო, "კარგ დღეებად" - სამშაბათი, ხუთშაბათი და

შაბათი ითვლებოდა.

ხალხის შეხედულებით, ახალდაბადებულ ბავშვს და მელოგინეს განსაკუთრებით ერჩოდნენ ავი სულები. ამავე დროს ჩვილი ადვილად "იღებდა" როგორც ცუდ თვალს, ისე კარგ-"სიყვარულის" თვალსაც, რასაც დიდი ზიანის მოტანა შეეძლო მისთვის. "კარგ, სიყვარულის თვალად" ითვლებოდა დედის ან ბებიის თვალი, ადგილობრივთა გადმოცემით, ხშირად დედა ან ბებია, როგორც კი ბავშვზე რაიმე კარგს გაიფიქრებდა ან იტყოდა, ეს ბავშვი მაშინვე ავად გახდებოდა ან მას რაიმე ფათერაკი შეემთხვეოდა.

ავი სულების ასეთ დაინტერესებას დედა-შვილით ადგილობრივი მოსახლეობა ხსნიდა ერთი მხრივ ქალის უწმინდურობით 40 დღის მანძილზე, განწმენდის რიტუალის ჩატარებამდე, მეორე მხრივ - ბავშვის მოუნათლაობით 40 დღემდე. მისი მონათვლა 40 დღის შემდეგ ერთ წლამდე ნებისმიერ დროს შეიძლებოდა. რაც უფრო ადრე მოინათლებოდა უკეთესი იყო, რადგან მონათლული ბავშვი, ხალხის წარმოდგენით, დაცული იქნებოდა ავი სულებისგან. მონათვლამდე კი ავი სულები ბავშვს ძალიან ერჩოდნენ და ამიტომ მათ საწინააღმდეგოდ ამ პერიოდში სხვადასხვა მაგიურ ქმედებას მიმართავდნენ.

ადგილობრივ მკვიდრთა წარმოდგენით ავ სულებს რკინა ეჯავრებოდათ, ამიტომ არტახში შამფურს უყრიდნენ; თან არტახი მძიმდებოდა და ბავშვს განძრევის საშუალებას არ აძლევდა. ავი სულების დასაფრთხობად ჭიშკარზე ან სახლში შესასვლელ კარებზე ცხენის ნალის მიმაგრებაც იცოდნენ. "ავი ქარი" (ავი სული) შინ რომ არ შესულიყო.

როგორც ცნობილია, რკინა და რკინისაგან დამზადებული საგნები, განსაკუთრებით კი იარაღი ავი სულების საწინააღმდეგო ერთ-ერთ უნივერსალიას წარმოადგენს.

ამასვე გვიდასტურებს ხალხური ზეპირსიტყვიერებაც: "ეშმაკმა თქვა, სადაც თბილი საბანია, ნახე ჩემი ბაბანია, საცა ხმალი შიშველია, მე იქ ვერას გიშველია".

გადმოცემით, ავ სულს - ავ ქარს უყვარდა წითელი ფერი,

შავს კი არ ეტანებოდა. ამიტომაც "ჩალახეშის" ქვეშ შავტარიან დანას ან მაკრატელს ამოდებდნენ. ბავშვს თავქვეშ შავ ნაჭერს დაუდებდნენ, რომელსაც ძილის დროს თვალებზე დააფარებდნენ. ნასშირს, ერთ ნატეხ შაქარს და ერთ ლუკმა პურს ერთად გაახვევდნენ და აკვანს დაჰკიდებდნენ ავი ქარის მოსაგერიებლად. იმავე მიზნით ბავშვს თავთან გამზმარი ღორის დინგს ჩამოუკიდებდნენ. აკაკის - "ჰაკიკის" (Celtis) ხისგან ჯვარს გამოთლიდნენ და აკვანზე მიამაგრებდნენ. გარდა ამისა, აკვანზე აუცილებლად უნდა დაეკიდათ "ჩანჩხურა" - "სათვალღვინჭილა". ეს იყო მძივების ასხმა, რომელშიც შედიოდა: "სათვალე მძივი" - (გიშერივით შავი თეთრწერტილიანი ან თეთრლაქიანი მძივი)*, "შვიდ კვირაძალზე [შაბათ სალამოს] შელოცვილი" მრგვალი გიშრის მძივი; "შელოცვილი ღვინჭილა" - "ლოკოკინა მძივი" (უსწორმასწორო, უფრო ხშირად ნიჟარების ასხმა); "ჭიაყელა მძივი" (ტყეში პოულობდნენ) თავი ვიწრო, ბოლო განიერი და სქელი, მთელ სიგრძეზე ჩაჭრილი და ორივე მხარეს ხერხისებრი "მძივების" ასხმა (V; 5); ქარვის მძივი და სხვა.

ადგილობრივთა განმარტებით, ჩვილს მძივების ასხმა ავი თვალისაგან იცავდა და კიდეც ართობდა.

ბავშვს მშვიდი ძილი რომ ჰქონოდა, ნაჭერში გამოკრულ "ასკილის გონჯს", რომელსაც "ძილისგუდასაც" ეძახდნენ (მთხრობელთა აღწერით: "მუწუკივით არის ხეზე გამოყრილი"), თავთან დაუკიდებდნენ. ამგვარად აღჭურვილ აკვანში ბებიაქალი ბავშვს შემდეგი სიტყვებით ჩააწვენდა: "ღმერთო! შენ დასწერე შენი წმინდა ჯვარი".

თუ ბავშვი ვერ იძინებდა, შფოთავდა, ითვლებოდა, რომ მას ავი სულები არ ასვენებდნენ. ხალხის რწმენით, მათი განდევნა მხოლოდ მაგიური ქმედებით შეიძლებოდა, რისთვისაც შავი კატის ბალანს და ნივრის ფოჩს დაყრიდნენ კრამიტზე, წაუკიდებდნენ

---

*ერთ-ერთმა ..ნფორმატორმა შემდეგი ცნობა მოგვაწოდა: "ჩემს შვილს "სათვალე" მძივი აკვანზე გავსკდა. ეს ძალიან კარგია, რადგან აღარასოდეს მიიღებს თვალს" (VII; 22).

ცეცხლს, აკვნის ქვეშ დადებდნენ და "უბოლებდნენ" "უსრჩოლებდნენ"; ან საკმელს დაწვავდნენ და ჯერ აკვნის ირგვლივ შემოატარებდნენ, შემდეგ ქვეშ დაუდებდნენ და "შეუბოლებდნენ"; ან ცეცხლზე დაყრილ შაქარს "შეუსრჩოლებდნენ". ამ შემთხვევაში ცეცხლთან ერთად მაგიური ძალა ენიჭებოდა შავ კატას, ნიორს, სანთელსა და შაქარს.

ხალხის შეხედულებით, ავი ქარი იგივე ავი ანგელოზია, ეშმაკისეულია, რომელიც კვირის ცუდ დღეებში, განსაკუთრებით კი ოთხშაბათსა და პარასკევს, დღეში სამჯერ: დილით, შუადღეს და საღამოს ქარივით დადიოდა. საერთოდ საღამო, მზის ჩასვლის შემდგომი პერიოდი, ავსულთა აქტიურობის ხანად ითვლებოდა. აღნიშნულის გამო კვირის ცუდ დღეებში და დღე-ღამის ზემოხსენებულ მონაკვეთებში ბავშვის ვარეთ გაყვანას ერიდებოდნენ, ან გაყვანისას ტანსაცმელში აუცილებელ ნივთებს (შავტარიანი დანა, მაკრატელი და სხვა) ჩაუდებდნენ. ბავშვს კაკლის ან მუხის ხის ქვეშ არ გაატარებდნენ, რადგან ხალხის რწმენით ავი ქარი ამ ხეებზე ბუდობდა და შეიძლებოდა ბავშვს იქიდან რაიმე დაავადების სახით აჰყოლოდა.

ყველა ზემოთ აღწერილი საშუალება, როგორც აღვნიშნეთ, გამოიყენებოდა ბავშვზე ავი ქარის ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად და წარმოადგენდა ერთგვარ პროფილაქტიკას. როცა ეს საშუალებები არ "ჭრიდა" და ბავშვი მაინც ავად ხდებოდა, ამ დაავადებას ადგილობრივი მოსახლეობა უმეტესწილად "ავ ქარს" მიაწერდა.

ქვემო ქართლში ჩვენ მიერ ფიქსირებული მასალა საშუალებას გვაძლევს ავი სულის, ავი ქარისაგან გამოწვეულად მიჩნეული დაავადებები და მათი მკურნალობის ხალხური საშუალებები პირობითად სამ ტიპად დავყოთ.

I - მსუბუქ ფორმას ახასიათებდა: სიცხე, სისუსტე, ჭირვეულობა.

ჭირვეულ ბავშვს "ძილისგუდა ჭიას" ("მუხლუხისავით" ჭიაა, ფოთლებზე დადის (V; 7)) დაუდებდნენ თავთან

დასაძინებლად. მტირალა, "გაანჩხლებულ" ბავშვს ხშირად დედის რძეში არეულ მცირე რაოდენობის დაფქული ხაშხაშის თესლის მსუბუქ ნაყენს დაალევინებდნენ დასამშვიდებლად.

II შეღარებით რთულ ფორმას ახასიათებდა ბავშვის ფერის შეცვლა: გაშავება-გალურჯება, ჩაბჟირებამდე ტირილი, პირიდან დუჟი - "ბუჟი". დადამბლავება - "დამონავება". ასეთ შემთხვევაში: ბავშვს თავზე ლურსმანსა და კვერცხს შემოავლებდნენ, ლურსმანს იმ ადგილას ჩაარჭობდნენ, სადაც ბავშვი ცუდად გახდებოდა და კვერცხს ზედ დაახლიდნენ; სამი დღე და ღამე გააჩერებდნენ და თან ავი ქარის შელოცვას იტყოდნენ. შემდეგ ღმერთს ახსენებდნენ: "გამჩენო ღმერთო! შველა შენ მიეცი". ან ბავშვს სახეზე შავ ნაჭერს გადააფარებდნენ ისე, რომ მის სახელს არ ახსენებდნენ.

იმ ოთახში, სადაც ბავშვი იწვა, კრამიტზე დაყრილ შაქარს, შავი ქათმის ბუმბულსა და ძაღლის ბეწვს ცეცხლს მოუკიდებდნენ და ირგვლივ "უბოლებდნენ", რომ სუნი დატრიალებულიყო, რაც თითქოს ავ ქარს ეჯავრებოდა, თან შეულოცავდნენ, რის შედეგად, როგორც ამბობდნენ, ავი სულები ავადმყოფ ბავშვს დატოვებდნენ.

ვინაიდან ავი ქარი ბავშვს ბეჭებზე, ხელის და ფეხის გულებზე, იღლიებში და ყურის ძირებში "არტყამდა" - ალურჯებდა ხუთი თითის ანაბეჭდივით, ამიტომაც ამ ადგილებში ძმარში გახსნილ ლილას უსვამდნენ.

თუ ამ ქმედებების შედეგად ბავშვი ამოაღებინებდა, კარგი იყო, იტყოდნენ: "ყველაფერს (ე.ი. ავ ქარსაც, ნ.გ.) ამოიღებსო" და გადარჩენის იმედიც უჩნდებოდათ.

ბავშვის ჭირვეულობა როდესაც დიდხანს გრძელდებოდა, მიმართავდნენ მოლას, რომელიც იძლეოდა "საამ პატარა დაწერილ ქაღალდს". ამას "მოლის ქაღალდს" ეძახდნენ. ერთ ქაღალდს დილით ჩააგდებდნენ წყალში და ამ წყალს ბავშვს დღეში სამჯერ დაალევინებდნენ. ზოგჯერ მოლას დაწერილ ნაჭერში გამოხვეულ ქაღალდს ბავშვს ყელზე ჩამოკიდებდნენ ან ბალიშის ქვეშ ამოუდებდნენ.

ადგილობრივთა გადმოცემით, ზემოაღნიშნული

"მკურნალობა" ბავშვზე კარგად მოქმედებდა, მას აიშეიდებდა, აწყნარებდა და შეიძლება ერთი-ორი წელიწადი ასეთი შეტევა აღარ ჰქონოდა, ხოლო თუ გაუმეორებდა, მაშინ "მკურნალობას" ისევ გაიმეორებდნენ.

III ფორმაში შეიძლება გავაერთიანოთ ის მძიმე შემთხვევები, როცა ბავშვის გადარჩენა პრაქტიკულად ვერ ხერხდებოდა. მის სიმპტომებად მიაჩნდათ: გაშავება და ბეჭებს შუა ხუთი თითის ანაბეჭდი, რომელიც ავი ქარის ხელის ანაბეჭდად იყო მიჩნეული.

ქვემო ქართლში დიდი ყურადღება ექცეოდა ბავშვის სწორ კვებას. მის ძირითად საკვებს დედის რძე წარმოადგენდა, რომელსაც იგი 2-3 წლის მანძილზე იღებდა. დედა ბავშვს ძუძუს დაბადებისთანავე აძლევდა. რამდენიმე დღე სანამ ქალს რძე მოუვიდოდა ჩვილი ხსენით იკვებებოდა.

ბებიაქალის მოვალეობას წარმოადგენდა მშობიარობის შემდეგ (ზოგჯერ მშობიარობამდე) ქალის ძუძუს დამუშავება. ბავშვის კვების წინ იგი მელოგინეს ხველი საპნიანი ტილოთი ძუძუს თავს მსუბუქად დაუზელდა, შემდეგ თბილი წყლით კარგად მობანდა; ბავშვს ლოგინში ჩაუწვენდა, ჩვილს თავს თვითონ დაუჭერდა - ძუძუ მოხერხებულად რომ ჩაედო პირში და ადვილად მოეწოვა. ხსენის მოწოვა აუცილებლად ითვლებოდა, რომ "ძუძუ გახსნილიყო". იმის შიშით, რომ ქალს რძე არ გაშრობოდა - "საწოვარი (რძე) არ გადავარდნოდა", "რძე უკან არ გაბრუნებოდა", ძუძუს სხვასაც (ბავშვს ან ზოგჯერ მოზრდილსაც) მოაწოვებინებდნენ. ასე გრძელდებოდა სამი დღე. ვიდრე ქალს რძე მოუვიდოდა. მანამდე კი, როცა ბავშვს მოშივდებოდა, რადგან ხსენი ნოყიერებას მოკლებული იყო, მარლაში (დოლბანდში) გახვეულ პურთან ერთად გაღეჭილ შაქარს აწოვებდნენ, იტყოდნენ: სიტკბო ჩაუვიდესო.

როდესაც დედას რძე არ ჰქონდა, ბავშვს ძროხის ცხიმგაცლილ რძეს აძლევდნენ. რძე ერთი და იმავე ძროხისა უნდა ყოფილიყო, რომ ბავშვზე რძის შეცვლას ცუდად არ ემოქმედა - კუჭი არ აშლოდა და სხვა.

მელოგინის საკვებზე ზრუნვა არანაკლებ მნიშვნელოვანი

იყო, რადგან ეს განსაზღვრავდა ქალის ჯანმრთელობას, რძის მოყვანას. უფრო მეტიც, არსებობდა შეხედულება, რომ თუ მელოგინე იტყოდა: "შშიაო"- მთელი ქვეყანა დაიმშეოდა, ე.ი. მელოგინეს "მოშიება" არ შეიძლებოდა. ამიტომაც ცდილობდნენ მას საჭმელი არ მოკლებოდა.

დაკარგული ენერგიისა და ჯანმრთელობის აღსადგენად საუკეთესო საკვებს "ხავიწი" წარმოადგენდა, რადგან ხალხის აზრით, მშობიარობის შემდეგ ქალს "იარა გულ-მუცელში ჰქონდა" და შეიძლებოდა მუცლის "ჩსვერა (ტკივილი) ასტეხოდა". მიაჩნდათ, რომ "ხავიწი" იარას ალბობდა - აშუშებდა. მისი დამზადების წესი თითქმის ერთნაირი იყო. ერბოში ჩაყრიდნენ ხახვს, პურის ფქვილს და ერთად მოშუშავდნენ, ან შავ ღვინოს, ცოტა წყალს და პურის ფქვილს ერთად მოადუღებდნენ და ერბოს დაუმატებდნენ.

გარდა ამისა, ქალს სამი დღე ერბოკვერცხს მიცემდნენ. ცივ წყალს არ დაალევინებდნენ, მხოლოდ თბილ, გადადუღებულ წყალს ასმევდნენ, რომ "გულ-მუცელი თავის ადგილზე დამდგარიყო". აძლევდნენ აგრეთვე შავი ღვინის კისელს.

ამავე დროს ქალს ეკრძალებოდა მჟავე და მწარე საკვების მიღება, ითვლებოდა, რომ ეს ცუდად იმოქმედებდა როგორც ქალის ორგანიზმზე, ისე ბავშვზე, იტყოდნენ: "ბავშვს თვალები დაეწირპლება". ქალს არიდებდნენ აგრეთვე - კარტოფილიანი კერძისა და ვაშლის ჭამას. ამბობდნენ, რომ მშობიარობის შემდეგ ქალს საშვილოსნო-"სავაშლე" (ზოგი მთხრობელი სავაშლეს - საკვერცხესაც ეძახის) უზიანდება და თუ ვაშლს შეჭამს, მას "სავაშლე დაებერება და ასტკივდებაო".

რძის მოსაყვანად ჩაის დაალევინებდნენ, ან რძეში არეულ კარაქსა და ფქვილს მისცემდნენ.

ძველი ქართული სამედიცინო ლიტერატურა რძის მოსაყვანად შემდეგ რჩევებს იძლევა: "და თუ სძე ცოტაი ედგას ცერეცოდსა თესლი და ნესვისა თესლისა წყალი ჯულაბსა გარიონ და იხმარებოდეს, და მიწყით თხისა და ფურისა სძესა თეთრითა შაქრით ეჭამდეს, და შორაბასა მუხუდითა და ხახვითა

და ცერეცოიისა თესლითა და ბადიანითა შექნილსა ჭამდეს..." (XXV; 36).

ქალის მკერდზე ზრუნვა ფესვძიმობიდანვე იწყებოდა. ძუძუს თავებს უმი ხახვით უზელდნენ. თუ ასალ ნაშობიარევს ძუძუ მაინც გაუმაგრდებოდა, მიმართავდნენ სხვადასხვა მეთოდს: პირველად, როცა ძუძუ გაუწითლდებოდა, დაუსივდებოდა - "სიმსივნე ექნებოდა", კოკით წყალს მიუტანდნენ, ძუძუს თავს კოკაზე დაადებინებდნენ და ხის საკარცსლით ზევიდან ქვევით დაუკარცხნიდნენ (საკარცსლის მაგივრობას ზოგჯერ თხუნელის გამხმარი ფეხიც ასრულებდა), რადგან ითვლებოდა, რომ ქალს ბეწვი ქონდა ჩაყოლილი და საკარცსელს უნდა გამოეტანა. თუ "სიმსივნე" არ დაცხრებოდა, დაადებდნენ - კომბოსტოს ფურცელს ან ხახვს, შინდის ან ქერის ფაფას, რძეში მოხარშულ ხახვს. იცოდნენ მრავალძარღვას დადებაც. ეს საშუალებები გამწოვად ითვლებოდა, კომპრესის მოვალეობას ასრულებდა, თუ ეს არ უშველიდა, მაშინ დაადებდნენ რძეში მოხარშულ სახვს ან მრავალძარღვას ფოთოლს "გამოსაპირავად", გამოსარწყავად კი ხმარობდნენ ფისიანი თაფლისა და თამბაქოს, ან კვერცხის გულისა და ერბოს ნარევს, პურის საფუარში - "ხაშში" ჩაფხეკილ სარეცხის საპონს; ერთად გადადუღებულ ერთ წილ ერბოსა და სანთელს, ან მზესუმზირის ზეთსა და სანთელს, რომელსაც კვერცხის გულს შეურევდნენ. მთხრობელთა გადმოცემით, ეს მალამოები დამწიფებასა და გამოპირვასთან ერთად ხელს უწყობდა იარის სწრაფ შეხორცებას.

მაჰმადიან მოსახლეობაში ჩირქის "გამოსატანად" ცხვრის დუმაც იხმარებოდა.

დასასველებულ მალამოებს ხმარობდნენ დაირავებული ძუძუს თავის მოსაშუშებლადაც. სუფთა ქსოვილზე წაუსვამდნენ, ძუძუს თავს შემოადებდნენ, ზევიდან კი კაკლის ნაჭუჭის ნახევარს წამოაცმევდნენ, რომ ნახვევს არ ემოძრავა.

თუ მდგომარეობა გართულდებოდა, ე.ი. ჩირქი არ გამოვიდოდა, მიმართავდნენ მარტივ ქირურგიულ ოპერაციას (პუნქციას): ქირურგიული ჩარევა უმეტესად დალაქების საქმე იყო. მსგავს მანიპულაციას ხშირად ბებიაქალებიც ატარებდნენ.

ქვემო ქართლში მცხოვრებ მაპმადიანურ მოსახლეობაშიც მკერდის მოვლა ბებიაქალის მოვალეობას წარმოადგენდა. იგი ზემოაღწერილი "პუნქციის" ჩასატარებლად წინდის გასურებულ ჩხირს სმარობდა.

ოპერაცია შემდეგი თანმიმდევრობით მიმდინარეობდა: მკურნალი (დალაქი ან ბებიაქალი) დაჩირქებულ ძუძუს პიტნის ნაყენით ან საპნიანი წყლით მობანდა და ნესტარის (ლანცეტის მსგავსი დანა) დარტყმით პირს გაუხსნიდა ჩირქის გამოსაპირავად. შემდეგ ფიჭიდან წვერიან სანთელს "ფითილს" გააკეთებდა, მალამოს წაუსვამდა და ჭრილობაში ჩადებდა (იმავე მიზნით გასანთლულ ბამბასაც იყენებდნენ). ამ საშუალებების დანიშნულება ჩირქის ამოღება იყო, ამავე დროს იგი ხელს უშლიდა იარის სწრაფ "პირის მოკვრას" - შესორცებას. სანთელს სშირად უცვლიდნენ. ასე გრძელდებოდა იქამდე, სანამ ჩირქი მთლიანად არ ამოვიდოდა.

შემდეგი ეტაპი ჭრილობის მოშუშებას, შეხორცებას, "ხორცის მოყვანა-მოქსოვას" ითვალისწინებდა. ზემოთ ჩამოთვლილი მალამოები ამ მიზნითაც გამოიყენებოდა.

მელოგინე ქალზე ზრუნვა 40 დღის განმავლობაში, ჩვეულებრივ, ოჯახის წევრთა საქმეს წარმოადგენდა. პირველი კვირის გამოკლებით, როცა ამ მოვალეობას ბებიაქალი ასრულებდა ყოველდღიურად (დედა-შვილის დაბანა, ბავშვის საკვებზე ზრუნვა, ძუძუს დამუშავება და სხვა). მაგრამ, თუ ქალს მომვლელი არ ყავდა (დედამთილი, და ან სხვა), ის თხოვნით მიმართავდა ბებიაქალს - 40 დღის მანძილზე დახმარება გაეწია მისთვის.

ახალნამშობიარებ ქალს სამი დღის მანძილზე საწოლში არ დააწვენდნენ - "სამი დღე ჩალაზე ეგდებოდა". შემდეგ ბებიაქალი მელოგინეს დაბანდა, პატარა მუცელს აუწევდა და "თავშლით" შეუკრავდა, რომ "საშვილოსნო დაბინავებულიყო". მას მელოგინე კვირაში ორჯერ მაინც უნდა დაებანა, ეს მისი მოვალეობა იყო.

ხალხის შეხედულებით, საშვილოსნო - "სავაშლე" მშობიარობის შემდეგ "მოფუტკნული (მოუშუშებელი,

დაუმცხრალი) იყო და დადიოდა (მოძრაობდა, ნ.გ.), 40 დღე ადგილას არ დადგებოდა", ამიტომ მელოგინე უნდა წოლილიყო, საქმეს მორიდებოდა, რადგან ისევ "წესიანი" ქალისა, სისხლის დენის გამო, ისიც უწმინდურად - "მურტლად", "მურდლად" ითვლებოდა.

ამიტომ არსებობდა გარკვეული სასის აკრძალვები, რომლებიც მელოგინეს და მისი ოჯახის წევრებს მკაცრად უნდა დაეცვათ: თუ 40 დღის მანძილზე ქალი მაინც წამოდგებოდა, შას პურს არ გამოაცხობინებდნენ, სადილს არ გააკეთებინებდნენ, რადგან მისი გაკეთებული "უწმინდურად" მიაჩნდათ. კერძს და ცომს საერთოდ არ მიაკარებდნენ. ყანაში არ გაუშვებდნენ: "ბარაქა გაწყდებაო", ჭასთან არ მიუშვებდნენ: "წყალი დაშრებაო", საქონელსაც მოარიდებდნენ რძის დაშრობის შიშით. მელოგინისთვის მთელი - "სავსე" პურის მიწოდება ხელში, არ შეიძლებოდა. პურს გატეხავდნენ და საწოლთან ახლოს სკამზე დაუდებდნენ.

ცდილობდნენ, ორმოცი დღის მანძილზე მელოგინე გარეთ არ გაეშვათ, რომ ავი ქარი არ "შესვედროდა". თუ მაინც მოუხდებოდა გასვლა, რაიმე რკინა უნდა ჰქონოდა ხელში (დანა, შამფური და სხვა). იქ, სადაც მელოგინე იწვა, კარებთან ცეცხლს დაანთებდნენ, ან კრამიტზე დაყრილ ნაკვერჩხალს დადგამდნენ, იცოდნენ ცოცხის მიყუდებაც. მასთან საღამოს შესული ადამიანი შესასვლელში ასანთს გაკრავდა, რომ ავი ქარი დაეფრთხო და ოთახში არ შეყოლოდა. ეს წესი განსაკუთრებით მამაკაცებს უნდა დაეცვათ, ითვლებოდა, რომ ავი ქარი მათ უფრო მეტად "დასდევდა". ოთახში ნასვამი და მითუმეტეს მთვრალი კაცის შესვლა მელოგინესთან აკრძალული იყო.

როგორც ვხედავთ, ეს მაგიური ქმედებები მიმართული იყო ავი ქარის საწინააღმდეგოდ, რომელსაც ადგილობრივ მკვიდრთა წარმოდგენით, დიდი ზიანის მოტანა შეეძლო მელოგინისათვის. აღწერილი გვაქვს შემთხვევა, როცა მშობიარობიდან ორი კვირის შემდეგ ქალი გაგიჟდა. სოფელმა მელოგინეს გაგიჟება ნათესავ ქალს დააბრალა, რომელსაც თითქოს მელოგინეს ოთახში ავი ქარი შემოჰყვა. სწორედ ასეთი

შემთხვევების თავიდან ასაცილებლად, ბებიაქალი მელოგინესთან არავის შეუშვებდა. რა თქმა უნდა, ეს აკრძალვები მელოგინეს პირველ რიგში ინფექციისაგან იცავდა.

ძველ სამედიცინო ხელნაწერში ვსვდებით შემდეგი სახის ცნობას: "...შესაყარი სნეულება ისე ჩქარა არავის შეეყრება, როგორც მშობიარეს და ისე საშიში არავისათვის არის, როგორც იმათათვის" (XI). ეს, თავისთავად სწორი შესედულება სალხშიც იყო გავრცელებული, თუმცა განსხვავებით ძველი სამედიცინო წიგნებისაგან, სადაც მელოგინეს დასნეულების საშიშროება სავსებით რეალურად არის წარმოდგენილი, ხალხური ასხნა ამ შემთხვევაში ირეალურ გააზრებას ვერ სცილდება.

40 დღის მანძილზე მელოგინესთან დაკავშირებული აკრძალვები სშირად უფრო მკაცრი იყო ქვემო ქართლში მცხოვრებ მაჰმადიანურ მოსასლეობაში, მაგ., არ შეიძლებოდა ოჯახში ხორცის, ან ყვითელი ფერის რაიმე ნივთის შეტანა (ყვითელი ყვავილი, მძივი და სხვა), ითვლებოდა, რომ ბავშვი მოკვდება, დედა კი გაყვითლდებაო. მელოგინესთან არავის შეუშვებდნენ, თუ ქალთან მნახველი მაინც მივიდოდა და მელოგინე ცუდად გახდებოდა, ისევე როგორც ქართულ მოსახლეობაში, ქალის ცუდად გახდომას მომსვლელს დააბრალებდნენ.

აღწერილი აკრძალვებიდან ოჯახი 40 დღის გასვლის შემდეგ თავის უფლდებოდა და რადგან ქალის "სიმურტლის" გამო ოჯახიც უწმინდურად ითვლებოდა, აუცილებელი იყო, როგორც მელოგინეს, ისე ოჯახის განწმენდა - "განათვლა". ამ რიტუალს სოფლის მღვდელი ასრულებდა: ოთახში ოთხ მხარეს მირონით ჯვარს გამოსახავდა, შემდეგ ლურსმანს ჩაარჭობდა, თან ლოცვებს ამბობდა, სანთელს ანთებდა ყველგან და ირგვლივ ნაკურთხ წყალს მოაპკურებდა - განათლავდა ბავშვს, მელოგინეს, მათ საწოლებს, ოჯახის დანარჩენ წევრებს და მთელ სახლს.

ამ რიტუალის შემდეგ ოჯახი განწმენდილად ითვლებოდა, ქალსაც აკრძალვები ეხსნებოდა და იგი

ჩვეულებრივ ებმებოდა ყოველდღიურ საქმიანობაში.

"განწმენდილი" ოჯახი "ძეობას" 40 დღის შემდეგ აღნიშნავდა, როგორც ვაჟიშვილის, ისე ქალიშვილის შეძენისას, უმეტესად პირველ შვილზე. მნახველებს ბავშვისთვის საჩუქრები ბოღჩით მოჰქონდათ, ზოგჯერ ბებიაქალსაც დაასაჩუქრებდნენ ხოლმე; ოჯახს კი ხონჩაზე - სინაზე დაწყობილ საჭმელსაც მიართმევდნენ. უფრო მოგვიანებით ფულის მიტანაც შემოვიდა წესად.

ვინაიდან, გარკვეული ხნის მანძილზე, ბებიაქალი მშობიარესა და ასალშობილის მოვლაში მთავარ როლს ასრულებდა, ამიტომ ოჯახი ვალდებული იყო ის შესაფერისი პატივით გაესტუმრებინა. მისთვის აუცილებლად უნდა მიეცათ: ერთი ჩანასი პური, ერთი საპონი, ორი ცალი "მუხლის პური" (რომელიც ბავშვს აკვანში ედო), ხორბალი, ფქვილი, ფული - ვის რამდენის საშუალება ჰქონდა. ზოგჯერ ძეობაზე შეგროვებულ ფულსაც ბებიაქალს აძლევდნენ. მისი ბარაქიანად გასტუმრება ოჯახის შეძლებაზე იყო დამოკიდებული, მაგრამ საპნისა და პურის მიცემა ყველასათვის აუცილებელი იყო.

ქვემო ქართლში დამოწმებული ეთნოგრაფიული მასალა ცსადყოფს, რომ ადგილობრივი მოსახლეობა არც თუ ისე ცუდად ერკვეოდა ქალის ფიზიოლოგიაში, სხვადასხვა საშუალებებით ცდილობდა გარკვეულ გინეკოლოგიურ დაავადებათა მკურნალობას და ზოგ შემთხვევაში დადებით ეფექტს აღწევდა.

ინტერესს იწვევს ადგილობრივი მეანების - ბებიაქალების დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მეთოდი.

ადგილობრივი მეანები ფლობდნენ დიაგნოსტიკის საინტერესო მეთოდებს. მაგ., მილების გამტარობის დადგენის ორიგინალური ხერხი (კვერცხის გულის შეწოვა), დაავადებათა პროფილაქტიკისა და მკურნალობის, ზოგ შემთხვევაში, ეფექტურ საშუალებებს, როგორიც არის მასაჟები, სითბური პროცედურები, მაფიქსირებელი ნახვევებისა თუ კოტოშების გამოყენება და სხვა, რომლებსაც ხმარობდნენ დიფერენცირებულად სხვადასხვა დაავადებათა დროს.

ზემოაღნიშნულ ეფექტურ საშუალებებთან ერთად,

ქალის ფესვძიმობის, მშობიარობისა და ლოგინობის პერიოდში, ადგილობრივი მოსახლეობა ხშირად იყენებდა მაგიურ-რელიგიურ საშუალებებს, პირველ რიგში აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ზოგი წეს-ჩვეულება, რომლებიც მაგიურ ან რელიგიურ ფორმად იყო წარმოდგენილი, ქალზე დადებითად მოქმედებდა. მაგალითად, გარკვეული საკვებისა თუ საოჯახო საქმიანობის აკრძალვა და სხვ.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მშობიარობის დროს (არა მიწის იატაკზე) მიწის სიმბოლიკის აქტიურობა, რაც სამშობიარო ადგილზე მიწის დაყრის წესში მდგომარეობს და თავისთავად მიწის ნაყოფიერების რწმენას ემყარება.

მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ის ფაქტი, რომ ქვემო ქართლში დადასტურებული ზოგიერთი სამკურნალო საშუალება თუ მეთოდი ზოგ შემთხვევაში ანალოგს პოვებს ძველ ქართულ სამკურნალო წიგნებში-კარაბადინებში.

საინტერესო შედეგი მოგვცა ქვემო ქართლში მცხოვრები ქართველი, სომეხი და მაჰმადიანური აზერბაიჯანელი მოსახლეობის სამკურნალო თუ დიაგნოსტიკური საშუალებების განხილვამ, რომლის მისედვით აშკარად გამოჩნდა, რომ ამ სამი ეროვნების მოსახლეობა, ხშირად იყენებდა მსგავს სამკურნალო საშუალებებს, როგორც ჩანს, მათ შორის ეფექტურად მიჩნეული სამკურნალო საშუალებების ურთიერთგაცვლა და გამოყენება ხდებოდა. ქვემო ქართლის ქართველი, სომეხი თუ მაჰმადიანი მოსახლეობა დასახმარებლად ხშირად მიმართავდა ერთმანეთს, რაც სალხის კულტურული მემკვიდრეობის ურთიერთგავლენის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს.

მშობიარობასა და ჩვილ ბავშვის მოვლასთან დაკავშირებული ზემოთ განხილული წეს-ჩვეულებები, ვფიქრობთ, ქვემო ქართლის მოსახლეობის სამედიცინო აზროვნებისა და სამკურნალო პრაქტიკის საინტერესო მხარეს წარმოადგენს.

წყაროები და ლიტერატურა

I აბულაძე ი., ძვ. ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1986

II ბალიაური მ., ბავშვის დაბადების და აღზრდის წესები ხევსურეთში, M., 1, 12. 1938 (ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიული არქივი, ხელნაწერი)

III გვათუა ნ., თეთრიწყაროს რ-ნის ეთნოგრაფიული დღიური, № 2, სოფ. ჰატარა თონეთი, 1990 (ხელნაწერი ინახება ავტორთან)

IV გვათუა ნ., ბოლნისის რ-ნის ეთნოგრაფიული დღიური № 1, სოფ. ქვეში, 1991 (ხელნაწერი ინახება ავტორთან)

V გვათუა ნ., ბოლნისის რ-ნის ეთნოგრაფიული დღიური № 2, სოფ. ხატისოფელი, 1991 (ხელნაწერი ინახება ავტორთან)

VI გვათუა ნ., ბოლნისის რ-ნის ეთნოგრაფიული დღიური № 3, სოფ.რატევანი, 1991 (ხელნაწერი ინახება ავტორთან)

VII გვათუა ნ., დმანისის რ-ნის ეთნოგრაფიული დღიური № 3, 1991 (ხელნაწერი ინახება ავტორთან)

VIII თეიმურაზ მეორე, "სარკე თქმულთა ანუ დღისა და ღამის გაბაასება", თხუზელებათა სრული კრებული გ. ჯაკობიას რედაქციით, თბ., 1939

IX "იადიგარ დაუდი", თბ., 1935

X იმნაიშვილი ი., ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი შანიძის რედაქციით, თბ., 1948 -1949

XI "კარაბადინი", ხელნაწერი № 136, იოანე ბატონიშვილის ფონდიდან, ფ.96რ.

XII მაკალათია ს., მთიულეთი, ტფილისი, 1930

XIII მაყაშვილი ა., ბოტანიკური ლექსიკონი, თბ., 1991

XIV მაჩაბელი ნ., ქორწინების ინსტიტუტი ქართლში, თბ., 1978

XV ოჩიაური თ., ქართლის ექსპედიც. მასალები, სოფ. არბო, 1949 (ხელნაწერი ინახება ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სულიერი

კულტურის ეთნოგრაფიული შესწავლის განყოფ-ში)
XVI. ორბელიანი სულხან საბა, ლექსიკონი ქართული I, თბ., 1993
XVII ორბელიანი სულხან საბა, ლექსიკონი ქართული II, თბ., 1993
XVIII სააკაშვილი მ., გელაშვილი ა., საქართველოს მედიცინის ისტორია, ტ.III. წ. II, თბ., 1958
XIX უსწორო კარაბადინი, თბ., 1940
XX Фрезер Дж., Табу на женщин во время менструаций и родов, Золотая ветвь, М., 1986
XXI Фрезер Дж., Смысл изоляции девушек при появлениях признаков зрелости, Золотая ветвь, М., 1986
XXII ღლონტი ალ., ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, I, 1974
XXIII ღლონტი ალ., ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, II, 1975
XXIV ჩირგაძე ნ., ასპინძის რ-ნის ეთნოგრაფიული დღიური VIII, სოფ. აწყვიტა, 1988 (ხელნაწერი ინახება ავტორთან).
XXV წიგნი სააქიმოდ, თბ., 1936

მეანობისა და გინეკოლოგიურ დაავადებათა მკურნალობის ხალხური ტრადიციები სამცხე-ჯავახეთში

ნინო ჩირგაძე

ქართული ხალხური მედიცინა მდიდარია სხვადასხვა დაავადებათა მკურნალობის მეთოდებითა და საშუალებებით, ასევე პროფილაქტიკური ღონისძიებებით, რაც საერთო ჯამში, ჯანმრთელობის დაცვის ხალხური წესების გარკვეულ სისტემას ქმნის.

ამ კუთხით საინტერესოა ქალის დაავადებათა პროფილაქტიკის წესებისა და საერთოდ მეანობისა და გინეკოლოგიურ სნეულებათა მკურნალობის ტრადიციების შესწავლა, რომელთაც ამჟერად სამცხე-ჯავახეთის მაგალითზე წარმოვადგენთ.

ქალის ჯანმრთელობას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მენსტრუაციის მოსვლის შემდეგ. ეს ნათლად ჩანს მენსტრუაციის მქონე ქალთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებებში*. სამცხე-ჯავახეთში, ისევე როგორც მთელ საქართველოში, თვიურიანი ქალი "უწმინდურად" ითვლებოდა

---

*მსოფლიოს სხვადასხვა ხალხში მენსტრუაციასთან მრავალი ცრუმორწმუნეობა არის დაკავშირებული და თითქმის ყველგან ქალები ციკლის პერიოდში უწმინდურად ითვლებოდნენ. ავსტრალიელი აბორიგენების რწმენით, მენსტრუაციის სისხლის დანახვით ვაჟს თმა უთეთრდებოდა და სქესობრივად უძლურდებოდა. სამხრეთ აფრიკის მეჯოგეების რწმენით თვიურიან ქალს რძე რომ დაელია, მთელი ჯოგი გაწყდებოდა. ავსტრალიელი დიერების რწმენით, თვიურიანს თევზის ჭამა არ შეეძლო, რადგან თევზი გაწყდებოდა და მდინარის წყალიც დაშრებოდა. სუმატრელების რწმენით, თვიურიანი ქალი დათესილ ყანაზე თუ გაივლიდა, ნათესი დაიღუპებოდა და სხვა. ძველად ასეთი ცრუმორწმუნეობა კულტურულ ერებშიც ყოფილა გავრცელებული. მაგ., თვიურიან ქალს თავის მოახლოებით შეეძლო ღვინის ძმრად გადაქცევა, ჭირნახულის დაღუპვა, ბაღ-ბოსტნის გახმობა, რკინის დაჟანგვა და სხვა (XXVI: 137-138).

და მას ბევრი რამ ეკრძალებოდა. სხვადასხვა საოჯახო საქმიანობა, მაგ., პურის გამოცხობა, კარაქის შედღვება, სასტიკად იყო აკრძალული ცოლ-ქმრული ურთიერთობა (ქმარს უწმინდურ ცოლთან მისვლა არ შეეძლო). ეს აკრძალვები და მენსტრუაციის შემდეგ აუცილებელი განბანის წესი, გარდა რელიგიური გააზრებისა, მიმართული იყო ამ პერიოდში ქალის დაზოგვის და ელემენტალური ჰიგიენური წესების დაცვისაკენ. განსაკუთრებით ახალგათხოვილ ქალს უფრთხილდებოდნენ, ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილთან ერთად, ცდილობდნენ მას მძიმე არაფერი აეწია, არ გაციებულიყო. მომავალი თაობის ჯანმრთელობის გარანტიის მიზნით, ქორწინების წინ ხდებოდა ქალის "გაკითხვა"-მისი ჯიშის შემოწმება იმის გამო, რომ გაერკვიათ რაიმე მემკვიდრეობითი დაავადება ხომ არ მოსდგამდა გვარში. თუ ასეთი რამ გამოირკვეოდა, ქალის რძლობაზე უარს ამბობდნენ. საინტერესოა, რომ ძირითადად ხდებოდა ქალის საგვარეულოს შემოწმება დედის ხაზით. გადმოცემით, "ქალს მემკვიდრეობით დაყვებოდა დედისა და დედის მხრიდან მომდინარე ნიშან-თვისებები. აღნიშნულის გამომხატველი უნდა იყოს ხალხური გამოთქმა "ქალსა დედა გაუსინჯე, სამოსელსა ნაწიბური" და სხვა (X:19-29).

ყოველივე ეს თავისთავად მემკვიდრეობით და გინეკოლოგიურ დაავადებათა გარკვეულ პროფილაქტიკას წარმოადგენდა. თუ ქალი რაიმე გინეკოლოგიური სნეულებებით მაინც დაავადდებოდა, მაშინ უკვე სხვადასხვა სამკურნალო საშუალებებს მიმართავდნენ. აქვე შეენიშნავთ, რომ მკურნალობა სიმპტომურ ხასიათს ატარებდა, რადგან ადგილობრივი მოსახლეობისათვის, როგორც გინეკოლოგიური, ისე სხვა სახის დაავადებები, ძირითადად წარმოდგენილი იყო სიმპტომების სახით.

სხვადასხვა სახის გინეკოლოგიური დაავადების ერთ-ერთი სიმპტომი, როგორც ცნობილია, არის საშვილოსნოდან სისხლის დენა, რომელსაც სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობა "ტაბასტას" უწოდებდა. ძველ ქართულში ტაბასტას უფრო ფართო მნიშვნელობა ჰქონდა და, საერთოდ, სისხლის დენას

გულისხმობდა. სულხან-საბა ორბელიანი ტაბასტას განმარტავს, როგორც სისხლის დინებას (XIX), ხოლო ნ. ჩუბინიშვილი - ძნელად შესაწყვეტ სისხლის დენას, რომელიც გულისხმობდა შინაგანი ორგანოებიდან (საშვილოსნო, კუჭი და სხვა) სისხლის დენასაც (XXXVII). აღსანიშნავია, რომ აჭარაშიც საშვილოსნოდან სისხლის დენას "ნაბასტას" "ტაბასტას" ეძახდნენ, რაც მოწმდება აჭარულ "შცირე კარაბადინშიც" (XXV; 70).

როგორც ვხედავთ, აჭარასა და სამცხე-ჯავახეთში ტაბასტა იხმარება ვიწრო მნიშვნელობით და მხოლოდ საშვილოსნოდან სისხლის დენას გულისხმობს.

ადგილობრივი მოსახლეობის გადმოცემით, სამცხე-ჯავახეთში სისხლდენა ქალებს უფრო ხშირად სიცხეში "აუტყდებოდათ". სისხლის შეწყვეტის მიზნით, პირველ რიგში, ქალს ცივ წყალში ჩააყოფინებდნენ ფეხებს და მუცელზე ცივ ტილოს შემოადებდნენ. გარდა ამისა, "ქერუბარის" (ქარვის) მძივს "გალესავდნენ" (დაფხვნიდნენ), ფხვნილს გაცრიდნენ, თაფლში "ამოზელდნენ" და ავადმყოფს აჭმევდნენ. ზემოთ ჩამოთვლილი საშუალებების გარდა, სამცხე-ჯავახეთში სისხლდენის შეწყვეტის მიზნით, გამოიყენებოდა ე.წ. ტაბასტის ბეჭედი, რომელიც ქალს თითზე უნდა კეთებოდა დაახლოებით ერთი თვის მანძილზე. ამბობდნენ, რომ სისხლდენაზე მოქმედებდა ბეჭდის თვალი, რომელი ძვირფასი ქვა იგულისხმებოდა ამ თვალში, ჯერჯერობით ვერ დავამოწმეთ. ტაბასტის ბეჭდები სამცხე-ჯავახეთში თურქეთიდან შემოჰქონდათ და სოფელ-სოფელ ყიდდნენ. როგორც ჩანს, ეს ბეჭედი საკმაოდ ძვირფასი იყო და ყველას არ ჰქონდა საშუალება ეყიდა. იშვიათად, რომ რომელიმე ოჯახს ჰქონოდა იგი. ტაბასტის ბეჭდის მფლობელი ოჯახები ცნობილი იყო და, გაჭირვების შემთხვევაში, ავადმყოფის პატრონი ამ ოჯახს მიაკითხავდა თუ შესაძლებლობა ჰქონდა, შეიძენდა ბეჭედს, თუ არა დროებით ითხოვდა და შემდეგ დააბრუნებდა. არის გადმოცემა, რომ ძველად ასპინძის რ-ნის სოფელ ჭობარეთში ჯვარიძეების ოჯახს ერთი უღელი ხარი მიუცია ტაბასტის

ბეჭედში (XXXI; 67).

საშვილოსნოდან სისხლის დენის შეჩერების მიზნით გამოყენებული ზოგიერთი ხალხური სამკურნალო საშუალება - მაგ., ცივი აბაზანა, საფენი და სხვა თანამედროვე მედიცინის თვალსაზრისითაც მიზანშეწონილია.

როგორც აღვნიშნეთ, სამცხე-ჯავახეთში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ახალგათხოვილი ქალის ჯანმრთელობას. ცნობილია, რომ გათხოვილი ქალის ძირითადი ფუნქცია შთამომავლობის გაგრძელება იყო. იმ შემთხვევაში, თუ ქალს მუცელი დროზე "არ აყვებოდა" ან "ხშირად ეშლებოდა", მიმართავდნენ ხოფლის მეანს - "ბებიაქალს". იგი სხვადასხვა საშუალებით მკურნალობდა "უშვილობას". მაგ., თუ "მუცელი არ აყვებოდა", ურჩევდა დაელია ძროხის შარდი. თუ მუცელი ხშირად ეშლებოდა, უნდა ეჭამა მოხალული სელის ფქვილისა და თაფლის ნაზავი. ქალს, რომელსაც წელი სუსტი ჰქონდა და მუცელი ხშირად ეშლებოდა, ორსულობის პირველ თვეებში წელის გამაგრების მიზნით ბებიაქალი წელს არყით დაუზელდა, კვერცხის "იახს" (ხორბლის ფქვილისა და კვერცხის ცილის ნაზავში შერეული მცირე რაოდენობის მატყლი) "იარდალზე" (ნარეზზე) წაუსვამდა და წელზე შემოაკრავდა. არსებობდა მეორე სახის იახიც (კვერცხის ცილის, პურის ფქვილის, შაბის, ძმრის და არყის ნაზავი), რომელსაც იგივე წესით დაადებდა. ბებიამ იცოდა წელის შეკვრა არყის ხის შავი ფისითაც ან გამდნარ თაფლის სანთელში ამოვლებული ნარმით. ჩვენს მიერ ჩამოთვლილი შემოსადები საშუალებანი სანამ თავისით არ აძვრებოდა, მანამდე ექნებოდა ქალს წელზე შემოკრული. თუ ეს არ უშველიდა, მაშინ "კუპრიელს" (კარგად გასუფთავებული თხის ტყავი, რომლის ერთი მხარე კუპრშია ამოვლებული) შემოახვევდა. კუპრიელს აკრავდა კუპრის მხრიდან. შემოკვრის შემდეგ, ის ნელ-ნელა "ზედვე დაადნებოდა" კანს. გარდა ზემოთ ჩამოთვლილი სამკურნალო საშუალებებისა, ორსული ქალი, მუცლის შენარჩუნების მიზნით, წავიდოდა ვარძიაში და იქ ვარძიის ღვთისმშობელს შეევედრებოდა, რომ მისთვის შვილი შეერჩინა.

უშვილო ქალები და ისინი, ვისაც მუცელი ხშირად ეშლებოდა, მკურნალობდნენ ბუნებრივი აბაზანებითაც. მაგალითად, ვარძიაში ცნობილი იყო მყავე წყალი, რომელსაც სვამდნენ და თან აბაზანას იღებდნენ. ასევე ცნობილი იყო ხერთვისის "დამპალო აბანო". დამპალო ერქვა იმის გამო, რომ იქ ტალახი იყო. ქალები ტალახს ისვამდნენ და შიგ ჯდებოდნენ კიდეც. გინეკოლოგიურ დაავადებათა სამკურნალოდ ყველაზე ეფექტურად ითვლებოდა ასპინძის განთქმული წყლები.

მუცლის მოშლა-მოწყვეტის თავიდან ასაცილებელი სამკურნალო საშუალებები გვხვდება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. მაგალითად, ზემო აჭარაში (XXXVI; 35), ქვემო ქართლშიც მუცლის შენარჩუნების მიზნით ქალს წელს "იახით" უკრავდნენ და სხვა (V; 48).

თუ ზემოთ აღწერილი მკურნალობის შედეგად, ქალს მუცელი მაინც არ აყვებოდა, ითვლებოდა, რომ იგი უშვილო იყო და არაფერი ეშველებოდა; უშვილობა ძალიან "სამძიმოდ" მიაჩნდათ. ასეთ შემთხვევაში ზებუნებრივ ძალებს მიმართავდნენ, იმის იმედით, რომ ისინი რაიმე სასწაულს მოახდენდნენ და ქალს შვილი შეეძინებოდა. პირველ რიგში ფეხშიშველი ქალი ეკლესიაში წაყიდოდა და გარშემო შემოუვლიდა, შეწირავდა "საღვთოს" სალოცავისათვის განკუთვნილ სპეციალურ საკლავს, ზოგჯერ იგი თმას მოიჭრიდა და ტანსაცმელთან ერთად სალოცავში დატოვებდა, თან ღმერთს შეევედრებოდა, შეესმინა მისი მუდარა და შვილი მიეცა.

გარდა ამისა, ადგილობრივთა გადმოცემით, უშვილო ქალები, თუკი მათ ამისი ფიზიკური და მატერიალური საშუალება ჰქონდათ, იერუსალიმშიც მიდიოდნენ, სადაც ორი კლდის თავზე ოდნავ წინ "გადმოშვერილი" კლდე ყოფილა. ქალი აქლემზე უნდა შემჯდარიყო და გადმოშვერილი კლდის ქვეშ გაევლო. სწამდა, რომ ამის შემდეგ შვილი აუცილებლად გაუჩნდებოდა. ამ წესის შესახებ ჩვენ ვერაფერს ვიტყვით, ხოლო რაც შეეხება უშვილო ქალების იერუსალიმში წასვლას სალოცავად, არ იყო გამორიცხული, მით უმეტეს, რომ ასეთი

ტრადიცია საქართველოში, როგორც ჩანს, ძველთაგანვე არსებობდა. როგორც ივ.ჯავახიშვილი გადმოგვცემს, "უკვე V საუკუნის მეორე ნახევარში იერუსალიმში სალოცავად წასვლა მიღებული ყოფილა სხვათაშორის განბორების სალმობისაგან, კეთრისაგან თითქოს განკურნების საშუალებადაც მიუჩნევიათ" (XXXX; 337-338). ყოველივე ზემოთქმული სამცხე-ჯავახეთში "წმინდა მიწის" განსაკუთრებულ თაყვანისცემაზე მეტყველებს.

სამცხე-ჯავახეთში ქალს დაფეხმძიმებისთანავე უფრთხილდებოდნენ. არიდებდნენ ფიზიკურ გადატვირთვა-გადაღლას, სიმძიმის აწევას, გაციებას; მისი საკვებიც განსაზღვრული იყო. ორსულს, უმეტესად, აჭმევდნენ მსუბუქსა და ნოყიერ მოსალული სელის (Linum) ფქვილისა და თაფლის ნაზავს. ადგილობრივთა გადმოცემით, ეს საკვები ხელს უწყობდა მუცლის შენარჩუნებასაც. უშლიდნენ ზოგიერთი სასის საკვების მიღებას, მაგ., ხახვის და ნივრის - იტყოდნენ "ბავშვი წირპლიანი გაჩნდებაო", კურდღლის ხორცის - "ბავშვი ტუჩებში მოკლე გამოვაო", კამეჩის ხორცის, "ბავშვი კამეჩივით ათი თვე რომ არ ეტარებინა", ფეხმძიმესთვის არ შეიძლებოდა ქათმის ელენთის ჭამა და ხელის ხლება, ბაყშს მუქი ლაქა (ტყლიპი) ექნებაო, და სხვა*. ეს შესედულებები გამომდინარეობს იმიტაციური მაგიის პრინციპებიდან და გარკვეული პათოლოგიის ან ფიზიკური ნაკლის ხალხურ ინტერპრეტაციას წარმოადგენს. ამავე დროს არ არის გამორიცხული, რომ, ფეხმძიმობის პერიოდში გარკვეული საკვების მიღების აკრძალვა, მაგ., ცხარე ხასვისა

---

*ზემოაღნიშნული აკრძალვები გავრცელებულია მსოფლიოს მრავალ ხალხში. თურქული ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალის ანალიზის შედეგად ეს საკითხი შესწავლილი აქვს შ.სერებრიაკოვას, რომელიც აკრძალვების საფუძვლად იმიტაციურ პრინციპს მიიჩნევს. ამ პრინციპის მისედვით ტაბუირებული ობიექტის ნეგატიური თვისებები, ტაბუს დარღვევის შემთხვევაში გადადის მედიატორის (დედის) გზით სუბიექტზე-ნაყოფზე (XXIV; 207).

თუ ნივრის, ძნელად მოსანელებელი კურდღლისა და კამეჩის ხორცის გამართლებული იყო.

ორსული ქალის მოვლის, ჩვენს მიერ დამოწმებული, ზოგიერთი ხალხური წესი ანალოგს პოულობს ძველ სამედიცინო წიგნებში. მაგალითად, "იადიგარ დაუდის" მიხედვით, ორსული უნდა ყოფილიყო მოსვენებული, მძიმე საგნები არ უნდა აეწია, არ უნდა მიეღო საფაღარათო და ამოსაღებინებელი საშუალებანი და სხვა: "ამა ნიშნებსა უკან ასრე უნდა, ეს ღედაკაცი მოსვენებით იყოს. არას ახწიოს, არა მიიჭირვოსრა და არც გასახსნელი და არც სარწყეველი წამალი სუას....." (IX; 119).

სამცხე-ჯავახეთში ქალი, როდესაც მშობიარობის დრო მოუახლოვდებოდა, მშობლების სახლში მიყავდათ, იტყოდნენ: "ნაწოობაო" (ნაწვევად, წვევა, სტუმრად მისვლა), "ფეხი იბრუნაო", ე.ი. მამის სახლში დაბრუნდაო. ქალი ორმოცი დღე მაინც დარჩებოდა მშობლებთან, სადაც ის დიდ პატივისცემაში ჰყავდათ.

"აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში XX საუკუნის დამდეგამდე იყო შემორჩენილი ჩვეულება, რომლის მიხედვით, ქალს პირველი შვილი მშობლების სახლში უნდა გაეჩინა და ქმრის ოჯახში ერთი-ორი თვის შემდეგ დაბრუნებულიყო ახალშობილთან ერთად. ამ დროის განმავლობაში ქალის მშობლებს გაწყობილი აკვანიც უნდა შეეძინათ..... ქალი არა მარტო მშობიარობდა მშობლების სახლში, არამედ ახალშობილნიც ერთხანს იქვე იზრდებოდნენ. ქალის "შინ დაბრუნების" ჩვეულება გავრცელებული ყოფილა მთელ კავკასიაში, შუა აზიაში და სხვ. (XII; 15).

როდესაც ქალს "სამუხლე დააყრიდა", ე.ი. სამშობიარო ტკივილები დაეწყებოდა (სამუხლე ტკივილი ნიშნავს სამშობიარო ტკივილს, რადგან ქალი სამცხე-ჯავახეთში მუხლებზე დაჩოქილი მშობიარობდა), დაუძახებდნენ "ბებიაქალს" და ახლო ნათესავ-მეზობლებს. მას ყველა

მიმსვლელი მიუალერსებდა. თავზე ხელს გადაუსვამდა. წინსაფრის კალთას სამჯერ დაარტყამდა და ეტყოდა: "ვთხოვ. ღმერთს წელი და ზურგი გაგესსნეს, მშვიდობით გადარჩი ერთი ხმითა" (VIII: 7). ე.ი. უსურვებდნენ მალე ემშობიარა, მშობიარობის დროის მსოლოდ ერთხელ დაყვირება დასჭირვებოდა.

მშობიარეს ბებიაქალი ესმარებოდა. როდესაც ქალი მშობიარობის წინ "წყლებს დაღვრიდა" მას "მუხლში ჩააჯენდნენ", საშობიაროდ მოამზადებდნენ, ერთი ქალი წინ დაუჯდებოდა. მშობიარე მუხლებში იყო ჩაკეცილი და წინ მჯდომ ქალს ეყრდნობოდა. აქეთ-იქიდან ორი სხვა ქალი ამოუდგებოდა. ერთი მუცელზე აჭერდა ხელებს, მეორე-თაფლიან წყალს ასმევდა, ბებია კი ბავშვს მიიღებდა.

ჩვენს მიერ აღწერილი "ჩოქვით" მშობიარობის მეთოდი, რომელიც დამოწმებულია მთელ საქართველოში, ფართოდ იყო გავრცელებული მსოფლიოს მრავალ სალსში (XXI; 146-147).

მშობიარობის დროს ქალს სისხლის დენა თუ დაეწყებოდა, მაშინ მას მუცელზე ცივ ტილოს დაადებდნენ, ფეხებს კი თბილ კირიან წყალში ჩააყოფინებდნენ, რაც, როგორც ჩანს, სისხლის დენის შეჩერებას უწყობდა ხელს.

მძიმე მშობიარობის შემთხვევაში, ბებია მშობიარეს ცხელ ნაცარში ჩააჯენდა ან წელამდე თბილ წყალში ჩააყენებდა. მან იცოდა საშვილოსნოს ყელის გახსნაც: კარაქწასმულ ხელს საშვილოსნოზე შემოუტარებდა. გართულებული მშობიარობის დროს ყველაზე უებარ წამლად ითვლებოდა ე.წ. "ჩაბერტყვა". მშობიარეს ბალიშზე გულაღმა დააწვენდნენ, ფეხებიდან ფრთხილად აწევდნენ და სამჯერ ყირაზე გადაატარებდნენ. თან "მუცლის წამხდრის ლოცვას" ეტყოდნენ:

აფრასიონის წყალზე, აფრასიონის ხიდი იყო.
ზედ დედა-შვილი გადიოდნენ.
შვილმა დედას მიჯნურობა შეუკვეთა:
იმის ცოდვით ანი დადგა, ბანი დადგა,

უნძრევი ინძრა, ნანძრევი დადგა

ღმერთო შენ დასწერე შენი ჯვარი-ამინ (VIII: 8)*.

გადმოცემით, ასე შეულოცავდნენ მძიმე მშობიარობის დროს და იმ შემთხვევაშიც, როცა ქალს მუცელი სწირად ეშლებოდა. ვფიქრობთ, ამაზე მიუთითებს სიტყვები: "უძრავი იძრა" და "ნანძრევი დადგა". ე.ი. პირველ შემთხვევაში, ბავშვი დროზე რომ დაბადებულიყო - "უძრავი" ნაყოფი "დაძრულიყო", მეორე შემთხვევაში კი მუცლის მოშლის პროცესი შეჩერებულიყო, ნაყოფი "დამდგარიყო", ე.ი. დედას შერჩენოდა. ეს არის ერთ-ერთი სამცხე-ჯავახური ვარიანტი საქართველოში გავრცელებული ანალოგიური შელოცვისა. მძიმე მშობიარობის დროს სხვა საშუალებებსაც მიმართავდნენ, მაგ., თუ მშობიარობა დიდხანს გასტანდა, ბებია მელოგინეს ძველ ქალამანს მიაბამდა წელზე - "წელი რომ ადვილად გასხნილიყო". ამავე მიზნით, მშობიარეს ქმარი სახლის ბანზე ავიდოდა, საკვამურთან დადგებოდა და სამჯერ ჩამოსძახებდა: "ღმერთო, შენ დახმარება გამიწიე და მშვიდობით გადამირჩინე ცოლ-შვილი" (VIII: 8). ის თოფსაც გაისვრიდა, რათა დაეფრთხო "ეშმაკეულობა" (ავი სულები), რომლებიც თითქოს ქალის მშობიარობას უშლიდნენ ხელს. მშობიარობის დაჩქარების მიზნით, ეკლესიის ზარს სამჯერ ჩამოკრავდნენ, თუ ყველაფერი ეს არ გაჭრიდა, მაშინ მოძებნიდნენ ისეთ ადამიანს, ვისაც მოჩხუბარი გველი და ბაყაყი ჰყავდა გაშველებული, მიიყვანდნენ მშობიარესთან, თავზე გადააბიჯებინებდნენ და ის სამჯერ ეტყოდა: გველ-ბაყაყი

---

*საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ჩაწერილია მუცლის წამხდრის შელოცვის სხვადასხვა ვარიანტი. ერთ-ერთი ვარიანტის მიხედვით, დედის ნაცვლად მამა თხოვს შვილს გამიჯნურებას. მაგ., "მამამა სთხოვა შვილსა მიჯნურობა" (VII: 181). ერთ-ერთი ვარიანტის მიხედვით კი შვილი თხოვს დედას მუჯირად ხელის ჯოხად დადგომას. მაგ., "შვილი დედას მიუბრუნდა მუჯირად დამიდექი" (XXIX: 109). არ არის გამორიცხული, რომ აქ სიტყვების ჩანაცვლებასთან გვაქვს საქმე. მაგ., მუჯირის მიჯნურთან. იმ შემთხვევაში თუ ასეთ ჩანაცვლებას არ ჰქონდა ადგილი, შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ლოცვაში მოხსენებული "უნძრევი ინძრა" და "ნანძრევი დადგა" უნდა მოიხდარიყო ამ საზოგადოებისათვის სრულიად მიუღებელი შემაძრწუნებელი ფაქტის ინცესტის შედეგად გამოწვეული შოკით.

გამიშორებია, დედა-შვილი გაშორდითო (XXXI; 46). თუ ამის შემდეგ ქალი იმშობიარებდა, ამ პირს აუცილებლად გარკვეულ "პატივს სცემდნენ". ითვლებოდა, რომ ეს მაგიური ქმედებები ბავშვის დაბადების პროცესს დააჩქარებდა. ადგილობრივი გამოთქმა რომ ვიხმაროთ, "დედა-შვილს გაყრიდა" - ისევე როგორც მოჩ'ᲣᲑᲐᲠ გველსა და ბაყაყს.

გართულებული მშობიარობის ზემოთ აღწერილი ხალხური საშუალებანი მსგავსებას პოვებს საქართველის სხვადასხვა კუთხის მასალასთან და დასტურდება მსოფლიოს სხვადასხვა ხალხში (XXI; 220).

საყურადღებოა აგრეთვე, რომ სამცხე-ჯავახეთში დამოწმებული მშობიარობის წესები, ხშირ შემთხვევაში, ანალოგიურია ძველი ქართული სელნაწერების მონაცემებისა. მაგ., "იადიგარ დაუდის" მისედვით:"და თუ დედაკაცს ტეხა გაუძნელდეს, წელთამდისი თბილს წყალშიგა უნდა ჩასვან და მუცელი და წელი კარგად დაუზილონ. და მიცემის დროს ტატბერი უკანიდაღმა მოუჯდეს და სადამდის თავისი წყალი არ დაღვაროს და მტესიარესა [მშობიარეს, ნ.ჩ.] ხმა არ ეცვალოს, მუხლზედა არ უნდა დასვან და ამთენი აცალონ, რომე თავის წყალი დაღვაროს. და მას უკან ერთი ტეხა კიდევ მოუვიდეს და მერმე მუხლზედ უნდა დასვან და ორკეცი ნაბადი მუხლქვეშ დაუფინონ, დროსა ფიცხლა არ უნდა ისუნთქოს ტატბერი უკანიდაღმა მოუჯდეს მუცელი და ფერდები კარგად და ძალიანად ამოუზილონ....." (IX; 121).

საინტერესოა აგრეთვე ვახტანგ ბატონიშვილის შემდეგი ცნობა: "დესცა აღივსნის დღენი ქალის მუცლად ღებულობისანი, დროსა მტკივნეულობისასა მოუწოდიან გარდა ნათესავთაცა თვისთა სხვათაც ქალთა მრავალთა და დროსა დიდისა მტკივნეულობისასა შევედის ქმარი მისი სახლისა მისისა ჭერსა ჰკრის ოთხთავ მხარესა ისარი....." (XI; 18-19).

როგორც ვხედავთ, ძველთაგანვე საქართველოს არისტოკრატულ წრეებში შეიძლებოდა მშობიარესთან ქმრის შესვლა, რომელიც იქ ჭერის ოთხივე მხარეს ისრების გასროლით ავ სულებს აშინებდა. შემდეგში ეს წესი, როგორც ჩანს, თოფის

სროლით შეიცვალა, მაგრამ ბუნებრივია არა ოთახში, არამედ გარეთ.

გვხვდება ისეთი ფაქტიც, რომ მშობიარობის დროს, ქმარი ცოლს წყალს შეასმევდა ან შეასხურებდა. ვფიქრობთ, მძიმე განსაცდელის ჟამს, ქმრის გვერდით ყოფნა ქალზე თავისთავად დადებით ფსიქო-თერაპიულ ეფექტს ახდენდა და არ არის გამორიცხული, რომ თოფის გასროლაც შოკური თერაპიის ერთ-ერთ პრიმიტიულ ხერხს წარმოადგენდა.

ნახევებით გართულებული მშობიარობის შემთხვევაში, ბებია ერბო-კვერცხს სელის ზეთში მოწვავდა, მატყლზე დაადებდა და ისე ადებდა იარაზე. ბავშვის დაბადების შემდეგ მელოგინეს ცარიელ ბოთლში ჩააბერინებდნენ, იტყოდნენ: ბავშვის ამხანაგი მალე დაიბადებაო, თან ქალს კუჭ-ნაწლავის მოწესრიგების მიზნით "ჩალასმას" (წყალში გახსნილი მაწონი) დაალევინებდნენ. ამის შემდეგ ბებია ნამშობიარებს წელზე სარტყელს შემოუჭერდა - საშვილოსნოს "გულზე რომ არ დაერტყა" და "დიდი მუცელი არ დარჩენოდა". შემოჭერილ სარტყელს იგი ცხრა-ათი დღე ატარებდა.

მშობიარობის შემდეგ ქალს სპეციალურად მომზადებულ ლოგინში დააწვენდნენ. საწოლზე ნაჭერს დააფენდნენ, ზედ გამთბარ მიწას დააყრიდნენ და ზემოდან ნაჭერს დააფარებდნენ, იტყოდნენ: "სითბო ავა ორგანიზმშიო". მიწა ინარჩუნებდა სითბოს და სისველეს გაიწოვდა, რის შედეგადაც ქალი მშრალად და თბილად იწვა.

ბავშვი როგორც კი დაიბადებოდა, ბებია ჭიპლარს ძირში ძაფს მოუჭერდა; მაკრატელს, დეზინფექციის მიზნით, "ჭრაქზე" გადააატარებდა და "ჭიპს" გადაჭრიდა. მეორე ხელში ბებიას ეჭირა ხანჯალი ან ასტამი და იტყოდა: "კარს საკეტი, ბანსა ჯვარი, ღმერთო, შენ დასწერე ჯვარი", ბავშვს პირჯვარს გადაწერდა (XIII; 98). ბავშვს ჭიპი რომ არ გაღიზიანებოდა ე.წ. "დედოფლის პირს" (ერბოსა და სანთულში ამოვლებული რაიმე ქსოვილი) ან დამწვარი ქსოვილის ფერფლს დაადებდა და ჩვრებით გადაუხვევდა. თუ ჭიპი გაღიზიანდებოდა, მაშინ პურის ცომს დაადებდნენ.

როგორც კი ბავშვი დაიბადებოდა, წყალში დაბანდნენ და მარილს მოაყრიდნენ. იტყოდნენ: ოფლიანი არ გამოვაო, სუნი არ ექნებაო, ძვლები გაუმაგრდებაო, მაგარი კბილები ექნებაო და სხვა. ახალშობილისათვის მარილის მოყრა იცოდნენ აგრეთვე ახალგაზრდა ებრაელებმა, სომხებმა და სხვა. საყურადღებოა, რომ ანალოგიურ წესს მიმართავდნენ ძველი ებრაელებიც (XXI: 82). "შენი დაბადებისას, იმ დღეს, როცა დაიბადე, ჭიპლარი არ მოუჭრიათ შენთვის და წყალში არ განბანილხარ, რომ განწმენდილიყავი, მარილით არ გასეხილხარ და ჩვრებში არ გასვეულხარ..... (IV).

როგორც ვხედავთ, ახალშობილისათვის წყალში განბანა, მარილის მოყრა - უძველეს წეს-ჩვეულებათა რიგს განეკუთვნება. ამ შემთხვევაში რაციონალური გააზრების გარდა, ჩანს, ფიგურირებს სიწმინდისა (წყალი) და სიმაგრის, სიძლიერის (მარილი)უძველესი სიმბოლიკა.

ჩვილი ბავშვისა და მელოგინეს მოვლა ბებიაქალის მოვალეობად ითვლებოდა. პირველად ბებია ბავშვს ცივ წყალში "გაავლებდა", ამბობდნენ: "მაგარი გამოვაო", მეორე დღიდან კი ბავშვს უფრო მეტად შაბით, შაქრით ან კვერცხის გულით განზავებულ წყალში აბანავებდნენ. დასაბანად ხმარობდნენ აგრეთვე სხვადასხვა მცენარის ნახარშს ან ნაყენს. განსაკუთრებით პოპულარული იყო ვირისტერფას (Tussilago farfara)* ნახარში. გადმოცემით, ყველა ეს საშუალება ბავშვის ორგანიზმს ამაგრებდა და დამამშვიდებლად მოქმედებდა. ბებია ბავშკს ბანაობის დროს სამჯერ გაუმეორებდა: "დათვი მჭლე და შენ მსუქანი, შეგემატოს დღე და ჯანი". ბანაობის მერე კი ბავშვს თავისივე ნაბან წყალში სამჯერ ჩააყოფინებდა თავს და სუფთა წყალს გადაავლებდა, ეტყოდა: შენი ძილი შენ მოგეცესო.

ჩვილს იღლიები და საზარდულის მიდამო რომ არ "დაიარავებოდა", არ დაწყლულებოდა, დაფუტურებულ ხის

*ტექსტში მოყვანილი ლათინური სახელწოდებები ამოღებულია ა. მაყაშვილის ბოტანიკური ლექსიკონიდან (XV).

"ფქვილს" მოაყრიდნენ.

თუ ბავშვი ავად გასდებოდა, გაცივდებოდა და სიცხეს მისცემდა, მაშინ პანტის (Pyrus caucasica) ან ვაშლის (Malus domestica Borkh.) ნახარშში ჩასვამდნენ, შემდეგ ამოიყვანდნენ და თბილად ჩააწყვენდნენ. ბავშვი თუ აღგზნებული იყო, ჭირვეულობდა და სშირად ტიროდა, მას დასაძშეიდებლად დედის რძეში შეურევდნენ ძალიან ცოტა რაოდენობით ხაშხაშს (Papaver somniferum L), თან ვირისტერფას ნახარშში აბანავებდნენ.

ძვლების გასამაგრებლად კი ჩვილს რძეში კვერცხის გაცრილ ნაჭუჭს უყრიდნენ. როგორც ცნობილია, კვერცხის ნაჭუჭი შეიცავს კალციუმის მარილებს, რომელიც თანამედროვე მედიცინაში ფართოდ გამოიყენება რაქიტის და კალციუმის მარილების ნაკლებობის დროს, ძვლების გამაგრების მიზნით.

ჩვილი ბავშვის ძირითად საზრდოს დედის რძე წარმოადგენდა, რომლითაც იგი დაახლოებით ორ წლამდე იკვებებოდა. ბავშვს ძუძუს აწოვებდნენ დღეში რამდენჯერმე; უმეტესწილად ძუძუს მოწოვების დროს ბავშვი დედას ტირილით ამცნობდა. სამცხე-ჯავახეთში თავდაპირველად, სანამ დედას რძე ჩაუდგებოდა, ბავშვს "ერბოს ძუძუს" (ერბოში ამოვლებული ნაჭერი) ჩაუდებდნენ პირში, რომელიც საწოვარის ფუნქციას ასრულებდა. ბავშვი წოვდა და სამი დღე ამით იკვებებოდა. ამ პერიოდში ზოგჯერ ძუძუსაც მისცემდნენ ხოლმე, ხსენის გამოწოვის მიზნით. მესამე დღეს ბებიაქალი მელოგინეს დაბანდა, შემდეგ მას რძეც მოუვიდოდა და "ერბოს ძუძუ" ბავშვს აღარ დაჭირდებოდა.

დედის რძე ბავშვისათვის ყველაზე უკეთეს საკვებად ითვლებოდა. იგივეს ვკითხულობთ ძველ სამედიცინო წიგნებშიც, მაგ., "ყოვლისა კაცისაგან მისისა დედისა სძე უკეთ შეერგების ყრმასა" (XXXVIII; 37). იმ შემთხვევაში თუ დედას რძე არ ჰქონდა, მაშინ ბავშვს კვებავდნენ თხის რძით, შემდგომ კი ჭადის ფქვილის ფაფაზე გადადიოდნენ.

ახალდაბადებულ ბავშვს თავდაპირველად "ხოჭიჭად" შეკრავდნენ. ხოჭიჭზე დააწვენდნენ, მაგრად გადააკრავდნენ

და დედის ფეხებთან მოათავსებდნენ. ასე კრავდნენ მას სამი კვირის მანძილზე. "ხოჭიჭი" წარმოადგენდა სქელ ფიცარს, მას ქვემოდან სიგანეზე მიკრული ჰქონდა ორი ფიცრის ნაჭერი "ხოჭიჭის ფეხები". სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, ხოჭიჭი არის "მცირე აკვანი" (XIX). ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, ხოჭიჭი საგოგაევების მჭონე ფიცარია, რომელზედაც ასალდაბადებულ ბავშვს დააკრავდნენ (XXVIII). ეს არის ბავშვის საწოლი მოსახერხებელი მწოლიარე დედისათვის, ბავშვი თავის საწოლშია, მაგარზე წევს და თან დედის გვერდით არის.

სამი კვირის შემდეგ ბავშვს მოუმზადებდნენ აკვანს.* აკვანს ამზადებდნენ სხვადასხვა ხის ჯიშისაგან, მაგალითად: იფნის, რცხილის, ფიჭვის და ვერხვის ხისაგან, რაც ასახულია ზეპირსიტყვიერებაში, მაგალითად:

ეს აკვანი კაკლისაო,
ბავშვი მიწევს ცხრა თვისაო,
მამის ხარ თუ დედისაო
იყავ კარგი ბედისაო.
ეს აკვანი ვერხვისაო,
შიგ მწოლარე ხერხისაო,
ეს აკვანი იფნისაო
შიგ მწოლარე სიყრმისაო.
ეს აკვანი ფიჭვისაო
შიგ მწოლარე ბიჭიაო (XXXV; 7).

*ცნობილია, რომ "აკვანი თავისი შიბაქითა და არტასებით საქართველოში შემოიტანეს აღმოსავლეთიდან მომთაბარე დამპყრობმა ხალხებმა მე-13 საუკუნის დასაწყისში. აკვანი მომღევნო ავბედობის პერიოდში გავრცელდა. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ქართულ ფრესკებზე გამოსახული ბავშვის სარეცელი სრულიად არ ჰგავს დღევანდელ აკვანს. საქართველოში დაბადებული ბავშვი თავისუფლად, უარტასოდ იზრდებოდა, როგორც ეს უკანასკნელ დღემდე იყო შემორჩენილი ხევსურეთში" (XII; 57). სხვადასხვა მეცნიერების აზრით, აკვანში გაზრდა გაუმართლებელია. ასეთივე აზრის არიან მ. აბდუშელიშვილი და შ. პატარაია. უფრო მეტიც, მათ მიაჩნიათ, რომ აკვანში გაზრდა მეტად მავნეა, იმდენად რამდენადაც იწვევს ბავშვის თავის ხიგრძის შემცირებას. ირღვევა ხუნთქვის ნორმალური ექსკურსია, ეთარდება რაქიტი და ა.შ. (II; 3-19).

სამცხე-ჯავახეთში აკვანს შენდეგნაირად ეააწყობდნენ. ქვევით დაუგებდნენ თივით გატენილ ლეიბს "ჩალახეშს". სულხან-საბა ორბელიანი "ჩალახეშს" ჩვილთა საგებელს უწოდებს (XIX). ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით - ჩალახეში - აკვანში ჩასაგები ლეიბია - ეატენილი, ჩვეულებრივ ქერის ბურდოთი (XXVIII). ჩალახეშს დააფარებდნენ "ჩვრებს", ზემოდან სუფთა გაცრილ თბილ "ხამ მიწას" (აუთვისებელი მიწა) დააყრიდნენ, მიწაზე კი კელავ ჩვრებს დააფენდნენ, თუ მიწას არ ყრიდნენ, მაშინ აკვანს შიბაქს გაუკეთებდნენ, ხოლო შემდეგ ბავშეს ჩააწვენდნენ და არტახებს გადაუჭერდნენ, ბავშვს მუხლებზე დაადებდნენ "შუხთბალიშს", ფეხებზე კი წამოაცმევდნენ "დოშაკს" (ბამბით გატენილი თხელი ქსოვილი) ფეხები რომ არ გაციებოდა და მუცელი არ ტკენოდა. დოშაკი - დოშაქი თურქული სიტყვაა და ნიშნავს ბუზბულის სქელ ლეიბს (XXVIII). სულხან-საბას მიხედვით, დოშაქი თათრული ტერმინია და "შატქუნის" სინონიმი (XVIII), ხოლო შატქუნი ზოგადად "ტერის", ე.ი. "სამოსელნი"-ს, "ქვეშსაგებელნი"-ს, "საგებელნი"-ს (XIX) ერთ-ერთი სახეობაა, კერძოდ რომელი, იგი უკვე აღარ აზუსტებს.

ადგილობრივ მკვიდრთა გადმოცემით, სამცხე-ჯავახეთში ჩვილ ბავშვებს "მიწაში ზრდიდნენ". აქ იგულისხმება, რომ ბავშვის საგებელში აუცილებლად მიწა უნდა ყოფილიყო დაყრილი. მათივე განმარტებით, მიწა ადვილად იწოვდა შარდს, ამბობდნენ: "შუშავს და სიგრილე არ ექნება". როგორც აღვნიშნეთ, მიწა სითბოს მეტად ინარჩუნებდა და სისველეს იწოვდა. გადმოცემით, ბავშვს ბუასილი და ძვლების დაავადება არ დაემართებოდა. "მიწაში გაზრდის წესი" დასტურდება ქვემო ქართლშიც (VI; 78). ვფიქრობთ, ზემოაღნიშნულთან ერთად ამ შემთხვევაში მიწის ნაყოფიერების რელიგიურ სიმბოლიკას ჰქონდა მნიშვნელობა, რაც შესაძლებელია, მოსახლეობის მეხსიერებას აღარ შემორჩა.

აკვანში ბავშვს პირველად ბებიაქალი "გადაიყვანდა", "სავსე" - ძველ მთვარეზე "ჩაამთვარიანებდა". "მილეულ" - ახალ მთვარეზე ჩვილს აკვანში არ ჩააწვენდა - "მილეული" (სუსტი)

რომ არ გამოსულიყო. აკვნის თავთან და ფეხებთან სანთლებს აუნთებდა და ძილისპირულის ლოცვას ეტყოდა:

დაწვები, დაგეძინება
პირს ჯვარი დაგეწერება,
ცხრა ხატი, ცხრა ანგელოზი
სულ თავით დაგეხვენება,
ჯვარი გწყალობს ჯვარცმული,
ცეცხლში ჩაიწვეს მაცდური,
ღმერთი დაგწერს თავის წმინდა ჯვარს,
კარს ბეჭედი, ერდოს ჯვარი,
ღვთისგან გწყალობს წმინდა ჯვარი.

აკვანში ჩაწვენისას ბავშვს მთვარის სხივი არ უნდა მოხვედროდა, იტყოდნენ: დანაკლდება, დაბეჩავდება, დასუსტდება და კუჭი აეშლებაო (XXXIII; 41). როგორც ს.მაკალათია გადმოგვცემს - თუ ჩვილს კუჭი აეშლებოდა, ამბობდნენ: "მთვარემ დაჭრაო", მაშინ პატრონი მივა "აილუღის" (მთვარის ამომჭრელთან) და ეტყვის, ჩემს ბავშვს ამა და ამ მთვარეზე ჭრისო (ახალი, დამცხრალი, ძველი და სხვა). "მთვარის ამომჭრელი" იმ ღამეს, რომელი სახის მთვარე ბავშვს ჭრის მუცელში, დაჯდება გარეთ, იტყვის ლოცვას და გამოჭრის იმ სახის მთვარეს, რომელიც ბავშვს მუცელში ჭრის. შემდეგ ხელოსანი სიფრიფანა თითბრისაგან გამოჭრის ამ მთვარის სახეს და ბავშვს მარჯვენა მხარეზე დაუკერებენ (XIII; 99). იგივე წესი ჯავახური მასალის საფუძველზე, მცირე ვარიანტული სახესხვაობით აღწერილი აქვს გ. ზედგენიძეს (VIII; 20-21).

საერთოდ სამცხე-ჯავახეთში ბავშვის დაბადების შემდეგ ორმოცი დღის მანძილზე, ე.ი. ქალის ლოგინობის-პერიოდში, სანამ ქალი და ბავშვი გაინათლებოდა, ძალიან ერიდებოდნენ ბავშვის "დაქელვას" - "დაბეჩავებას", ე.ი. ბავშვის დასუსტებას. ბავშვის "დაჩაგვრა", "დაქელვა" მთვარის გარდა შეეძლო: საქონელს, თევზს, მიცვალებულის სულს და სხვა.

გადმოცემით, როდესაც მიცვალებულს მიასვენებდნენ, ბავშვი მაშინვე ფეხზე უნდა წამოეყენებინათ. თუ ისე მოხდებოდა, რომ ბავშვის წამოყენებას ვერ მოასწრებდნენ,

მაშინ მას სასაფლაოზე წაიყვანდნენ. წაიღებდნენ ჩეულებრივ ზედადგარს ან ორ რკინას გადააჯვარედინებდნენ, ბავშვს ზედ დააყენებდნენ და წყალს გადაავლებდნენ. ზოგჯერ სასაფლაოდან სახლში მიწას წამოიღებდნენ, გობში ჩაყრიდნენ და ბავშვს შიგ დაბანდნენ.

როგორც თ.ოჩიაური აღნიშნავს, "ბავშვის დალახვისა და მისი მკურნალობის შემთხვევაში ძირითადად მაგიური ხასიათის მოქმედებებთან გვაქვს საქმე. გასვენების დროს ბავშვის ფეხზე წამოყენება ან აკვნიანად წამოყუღება, სიმპათიური მაგიის საფუძველზე იხსნება; მისი წოლა და ძიღი მიმსგავსებული უნდა ყოფილიყო მიცვალებულთან, რომ ამ მსგავსებას ნამდვილი შედეგი არ გამოეწვია, იგი ფეხზე უნდა აეყენებინათ. ამავე საფუძველზე უნდა აიხსნას მიცვალებულისათვის ბავშვის გულზე შეყენებისა და გამოსვენების დროს მთელი ხალხის ფეხზე ადგომის წესიც, რაც გვიანი სანისათვის ზნეობის ნორმად არის ქცეული" (XX; 21).

ერთმანეთის დაქელვა შეეძლოთ ერთ თვეში დაბადებულ ორ მეზობელ ბავშვსაც. თუ გზაში ორი დედა ძუძუმწოვარა ბავშვებით ერთმანეთს შესვდებოდა, დაქელვის თავიდან ასაცილებლად შემდეგნაირად მოიქცეოდნენ: ორივე დაჯდებოდა ზურგშექცევით, ზურგებმიყუდებულები. ერთმანეთის ბავშვს მოაწოვინებდნენ ძუძუს და ამით ისინი თითქოს დაქელვას აიცილებდნენ. გადმოცემით, რომელი ბავშვიც დაიქელებოდა, ის ავად გასდებოდა, ვინც დაქელავდა, ის, პირიქით "ჯანში მიდიოდა" (VIII; 18-21). მაგალითად, ფშავში მას "მეთვეურს" ეძახდნენ, იტყოდნენ: ბავშვი მეთვეურმა გამილახაო (XIV; 147). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაქელვა ცნობილი იყო საქართველოს სხადასხვა კუთხეშიც.

სამცხე-ჯავახეთში სხვადასხვა მიზეზის გამო ჩვილი ბავშვები ხშირად იღუპებოდნენ. მიზეზი კი ადგილობრივი მოსახლეობისათვის გაუგებარი იყო, ამიტომ, ბუნებრივია, მიმართავდნენ ზებუნებრივ ძალებს და ასრულებდნენ სხვადასხვა რიტუალს. მაგალითად, ახალდაბადებულ ბავშვს სასწორის ერთ მხარეზე, მეორეზე კი მის წონა ხორცს

დადებდნენ და ორივეს ერთად აწონიდნენ. შემდეგ ხორცს მისცემდნენ ბებია ქალს, ის დაილოცებოდა, "რომ დედას შვილი შერჩენოდა". გარდა ამისა, ბავშვს, ხშირად "შეუწონიდნენ" სანთელს, მარილსა და რკინას. შეწონილი სანთელი ეკლესიაში უნდა აენთოთ, ხოლო რკინას კი დიდ ხუთშაბათს "უმძრახად" მჭედელს წაუღებდნენ და გააკეთებინებდნენ პატარა ცულს, გულზე დასაკიდებელ ჯვარს, საძაჯურს და რამდენიმე ცალ ხარის ნალს. ჯვარს, ცულსა და საძაჯურს ბავშვს ჩამოუკიდებდნენ აკვანზე, ხოლო ხარის ნალებს მიაკრავდნენ დერეფნის გარე კარებზე: ერთს ზღურბლზე, მეორეს კი ბალავარზე (VIII; 21).

ჯავახეთში ამავე მიზნით ჩვილი ბავშვის პატრონი დაივლიდა შვიდ კომლს, შეაგროვებდა სააკვნე ფიცარს და ამ ფიცრებით გაკეთებულ აკვანში ჩააწვენდა ასალდაბადებულს. ამასთანავე შეაგროვებდნენ ვერცხლის ან სპილენძის ფულს თუ ნივთს და გააკეთებდნენ გასაღებს, რომელიც მას თვრამეტი წელი უნდა ეტარებინა (XIII; 100). გარდა ამისა, ბავშვი სადაც დაიბადებოდა, ამოთხრიდნენ ორმოს, ზედ შავ ქათამს დააკლავდნენ, ზევიდან წინასწარ დამზადებულ პატარა ზედადგარს დაადებდნენ და მიწას მოაყრიდნენ. ზედადგარში ბავშვს სამჯერ გააძვრენდნენ.

ცნობილია, რომ, ხალხური წარმოდგენების მიხედვით, ჩვილ ბავშვს ხშირად ერჩოდა "ეშმაკეულობა" (ავი სულები), ამიტომ ბავშვს აკვანში ბალიშის ქვეშ ამოუდებდნენ დანას ან მწარე ბლის ტოტს. ზღურბლზე რკინის ნალს მიაჭედებდნენ. ავი სულებისაგან დასაცავად ბავშვს აკვანზე ჩამოუკიდებდნენ "ჩანჩხურას" მძივს, რომელშიც ასხმული იყო: "თვალის მძივი - "ოროჯი" (ღვინჭილა), აყიყი (წითელი მძივია და ზედ გამოსახული იყო ნახევარ მთვარე ვარსკვლავით), თევზის ლაყუჩი, ლორის კოჭები და სხვა" (XIII; 98). ყველა ეს ქმედება ავი სულების საწინააღმდეგოდ იყო მიმართული.

თუ ორმოც დღემდე ჩვილ ბავშვს "წყეულის ქარი" იგივე "უეშური" მოხვდებოდა და ავად გახდებოდა, ამ დროსაც მიმართავდნენ სხვადასხვა მაგიურ საშუალებებს. წარმოდგენა

უემურის შესახებ ძალიან გავრცელებული იყო. გადმოცემით, თუ საღამოს წყალზე ვინმე გადაივლიდა, უემური მაშინვე "დაერთობოდა", მთელ ღამეს ვეღარ დაიძინებდა. უემური ყველაზე მეტად ცხენს და წყალს დასდევდა, ამიტომ მზის ჩასვლის შემდეგ მოტანილ წყალს სახლში არ შეიტანდნენ - უემური შემოყვებოდა. არც ცხენს შეიყვანდნენ, თუ შეიყვანდნენ, მაშინ ფეხ-ქვეშ თოფის წამალს აუფეთქებდნენ, ასევე ექცეოდნენ წყალზე გადმოვლილსაც (VIII; 13-14). თუ გვიან ღამე ოჯახში შევიდოდა ვინმე, ჩვილი ბავშვის პატრონი ასანთს გაკრავდა ან ცეცხლზე ბუმბულს დაწვავდა და იტყოდა: წყეულიმც არის იმის თავი (ეშმაკის, უემურის), უკან გაბრუნდეს თუ მოვიდესო. იცოდნენ აგრეთვე "დახრჩოლება". მაგ. "უზალიკს" (ბალახია) გაახმობდნენ, ცეცხლს წაუკიდებდნენ და ისე "უხრჩოლებდნენ", ან უხრჩოლებდნენ ცეცხლმოკიდებული ფრინველის ბუმბულს, თოფის წამალსა და შაქარს, იტყოდნენ, ბავშვი წყეულისგან მორჩესო.

იმ შემთხვევაში, თუ ბავშვს უემური შეხვდებოდა და ავად გახდებოდა, მიმართავდნენ შემლოცველებს, მათ მიუტანდნენ ავადმყოფი ბავშვის ქუდს, შავტარიან დანას, ნახშირს და ისე შეალოცვინებდნენ.

ჩვენ ვიყავით სამნი ძმანი,
სამებისა შენისა ლოცვისანი.
გვერქვა: კეროს, კუროს და ქრისტინე,
წავედით მთასა სანადიროსა,
ვეძებდით კვალსა ნადირისასა.
ვერ ვპოვეთ კვალი ნადირისა,
ვპოვეთ წყარო ალისა, ეშმაკისა,
შევიპყარი ალი იგი,
ესსა თმანი ალისანი,
წვივნი ჩიქისანი, კბილნი რვალისანი;
თვალთა მოაჭიატებდნენ,
კბილთა მოაკრჭიალებდნენ,
პირთა ლმკრი (დორბლი) გადმოსდებიათ,
მოთამაშობდნენ, მოიცინოდნენ.
კითხეს ანგელოსთა: სად მიხვალთ ეშმაკნო?

მოახსენეს: მოვალთ ადამიანთან,
ხორცის შესაქმელად. სისხლის შესასმელად!
უბრძანეს ანგელოსთა: ეგა აგრე არ იქმნების!
თუ არა დაგიქერთ ასოთა თქვენთა,
ჩავაგდებთ თორნეს გახურებულსა,
სად არა რა ისმის.

შეეშინდათ ეშმაკთ: მოგვიცია თავდებად ღმერთი,სადაც იყვეს წიგნი თქვენი და სახელი თქვენი იხსენიებოდეს,არა შეეეხნეთ მონასა შენსა (სახელი შელოცვილის)აწ და მარადის უკუნით უკუნისამდინ. ამინ (VIII; 15)

ამ შელოცვაში, შესაძლებელია ზოგიერთი რამ გაუგებარი იყოს. ერთი რამ კი ცხადია, რომ აქ აღწერილია ჩლიქისნაირი წვიების მქონე პირდორბლიანი, რკინის კბილებიანი ადამიანის ხორცის მქამელი და სისხლის მსმელი ბოროტი სული - ალი, რომელიც განსაკუთრებით ერჩოდა მშობიარესა და ახალშობილს. მელოგინესთან დაკავშირებით ალი მოიხსენიება ალ.სახანაშვილის მიერ მოყვანილ შელოცვაშიც (XXXIX, 11). სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით, "ალი მშობიარის მაცდურია".

ხაზი უნდა გაესვას ერთ გარემებას, ქართველთა ტრადიციული რწმენა-წარმოდგენების მისედვით, ალი ოქროსთმიანი ლამაზი ქალია. უფრო იშვიათად გვხვდება განსხვავებული შეხედულებაც, რომლის მიხედვით ალი მამრობითი სქესის ავსულია და მისი იერ-სახე ემთხვევა გ.ზედგენიძის მიერ შელოცვაში მოყვანილ აღწერილობას. ამრიგად, ალი მამრობითი თუ მდედრობითი სქესის ავსული, მშობიარე, მელოგინე ქალთან კავშირში განიხილება. ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილი შელოცვის მისედვით, მას ებრძვის და განდევნის ანგელოზი. აქედან აშკარად ჩანს ქრისტიანული და არაქრისტიანული წარმოდგენების სინთეზი. ალი ავსულთა "არაქრისტიანული" კატეგორიაა*, ებრძვიან და ემუქრებიან

---

* არის მოსაზრება, რომ ალი უკავშირდება მუსულმანურ ბოროტ ღვთაებებს ალბასტებს. ოქროსთმიან ქალებს, რომელთა ერთ-ერთი ფუნ.კცია მშობიარეთა შეცდენაა (XVII; I.17-21).

ანგელოზები (ქრისტიანული მოტივი). საინტერესოა, რომ ალ.ხახანაშვილის მიერ მოყვანილ შელოცვაში მშობიარე ქალს იცავენ ქრისტიანი წმინდანები: პეტრე და პავლე (XXXIX.11)

სამცხე-ჯავახეთში ჩვილ ბავშვებს ძალიან არიდებდნენ შეშინებას. როგორც ამბობდნენ, შეშინებით შეიძლებოდა ბავშეს "გული გასკდომოდა ან უშვილო გამოსულიყო". თუ ბავშვი შეშინებული იყო, თაფლიან წყალს დაალევინებდნენ და შეალოცვინებდნენ:

ყმაწვილს შეშინებია, გული გადმობრუნებია;
გულო მოდი საგულესა,
ნუ წაუსვალ სასულესა.
თეთრი ქორი ქანდარასა,
ქათამი საბუდარასა.
გულო მოდი საგულესა,
ნუ წაუსვალ სასულესა.
ღმერთო შენ დასწერე ჯვარი. ამინ (VII: 29).

სამცხე-ჯავახეთში, ისევე როგორც საქართველოს დანარჩენ კუთხეებში, მელოგინე ითვლებოდა "უწმინდურად". ამიტომ მას ორმოცი დღე გარეთ არ გაუშვებდნენ, ცდილობდნენ ამ პერიოდში ქალი არ გაციებულიყო. ცივ წყალს არ დაალევინებდნენ - შიგნეულობა გაუცივდება: "ტამრები" (სისხლძარღვები) ღიაიო - ამბობდნენ და ადვილად გაცივდებოდა. ქალს ამ პერიოდში ეკრძალებოდა მძიმე ფიზიკური შრომა. მას არ შეეძლო "თარო-კედელს მიდგომოდა", არც "ერბო-ქოთანს მიეკარებოდა" - რომ არ წაებილწა. ამბობდნენ: "თაგვი გამრავლდება ძირ-კუთხეში და ბარაქა არ ექნება ოჯახს". არც პურს გამოაცხობინებდნენ, რადგან, მათი აზრით, ქალს ალი დასდევდა და რძე დაეკარგებოდა. თუ მელოგინე გარეთ გავიდოდა, მოსახლეობის წარმოდგენით, შეიძლება სეტყვა მოსულიყო; მას ეკრძალებოდა სხვის ოჯახში შესვლა და სხვა (XXX; 23).

ხალხური წარმოდგენით, მელოგინეს, ისევე როგორც ჩვილ ბავშვს, ძალიან ერჩოდა "ეშმაკეულობა". ამიტომ ავი სულებისაგან დასაცავად, ორმოც დღემდე სხვადასხვა მაგიურ

ქმედებებს მიმართავდნენ. მაგ., საღამო ხანს მელოგინესთან გარედან შემოსულ ადამიანს არ შეუშვებდნენ; ან საქონლის მოსვლისას ქალს არ გაუშვებდნენ გარეთ, რადგან როგორც ამბობდნენ, ადამიანის მსგავსად, საქონელსაც "მოსდევდა წყეული" (ავი სული), რომელიც "დაეტაკებოდა" მელოგინეს და ავად გახდიდა. ავი სულებისაგან დასაცავად ქალს ლოგინზე რკინის ჯაჭვს დაუდებდნენ ან სათევზაო ბადეს ჩამოუკიდებდნენ. ეს წესები დასტურდება თითქმის მთელ საქართველოში.

სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით: "იქმან ბადეთა აბრეშუმთაგან, კარავთა ოქრო - მოპეტელებულთა, ქალთა სამშობიეროდ".

მშობიარობის შემდგომი პერიოდის მდგომარეობის შესახებ მსგავს ცნობებს გვაწვდის ვახტანგ ბატონიშვილი: "რა ჟამს განთავისუფლდის და იშვის ყრმა, წარვიდის მხარობელი მათთა ნათესავთა და მეგობართა თანა და სამშობლოსა ქალისასა, დღესა მესამესა ჟამსა ბინდისასა შეაწევდნენ ქალს ტახტსა ზედა დიდათ ტურფითა საგებლითა და *გარააგდებენ ბადებრ მშვენივრად მოქსოვილსა ბალდახინად* (ხაზი ჩემია, ნ.ჩ) შესრულებადმდე ქალი იგი იყვის ნიადაგ სახლსა თვისსა და ვერსად წარვიდოს" (XI; 18-19). საყურადღებოა, რომ დიდგვაროვნებშიც ქალის საწოლს ბადისებრ ქსოვილს გადააფარებდნენ.

როგორც ცნობილია, ბადეს ძველთაგანვე იყენებდნენ ავი თვალისა და ბოროტი სულების საწინააღმდეგო საშუალებად. გამოთქმულია მოსაზრება, რომ "სიმრგვალე" ანუ წრე თავისთავად აღიქმებოდა, როგორც ისეთი ძალა, ან საზღვარი, რომლის შიგნით ავი სული ვერ შეაღწევდა, რადგან სათევზაო ბადე დანიშნულებით დამჭერია და ამავე დროს მრგვალი, წრიულად ნაქსოვი, ალბათ ამანაც განაპირობა სხვა ბადეებისაგან განსხვავებით მისი ავი თვალის საწინააღმდეგოდ გამოყენება (XVI; 232).

ორმოცი დღის მანძილზე მელოგინე ქალის მოვლა-

გაფრთხილების მსგავს წესებს ვხვდებით მსოფლიოს სხვადასხვა ხალხებში*.

მშობიარობა იწვევდა სხვადასხვა სახის გართულებებს. მელოგინე ქალს საკმაოდ ხშირად აწუხებდა მშობიარობის დროს გამწვავებული ბუასილი, რომლის დროს მელოგინეს უმეტესად "ხორბლის ფაფით" კვებავდნენ. მას შემდეგნაირად ამზადებდნენ: ხორბალს ორი დღე დაალბობდნენ და სველ ნაჭერზე გაშლიდნენ. როცა "აღოჯდებოდა" ე.ი. აჯეჯილდებოდა, გაახმობდნენ, დაფქვავდნენ, მოხარშავდნენ და შეურევდნენ ერბოსა და მარილს. ეს საკვები კუჭის მოქმედებას აწესრიგებდა და ბუასილის გაქრობას უწყობდა ხელს.

სამცხე-ჯავახეთში რძის მოყვანის მიზნით, მელოგინე ქალი მიმართავდა სხვადასხვა საშუალებებს: სვამდა ღიდი რაოდენობით რძიან ჩაის, თუთის (Morus alba L.) ხის ძირების ნახარშს და სხვა.

მეძუძური ქალი ლოგინობის დროს განსაკუთრებით უფრთხილდებოდა მკერდს, ეშინოდა "რძის დაკარგვა", რომლის მიზეზად მიაჩნდათ: გაციება, ნერვიულობა, შიში, ამ პერიოდში ქმართან სქესობრივი ურთიერთობა და სხვა. "ორმოცი დღის შემდეგ ქალი სადაც არ უნდა წასულიყო - მეზობელ ოჯახში, წყალზე თუ სხვა, რძე უნდა "გამოეპატიჟნა", ე.ი. სახლში დაბრუნების წინ იტყოდა: "შამყე გენაცვალე რძეო, არსად დამრჩე, სახლის პატრონი კი მას ზურგიდან წყალს მიაპკურებდა შემდეგი სიტყვებით: "წაიღე, წაიღე შენი რძე, რათ მინდა, აქ რო დაგრჩეს". თუ ქალი რძეს არ "გამოიპატიჟებდა", მაშინ სადაც კი ის ფეხს დაადგამდა, რძე აუცილებლად იქ დარჩებოდა, ე.ი. "რძეს დაკარგავდა". ქალს თუ რძე აღარ "მიუდგებოდა", წავიდოდა ყველა იმ ოჯახში, სადაც იყო ნამყოფი, დაივლიდა ყველა კუთხეს და გამოიპატიჟებდა რძეს: "შამყე და მოდი, საცა

*მსოფლიოს სხვადასხვა ხალხში მელოგინე ითვლებოდა უწმინდურად. მას მშობიარობის შემდგომ პერიოდში ეკრძალებოდა ბევრი რამ და ძალიან უფრთხილდებოდნენ. მაგ., ებრაელები მელოგინეს ოთახს მორთავდნენ ხოლმე ამულეტებით, რათა დაეცვათ ქალი ავი სულებისაგან (XXI, 331).

იყვე დაკარგული, ბავშვი შიმშილით მიკვდება" (VIII; 25). თუ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საშუალება არ გაჭრიდა და ქალს რძე მაინც "არ მოუვიდოდა", მაშინ ურძეო ქალები წავიდოდნენ სოფ. მურჯახეთში, რომელიც ცნობილ იყო თავისი ქვის სვეტით "ძიქვა"-თი (რძის ქვა). მეორე ამგვარი სვეტი ასლა წაქცეულია და მას "ლალიას" ეძახიან. გაღმოცემით, "ლალია ძიქვას ძმა ყოფილა". არის მოსაზრება, რომ ეს მეგალითები წარმოადგენს ფალოსის გამოსასულებას, რომელსაც წარმართობის დროს თაყვანს სცემდნენ, როგორც ნაყოფიერების ღვთაებას (XIII; 114). ქალი წავიდოდა ამ სვეტთან თავის ბავშვთან და ძმასთან ერთად. თან წაიყვანდა "საღვთოს" (ცხვარი, ქათამი, მტრედი და სხვა). ძიქვასთან მისვლისას, ბავშვს იქვე ახლოს დააწვენდა და იტყოდა: "ბავშვს შეიბრალავს და რძეს მომცემს". იმ ღამეს იქ გაუთენებდნენ, მეორე დილას კი საღვთოს დააკვლევინებდნენ: თავსა და ფესსა სვეტის ძირში ჩაფლავდნენ, ხორცს კი ვინმე ღარიბს _მისცემდნენ. ქალი სანთლებს აანთებდა, მუხლის მოდრეკით შემოუვლიდა გარშემო სვეტს, თან კარაქს წაუსვამდა, იმავე კარაქიან ხელს ბავშვს გამოუსვამდა პირში, ძუძუზეც მოისვამდა და ძიქვას ამ სიტყვებით შეევედრებოდა: "შენ მომიყენე რძე, მშიერს ნუ მომიკლავ ბავშვს". როდესაც ქალები ძიქვასთან ლოცვას მორჩებოდნენ, მიეიდოდნენ "ლალიასთან" და ახლა მას შეევედრებოდნენ რძის მიცემას: "შენ მადლიანი ხარ, ღმერთსა სთხოვე და დაგალალია, ჩვენ მოგვეცი სათხოვარი, იმის ძმა ხარ და რძე მოგვეცი". ლალიასაც სანთლებს აუნთებდნენ და მუხლის ჩოქვით შემოუვლიდნენ. წასვლისას ურძეო ქალები ძიქვის მიწას წაიღებდნენ თან და ისე წავიდოდნენ, რომ ძიქვასა და ლალიასთვის არ შეეხედათ, რათა მათი თხოვნა შეესრულებინათ. სახლში მისვლისას ქალი ძიქვას მიწას წყალში გახსნიდა და ამითი დაიბანდა დედაც და შვილიც. ამის შემდეგ ქალს რძე "მიუდგებოდა" (VIII; 22-24).

თუ ქალს მკერდი ატკივდებოდა, გაუმაგრდებოდა, გაუწითლდებოდა და შეუსივდებოდა (ე.ი. მასტიტის დროს), რომლის მიზეზად ძუძუს გაციება ან რძის ჩადგომა-ჩაგროვება ითვლებოდა (ბავშვი კარგად ვერ წოვდა, ან ძუძუს თავების

დასეთქვის შემთხვევაში დედა კარგად ვერ აწოვებდა), მიმართავდნენ სხვადასხვა სამკურნალო საშუალებებს. მაგ., სიმსივნის დასაცხრობად ძუძუზე დაიდებდნენ კორდისა (დაუმუშავებელი მიწა) და დოს, ან თისისა და დოს ნაზავს და მკერდს თბილად შეისვევდნენ. გარდა ამ საშუალებებისა, ზოგჯერ ქალი წყლით სავსე კოკას დადგამდა, ძუძუებზე თმას გადმოიშლიდა და კოკაზე ჩამოიეარცხნიდა, ან ვინმე სხვა უმეტესწილად ბებია, თან იტყოდა: ბეწვი იქნება ჩაყოლილი და იმიტომ ტკივა, ეს მოარჩენსო. თუ ქალს ძალიან ჰქონდა მკერდი გამიზეზებული, მაშინ ბანიდან წყალს ჩამოაქცევდნენ და სადაც დაესხმებოდა, იმ ადგილას ლურჯ ნაჭერს დაასველებდნენ, გასაპნავდნენ და ისე დაიდებდნენ ძუძუზე (VIII; 25).

ყველა ჩვენს მიერ ზემოთ აღწერილი, ხალხური სამკურნალო საშუალება, რომელთა შორის მაგიურ ქმედებებსაც აქვს ადგილი (წყლის ჩამოქცევა), როგორც ჩანს, ხელს უწყობდა ანთებითი პროცესის ღაცხრობას და ტკივილის დააყუჩებას.

მკერდის გამაგრების სამკურნალო ანალოგიური საშუალებანი გავრცელებულია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. აღსანიშნავია, რომ ძველ ქართულ სამედიცინო წიგნებში საკმაო სიზუსტითაა აღწერილი გამაგრებული მკერდის მკურნალობა. მაგ., "დედაკაცსა თუ რძე დააკლდეს, მისი ნიშანი ეს არის, რისგან არის, თუ გუნება მწოვედ მხურვალი ანუ ნამეტნავად გუნება გრილი არის ანუ ყუითელი და რომე დასდვა ცხელი იყოს, მუდმათ იისა ზეთსა ძუძუსა შემოსცხებდი და ნელ-თბილსა წყალსა ძუძუსა და მკერდსა. ზედა ასხემდი დაშექმნილი იყოს, და ნედლიოა-ქინძისა წვენითა დაასხი ზედა, აკვარსა შიგა კარგად დაზილე რომე მალამოსავითა შეიქნას და ტლედ ძუძუსა ზედა შემოსდევ..." (XXVII; 153).

რძის მოყვანისა და მკერდის გამაგრების საწინააღმდეგოდ გამოყენებული ზოგიერთი ხალხური საშუალება, თანამედროვე მედიცინის თვალსაზრისითაც შეიძლება მიზანშეწონილად ჩაითვალოს: რძიანი ჩაის მიღება,

მკერდის გამაგრების შემთხვევაში სხვადასხვა საცხებლების გამოყენება.

სამცხე-ჯავახეთში მელოგინეს ორმოცი დღე რომ შეუსრულდებოდა, "გასუფთავების" მიზნით, დილას ადრე ადგებოდა, დაიბანდა, მოიტანდა წყალს, ბავშვის აკვანს დანამავდა და თვითონაც დალევდა. ამის შემდეგ, მელოგინეს ოჯახი მღვდელს მოიყვანდა. ის ოჯახს განათლავდა, "ნათლისწყალს" "ძირ-კუთხეში" მოასხამდა, ლოგინსა და ოჯახის წევრებსაც შეასხურებდა. ამ რიტუალის შემდეგ ქალი უკვე განწმენდილად ითვლებოდა და მას ჩვეულებისამებრ შეეძლო ნორმალურ ცხოვრებას შედგომოდა. მელოგინის გასუფთავებისა და ოჯახის განათვლის წესი დასტურდება მთელ საქართველოში და ასევე მსოფლიოს სხვადასხვა ხალხებში*.

მელოგინეს ოჯახში, მშობიარობიდან ერთი თვის თავზე მივიდოდნენ ნათესავები და ახლობლები სუფრით. მიჰქონდათ ქადა, ერბო, კვერცხი, არაყი, ჰალვა, თაფლი და სხვა. ამ რიტუალს "ლოგინის ძღვენის მოტანას" უწოდებდნენ. ეს წესი დასტურდება საქართველოს სხვადასხვა კუთხეშიც (X; 108).

რაც შეეხება "ძეობის" - "ძიობის" გადახდას, სხვადასხვა ავტორი მიიჩნევს, რომ ის ერთი კვირის თავზე იმართებოდა. ჩვენ ძეობის ზუსტი დრო ვერ დავადგინეთ. სავარაუდოა, რომ მას ორმოცი დღის შემდეგ იხდიდნენ, როდესაც მელოგინე და სახლი გაინათლებოდა. ეს ძირითადად ვაჟის დაბადებას უკავშირდებოდა. ამ დროს მოწვეულები იყვნენ ის ქალებიც, რომლებიც ესწრებოდნენ მშობიარობას. გაიშლებოდა სუფრა და ოჯახის უფროსს აირჩევდნენ თამადად. პირველი სადღეგრძელო იყო ბავშვისა და დედ-მამისა, რომელიც შემდეგი სიტყვებით დაილეოდა: "ღმერთო შენ წყალობდე ამ ოჯახს, მის კერას, გაუზარდე ახალი შეძინებული, დედ-მამიანი იყოს, ვისაც არ უნდოდეს იმასაც მიეცი". შემდეგ თამადა ადღეგრძელებდა

---

*მსოფლიოს ბევრ ხალხებში მელოგინეს გასუფთავება-განწმენდის ცერემონიალი ტარდებოდა სხვადასხვანაირად, მაგ., აბაზანები, დაბანა, დახრჩოლება (XXI: 334).

იქ მყოფ ყველა ქალს. ბოლოს კი დაემშვიდობებოდნენ ოჯახს შემდეგი სიტყვებით: "მშვიდობით აგელაგოს ლოგინი, დედ-მამიანი იყოს, გაგეზარდოს, სხვაც მრავალი გაგეტარებინოს მელოგინეობა" და წავიდოდნენ სახლებში (VIII; 10). ეს მასალა ნათლად მიუთითებს, რომ ძეობის გადახდის წესი "ლოგინობის დამთავრების" პერიოდს უკავშირდებოდა.

"ბებიაქალი" ერთი კვირის განმავლობაში რჩებოდა მელოგინესთან. მის მოვალეობად ითვლებოდა დედისა და ჩვილი ბავშვის მოვლა-პატრონობა. ამ რეგიონში ბებიაქალებს თავისი ცოდნა ხშირად შთამომავლობით ჰქონდათ მიღებული. ზოგმა თავისი უშუალო სპეციალობის გარდა, სხვადასხვა დაავადების მკურნალობაც იცოდა შინაური წამლებითა თუ შელოცვებით.

ბებიაქალი ძალიან დაფასებული იყო. მისთვის დაკანონებული გასამრჯელო არ არსებობდა, მაგრამ მელოგინეს ოჯახი მას აუცილებლად პატივს სცემდა. გაშლიდა სუფრას, რომელსაც "შუხლის პურს" ეძახდნენ. შესაძლებელია ეს ტერმინი დაკავშირებული იყო ქალის მუხლებზე დაჩოქილ მშობიარობასთან. სახლში წასვლის წინ ბებიას აჩუქებდნენ საპონს (რომლითაც ის ბავშვს აბანავებდა), "ჭიპის მოჭრის საჩუქარს" (შეიძლება ყოფილიყო რაიმე საკაბე ნაჭერი), ერთ კოდ პურს და სხვა. ე.ი. გარკვეულ ტრადიციულ გასამრჯელოს ბებია მაინც იღებდა. საერთოდ, ის მელოგინე ქალის ოჯახთან ურთიერთობას შემდგომშიც არ წყვეტდა.

ბებიაქალის ინსტიტუტი ცნობილია თითქმის მთელ საქართველოში, ზოგიერთი მთიანი რეგიონის გამოკლებით. მეანს სხვადასხვა დროს სხვადასხვა სახელი ერქვა: "ამქმელი" ან "ამქმელი დიაცი", "დედათ-მოურავი", "ტატბერი", "ბებია" და სხვა (XXIII; 174). სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, ამქმელი ეს არის "მომნათლავი, გინა დედათ-მოურავი, რომელ არს მეანი" (XVIII;). ილია აბულაძის მიხედვით - ყრმის აღმქუმელი ბებია ქალია, რომელიც მოიხსენიება ბიბლიის ძველ თარგმანებში, მაგ., "ყრმის - აღმქუმელსა ებრაელსა ვეძიებ" (III).

ცნობილია, რომ სამცხე-ჯავახეთში სხვადასხვა ეროვნებისა და სარწმუნოების მოსახლეობა ცხოვრობდა. აქ

ბუნებრივია, მეანობის პრაქტიკას ქართველებთან ერთად ეწეოდნენ სომეხი, მაჰმადიანი და კათოლიკე ბებიაქალები. აჭარლები ბებიაქალს "ებეს" ან "ნენიას" , სოლო სომხები "ტადმერს" ან "დაიაკს" ეძახდნენ (XXXIII; 11). საჭიროების შემთხვევაში ბებიაქალები არ ერიდებოდნენ სხვა სარწმუნოებისა და ეროვნების ქალების მომშობიარებას. მაგ., ახალციხელ ებრაელთა გადმოცემით, ბებია იმდენად დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა, რომ ხშირ შემთხვევაში მას ქრისტიანები და მუსლიმანებიც იწვევდნენ და პირიქით (XX; 175).

საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოს სხვა ხალხებში, სადაც ადგილობრივი მეანის ინსტიტუტი მოწმდება, ბებიაქალები დიდი პატივისცემით სარგებლობდნენ (XXI;134).

ზემოთ მოყვანილი მასალიდან ჩანს, რომ სამცხე-ჯავახეთში ქალის, განსაკუთრებით კი ასლად გათხოვილი ქალის, ჯანმრთელობის დაცვა რაციონალურ ხასიათს ატარებდა. ეს შეეხება, როგორც პროფილაქტიკურ, ისე სამკურნალო საშუალებების გამოყენებას. რაციონალურად უნდა ჩაითვალოს მენსტრუაციის და ფეხმძიმობის დროს რელიგიური აკრძალვების სახით ჩამოყალიბებული წესები, რაც ამ პერიოდში ქალის დაზოგვის, სქესობრივი კავშირის შედეგად მოსალოდნელი გართულებების, ასევე გაციების და ინფიცირების აცილებისაკენ იყო მიმართული.

თანამედროვე მედიცინის თვალსაზრისით, ვფიქრობთ, ყურადღებას იმსახურებს გინეკოლოგიურ დაავადებათა მკურნალობის საშუალებები, საშვილოსნოდან სისხლის დენის დროს - ცივი საფენები და აბაზანები, უშვილობის მკურნალობა სხვადასხვა შემოსადებებით და მაფიქსირებელი ნახვევებით (იახი, კუპრიელი და ა.შ.), ასევე ბუნებრივი თბილი წყლის აბაზანებითა და ტალახით (ხერთვისისა და ასპინძის აბანოები).

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სამცხე-ჯავახეთში ქალი მშობიარობდა ადგილობრივი მეანის - ბებიაქალის დახმარებით, რომელიც საკმაოდ კარგად ფლობდა თავის სპეციალობას. ეს კი პირველ რიგში ხელს უწყობდა

მშობიარობის დროს მოსალოდნელი გართულებების თავიდან აცილებას, ხოლო გართულებების შემთხვევაში ბებიაქალის აქტიური ჩარევით (მაგ., მუცელში ბავშვის შემობრუნების თავისებური მეთოდებით, საჭიროების შემთხვევაში საშვილოსნოს ყელის გახსნის მსუბუქი მასაჟის საშუალებებით, მშობიარობის შემდეგ სისხლის დენის შესაჩერებლად ცივი კირიანი წყლის აბაზანების გამოყენებითა და სხვა).

ვფიქრობთ, მშობიარობის და შემდგომ ლოგინობის პერიოდში დადებით ფსიქოთერაპიულ ეფექტს ახდენდა აგრეთვე ქალის ჩვეულ გარემოში მშობლების ოჯახში ყოფნა, ასევე მძიმე მშობიარობის შემთხვევაში ქმრის სიახლოვის განცდა და სხვა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ლოგინობის პერიოდში, განსაკუთრებით კი პირველ კვირას ახალშობილისა და ნამშობიარები ქალის მოვლა, მკერდის დამუშავება და სხვა ბებიაქალის მოვალეობას წარმოადგენდა. ამ პერიოდში ქალი მოსვენებული იყო, თავისუფლდებოდა ახალშობილის მოვლისაგან, ეს განსაკუთრებით პრაქტიკული იყო ახალგაზრდა ქალისათვის პირველი მშობიარობის შემდეგ. 40 დღის მანძილზე გამოუცდელი დედა მშვიდად სწავლობდა და ეჩვეოდა ბავშვის მოვლას.

საინტერესოა ახალშობილის "მიწაში გაზრდისა" და მელოგინეს "მიწაში დაწვენის" წესი. მიწაში დაწვენა, თანამედროვე ინფორმატორების ახსნით, მხოლოდ ბავშვისა და ქალის სიმშრალესა და სითბოს ემსახურებოდა. ეს შესაძლებელია მართლაც ასეა - მიწა სისველეს კარგად ატარებს და სითბოს ინარჩუნებს, მაგრამ, ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში, მიწის ნაყოფიერების სიმბოლიკას უნდა ჰქონოდა გარკვეული მნიშვნელობა.

როგორც აღვნიშნეთ, სამცხე-ჯავახეთში დამოწმებული ქალის მშობიარობასა და ჩვილი ბავშვის მოვლასთან დაკავშირებული ბევრი მაგიურ-რელიგიური წესი თუ ქმედება რაციონალურ ხასიათს ატარებდა. ზოგიერთ შემთხვევაში მოქმედებდა მხოლოდ ფსიქოთერაპიული ეფექტი (მაგ., შელოცვების დროს და სხვა). რიგი მაგიურ-რელიგიური

ქმედებების, აგრეთვე ზოგიერთი სამკურნალო საშუალებების, მაგ., ქარვის მძივებისა თუ ტაბასტის ბეჭდის ტარების წესი და სხვა მოქმედების ეფექტურობის დადგენა და ახსნა ჯერჯერობით ჭირს, თუმცა ამ კუთხით კელევა გარკვეულ პერსპექტივას სახავს.

განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ სამცხე-ჯავახეთში დამოწმებული მეანობისა და გინეკოლოგიურ დაავადებათა მკურნალობის ხალხური ტრადიციები საკმაოდ ახლოს დგას ძველ ქართულ კარაბადინებში აღწერილ ანალოგიურ წესებთან, რაც ძველი ქართული კლასიკური მედიცინისა და სამცხე-ჯავახეთში მოსახლეობის სამედიცინო ტრადიციების ურთიერთკავშირსა და ურთიერთგავლენაზე მეტყველებს.

წყაროები და ლიტერატურა

I Abdullayev, Bahlul - Mythological Image of Alarvady (Albasty) in the Azerbaijan Birth Rites. კრბ. Folk Belief Today. Tartu, 1995

II აბდუშელიშვილი მ., პატარაია შ., ადრეული ასაკის ბავშვთა აღზრდაში მავნე ტრადიციის შორეული შედეგები, თბ., 1978

III აბულაძე ილ., ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ.,1979

IV ბიბლია, ეზეკ. 16:4,5

V გვათუა ნ., დმანისის რ-ნის ეთნოგრაფიული დღიური III, 1991 (ინახება ავტორთან).

VI გვათუა ნ., ბოლნისის რ-ნის ეთნოგრაფიული დღიური II, 1991 (ინახება ავტორთან).

VII გველ-მოვკალ უფლისათვის. ქართული შელოცვები თბ., 1992

VIII ზედგენიძე გ., ჯავახეთი, მშობიარობა, ბავშვის აღზრდა. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიული არქივი 1, 67, 1946

IX იადიგარ დაუდი, თბ., 1985

X იველაშვილი თ., საქორწინო წეს-ჩვეულებანი სამცხე-ჯავახეთში, თბ., 1987

XI ისტორიებრი აღწერა ვახტანგის მიერ (კაკაბაძის გამოცემა), ტფ., 1914

XII კაპანაძე ნ., ბავშვის აღზრდის ქართული ხალხური ტრადიციები, თბ., 1994

XIII მაკალათია ს., მესხეთ-ჯავახეთი, თბ., 1938

XIV მაკალათია ს., ფშავი, თბ., 1934

XV მაყაშვილი ა., ბოტანიკური ლექსიკონი, თბ., 1991

XVI მირიანაშვილი ქ., სათევზაო ბადეების რელიგიური მნიშვნელობა. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XXIII თბ., 1987

XVII Мифы народов Мира Т. I, М., 1980.

XVIII ორბელიანი სულხან საბა, ლექსიკონი ქართული I, 1991

XIX ორბელიანი სულხან საბა, ლექსიკონი ქართული II, 1993

XX. ოჩიაური თ., დაკრძალვის წესები ქართლში ძველად

და ახლა. თბ., 1987
XXI. Плосс Г.П., Женщина в естествоведении и народноведении, С-Петербург, 1900
XXII საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, III, 1945
XXIII სააკაშვილი მ., გელაშვილი ა., საქართველოს მედიცინის ისტორია, ტ. III, წ. II, თბ., 1958
XXIV Серебрякова М.Н., Функциональная роль магии в обрядах деторождения у современных турок. იხ. Мифы, Культы, Обряды Народов Зарубежной Азии., М., 1986
XXV სურმანიძე რ., მცირე კარაბადინი, აჭარა, ბათუმი, II, 1991
XXVI Фрезер Дж., Золотая ветвь, М., 1928
XXVII ქანანელი, უსწორო კარაბადინი, თბ., 1940
XXVIII ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. III, თბ., 1991
XXIX ქართული ხალხური შელოცვები, ბათუმი, 1994 (გვ.109)
XXX ჩირგაძე ნ., ასპინძის რ-ნის ეთნოგრაფიული დღიური V, სოფ. თმოგვი, 1988 (ინახება ავტორთან)
XXXI ჩირგაძე ნ., ასპინძის რ-ნის ეთნოგრაფიული დღიური VII, სოფ. ძველი, 1988 (ინახება ავტორთან)
XXXII ჩირგაძე ნ., ახალციხის რ-ნის ეთნოგრაფიული დღიური VIII, სოფ. ღრელი, 1988 (ინახება ავტორთან)
XXXIII ჩირგაძე ნ., ახალქალაქის რ-ნის ეთნოგრაფიული დღიური VIII, სოფ. ბარალეთი, 1988 (ინახება ავტორთან)
XXXIV ჩირგაძე ნ., ახალქალაქის რ-ნის ეთნოგრაფიული დღიური XI, სოფ. მურჯახეთი, 1989 (ინახება ავტორთან)
XXXV ჩირგაძე ნ., ასპინძის რ-ნის ეთნოგრაფიული დღიური XI, სოფ. აწყვიტა, 1991 (ინახება ავტორთან)
XXXVI ჩირგაძე ნ., ქედის რ-ნის ეთნოგრაფიული დღიური I, სოფ. დანდალო, 1991 (ინახება ავტორთან)
XXXVII ჩუბინიშვილი ნ., ქართული ლექსიკონი, თბ., 1961
XXXVIII წიგნი სააქიმოდ, თბ., 1936
XXXIX Хаханов Ал., Месхи (этнографический очерк) იხ. Этнографическое обозрение, М., 1891, N3
XXXX ჯავახიშვილი ივ., ტ I., ქართველი ერის ისტორია, წიგნი I, თბ. 1979

მეანობისა და გინეკოლოგიურ დაავადებათა მკურნალობის ზოგიერთი ხალხური ტრადიცია დასავლეთ საქართველოში

(სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმის და იმერეთის ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით)

მედეა ბურდული

დასავლეთ საქართველოში, ისე როგორც საერთოდ მთელ საქართველოში, ჯანმრთელი შთამომავლობისათვის ზრუნვა ქალის ფეხმძიმობის პირველი დღიდანვე იწყებოდა. კიდევ უფრო ადრე - ქორწინების წინ ხდებოდა საქორწინო წყვილთა შერჩევა, "ჯიშ-ჯილაგიანობის გაკითხვა," მათი მემკვიდრეობის შემოწმება, რადგან ითვლებოდა, რომ ბევრი დაავადება: ტუბერკულოზი, ზოგიერთი სახის ფსიქო-ნერვული ავადმყოფობა (მაგ: ეპილეფსია) და სხვ., ასევე ფიზიკური ნაკლი - სიბრმაევ, სიყრუე და მისთ. მემკვიდრეობით გადადიოდა და თუ გვარში რომელიმეს ასეთი დაავადება ჰქონდა, მათი შთამომავლობისათვის ეს საშიში იყო. ამიტომ საპატარძლოს თუ სასიძოს ოჯახის, გვარის, შთამომავლობის გაკითხვა-გამორკვევას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. თუ გაიგებდნენ, რომ საპატარძლოს ან სასიძოს, გვარში ასეთი დაავადება "მოუდიოდა", თუნდაც რამდენიმე თაობის წინ, მაშინ ქორწინებისაგან თავს იკავებდნენ. განსაკუთრებული ყურადღებით ხდებოდა სარძლოს შერჩევა: "დაინტერესებული მხარე პირველ რიგში გაიგებდა ქალის მამის ოჯახისა და გვარის ავკარგიანობას, ღირსება-ნაკლოვანებას. მერე იწყებოდა მისი დედის ოჯახისა და გვარის "ძირი-ძირობამდე" გამოკითხვა. თუ აღმოჩნდებოდა რაიმე მემკვიდრეობითი დაავადება (სიკოჭლე, ჭლექი, სიქაჩლე, ფსიქიკური დაავადება და ა.შ.), მაშინ ამ ქალის რძლობაზე უარს ამბობდნენ (X.V;19).

ქალის გასინჯვის დროს სადედამთილო გამოელაპარაკებოდა ქალს "ენაჩქარუნგი ხომ არ არისო, გაატარებდენენ - კოჭლი ხომ

არ არისო, კისერს გაუსინჯავდნენ -თიადორა ყელისა ხომ არ აქვსთ." (XIX: 35).

აღნიშნული მიზეზი ედო საფუძვლად თბილისში აბანოში ქალის გასინჯვის ჩვეულებასაც (X: 60).

ცნობილია, რომ ქართველ ხალხში უშვილობა დიდ უბედურებად ითვლებოდა და განსაზღვრავდა ქალის მდგომარეობას ოჯახში. უშვილო ქალები ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რომ შვილი მისცემოდათ (წამლობა, შელოცვები, სალოცავებში მსხვერპლის შეწირვა და სხვა). პირველ რიგში ისინი ექიმბაშებსა და ბებიაქალებს მიმართავდნენ, რომლებიც უშვილობის მკურნალობაში საკმაოდ დიდ გასამრჯელოს იღებდნენ.

სულ ახლო წარსულში იმერეთში, სოფელ კულაშში ცხოვრობდა ბებიაქალი ოლღა ნაჭყებია, რომელიც ცნობილი იყო უშვილობის სამკურნალო "უებარი წამლის" დამზადებით. მისი სიტყვით, თუ საშვილოსნო "გაკირული" (როგორც ჩანს აქ საშვილოსნოს განუვითარებლობა ან ფალოპიუსის მილების გაუმტარობა იგულისხმება) არ იყო, აუცილებლად უშველიდა და თავისი შინაური წამლით ქალის დაფეხმძიმებას შეუწყობდა ხელს. ეს წამალი შავ ღვინოზე მზადდებოდა, მასში თერთმეტი "თავი წამალი", ე.ი. ინგრედიენტი შედიოდა (ამ გასაიდუმლოებული წამლის რეცეპტი ბუნებრივია ექიმბაშის მიერ არ იყო დასახელებული). უშვილო ქალს დაახლოებით ერთი თვის მანძილზე ცხრა ლიტრა წამალი უნდა დაელია. ექიმბაში სამ ლიტრა წამალში ოთხმოცდაათ მანეთს იღებდა 1990 წლის კურსით. ე.ი. მკურნალობის მთელი კურსი ქალს 270 მანეთი უჯდებოდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ბებიაქალი მომშობიარებაში გასამრჯელოდ ოც მანეთს იღებდა, ნათელი გახდება ზემოაღნიშნული წამლობის მნიშვნელობა.

იმერეთში, უშვილობის სამკურნალო წამლების დამზადებით, წარსულში ცნობილი ყოფილა ანა წერეთელი (აკაკის და), რომელიც თავის ცოდნას შინამოსამსახურეებსაც კი უზიარებდა.

თუ ქალს "უშვილობის" წამლები არ უშველიდა, მაშინ უკვე ზებუნებრივ ძალებს - ხატ-სალოცავებს მიმართავდა.

ძირითადად ღვთისმშობელს ევედრებოდნენ შვილიერების მინიჭებას, სვანეთში კი ლამარიასთან (ღვთისმშობელი) ერთად უშვილო ქალების დამხმარე ღვთაებად ითვლებოდა ლატალის მთავარანგელოზიც - "დაბადების ღვთაებას, რომელსაც "მუხერია თარგლეზერს" ეძახიან, საერთოდ, არაერთხელ მოუწადინებია, რომ უშვილო ცოლქმარს შვილი მისცემოდა, თუკი ეს ცოლ-ქმარი წმინდა სალოცავებს მომართავდა, ზვარაკებს შესწირავდა და მადლით სავსე ღვთაების გულს მოიგებდა. "მუხერია თარგლეზერის" სახელობის საყდარი ლატალში "ბრძანებული" იყო (XII; 9-10).

ქართული საქორწილო რიტუალები შეიცავდნენ მრავალ მაგიურ ქმედებას, რომლებიც ახალშექმნილი ოჯახის გამრავლებისკენ იყო მიმართული.

ფეხმძიმე ქალს ოჯახის წევრები საკმაოდ უფრთხილდებოდნენ: მძიმე სამუშაოს არიდებდნენ - სიმძიმეს არ აწევინებდნენ, მაგრამ მას ინტენსიურად უნდა ემოძრავა, რადგან მოძრაობა, ხალხის გადმოცემით, ადვილ მშობიარობას უწყობდა ხელს.

ორსული ქალი გარკვეულ დიეტას იცავდა: მას ეკრძალებოდა ცხარე და მარილიანი საჭმლის მიღება. ადგილობრივი ინფორმატორის გადმოცემით, ფეხმძიმე ქალს, ძლიერი ტკივილიც კი (მაგ., სახსრების ტკივილი), უნდა მოეთმინა, წამალი არ უნდა დაელია, რათა "მუცელი არ მოშლოდა", ან წამალს სხვა მხრივ, ცუდად არ ემოქმედა ნაყოფზე.

რაჭაში და მოსაზღვრე იმერეთის სოფლებში მოძიებულია მასალა, რომლის მიხედვითაც, ფეხმძიმეს ზოგჯერ ადგილობრივ, სოფლის მკურნალთა მიერ დამზადებულ "ზნის" (საყმაწვილო, ეპილეფსია) წამალს აძლევდნენ ამ ავადმყოფობის პროფილაქტიკის მიზნით. იმერეთში ცნობილია თერჯოლის რაიონის სოფელ ღვანკითში მცხოვრები უგრეხელიძეების წამალი. საყმაწვილოს სამკურნალო წამლების დამზადებით განთქმული იყო რაჭის სოფელ ბუგეულში მცხოვრები გაბიჩვაძეების ოჯახი, რის გამოც ამ წამალს ხშირად "რაჭულ" ან "ბუგეულის წამალსაც" ეძახდნენ. გაბიჩვაძეებს სამკურნალო ცოდნა შემკვიდრეობით ჰქონიათ მიღებული და კარაბადინებით შევსებული.

ექიმბაში ილია გაბიჩვაძე XXს. 30-იან წლებში დაპატიმრებულიც კი ყოფილა სამკურნალო საქმიანობისათვის. მას რესპუბლიკის ჯანდაცვის მინისტრის სახელზე დაუწერია თხოვნა-განმარტება (საბუთი ოჯახში ინახება), რომელშიც ჩამოთვლილია "ბუგეულის წამლის" ინგრედიენტები.

აღნიშნული საბუთის წყალობით, ჩვენთვის ცნობილი გახდა ეპილეფსიის სამკურნალოდ სმარებულ წამალში შემავალი მცენარეებისა და ნიეთიერებების მხოლოდ სახელები. ესენია: კატაპარია//კატაბალასა (Valeriana officinalis L), ჯავზი (Myristica moschata Thub), ბადანი (Illicum atisatum (L)), რევანდი (Rheum), ჭიაფერი (Phytolacla americana L), მაგნეზია, ძირტკბილა (Glycurrhiza Glabra L).

აღნიშნული ოჯახების სამკურნალო საქმიანობა დღესაც გრძელდება.

ფეხმძიმე ქალის ჯანმრთელობაზე ზრუნვა ადამიანთა ცრურწმენასა და წარმოდგენებსაც უკავშირდება. მაგალითად, არ შეიძლებოდა ფეხმძიმე ქალის შეშინება. იტყოდნენ "მუცელი მოეშლებაო". მძიმე ფსიქიური ტრავმა შეიძლება საბედისწერო გამხდარიყო, ამიტომ ფეხმძიმე ქალს უსიამოვნო ემოციებს არიდებდნენ.

ორსულ ქალს ეკრძალებოდა ბევრი ისეთი რამ, რაც მოსახლეობის წარმოდგენით, ნაყოფზე ცუდ გავლენას მოახდენდა. მაგ: მას არ უნდა ეცქირა ღორის დაკვლისთვის, იტყოდნენ - "ჩვილს ხიხინი დაყვებაო", ასევე მომაკვდავისათვის - "ბავშვს სულის ხუთვას დაუტოვებსო" და სხვა.

ფეხმძიმეს მუცელი რომ არ ეოშლოდა, უმეტეს შემთხვევაში ქალს გარკვეული დროის განმავლობაში საწოლში მოათავსებდნენ და ინტენსიურ მოძრაობას უკრძალავდნენ. თუ მას მუცელი ხშირად ეშლებოდა, მაშინ მიმართავდნენ ადგილობრივ მეანებს, რომლებიც საკუთარი მეთოდებითა და თვითნამზადი შინაური წამლებით მკურნალობდნენ. ამათგან უპირველესი იყო "წელის შეკვრა" სხვადასხვა მაფიქსირებელი საშუალებებით.

დასავლეთ საქართველოში ასევე ფართოდ იყო

გავრცელებული მუცლის შესანარჩუნებელი შელოცვის სხვადასხვა ვარიანტები:

ანი დადგა, ბანი დადგა, დღე დადგა
მთვარე დადგა, ნაძრავი დადგა, უძრავი დადგა,
მოტეხილი დადგა, მოწყვეტილი დადგა.
ვინც ეს წყალი დალიოს
იმის მუცელში ბავშვი დადგეს,
მზე დაუნახავი, მთვარე დაუნახავი,
დრომდე იყავი და დროზე გამოდი.
ფერდო ბავშვი შეინახე,
ფერდო ბავშვი შეინახე. (იმერეთი)

შელოცვის დროს შემლოცველს ხელში ეჭირა თეთრი ან შავი მძივი. შეულოცავდნენ ცხრაჯერ და შემდეგ "შენალოც" მძივს ფესმძიმეს წელზე შეაბამდნენ". ცხრაჯერ შეულოცავდნენ იმიტომ, რომ ბავშვი ცხრა თვე უნდა ყოფილიყო მუცელში. ეს მძივი ქალს მშობიარობამდე უნდა ეტარებინა, შემდეგ მოიხსნიდა, სპილენძის ფულთან ერთად, ბავშვს თავზე შემოავლებდა, თან იტყოდა: ამას გაყვეს ბავშვის ყოველგვარი ავადმყოფობაო და სადმე მოშორებით დადებდა.

სვანეთში ოდნავ განსხვავებული შელოცვა და რიტუალია დამოწმებული:

ანი დადგა, ბანი დადგა,
ხე დადგა, მიწა დადგა,
ცა და ქვეყანა დადგა, წყალი დადგა,
მოძრავი დადგა, უძრავი დადგა.
ქალის მუცელში ბოში დადგა.
ანი იძრა, ბანი იძრა,
ხე ინძრა, მიწა ინძრა
ცა და ქვეყანა ინძრა, წყალი ინძრა,
მოძრავი ინძრა, უძრავი ინძრა,
ქალის მუცელში ბავშვი ინძრა.

შელოცვის დროს შემლოცველი ფესმძიმე ქალს მუცელზე ხელს უსვამდა, შენალოც წყალს დაალევინებდა,

წელსა და მუცელზე ცხრაჯერ განასკვულ შენალოც მატყლის ძაფს შემოაელებდა, კანაფის დაწნილ ქერქს მუცელზე შემოაკრავდა. ძაფი და კანაფი ქალს მშობიარობამდე უნდა ეტარებინა. შელოცვის დროს ქალს ფეხებს კირიან წყალში ჩააყოფინებდა - "წელს უმაგრებსო". როგორც ვხედავთ, შელოცვა მიმართულია "ნაძრავი", ე.ი. "დაძრული" ნაყოფის დასამაგრებლად.

როგორც აღვნიშნეთ მუცლის მოშლის ერთ-ერთ მიზეზად შიში ითვლებოდა. იმერეთში ჩაწერილია შელოცვის საინტერესო ვარიანტი, რომელშიც გაერთიანებულია "შიშისა" და "მუცლის წახდენის" შელოცვის ტექსტები:

ალისასა, მალისასა, მე გილოცავ შეწყენილისასა,
გთხოვთ უფალო ღმერთო, შენი ძალითა და მადლით
მოეხმარე ყველა ქალთ მშობიარეს,
დრომდე რომ ყოლოდეს საღი და კარგი შვილი!
რამაც შეგაწყინა?
გადახტომამ გაწყინა, მაინც შეწყენილი ხარ,
წაიქეცი, მაინც შეწყენილი ხარ,
გლახათ დაჯექი, მაინც შეწყენილი ხარ,
ინერვიულე, მაინც შეწყენილი ხარ,
ანი იძრა, ბანი იძრა,
მიწა იძრა, ცა იძრა,
ყველა სულიერი და უსული იძრა,
იძრა და დადგა, იძრა და დადგა, იძრა და დადგა
ამ ჩემი ....ის* მუცელში
კარგი ბავშვი იძრა და დადგა
იძრა და დადგა, იძრა და დადგა!
ღმერთო მომიწყვე ხელი,
არგე ლოცვა - მადლი ჩემი,
გადასახე ჯვარი შენი,
ალისასა, მალისასა, მე გილოცავ შეწყენილისასა,
ანი იძრა, ბანი იძრა,

---

* ვისაც ულოცავენ იმის სახელს იტყვიან.

მიწა იძრა, ცა იძრა,
ყველა სულიერი და უსული იძრა,
იძრა და დადგა, იძრა და დადგა, იძრა და დადგა
ამ ჩემი .....ის მუცელში
დრომდი ბავშვი იძრა და დადგა.
იძრა და დადგა, იძრა და დადგა!
დიდო,ღმერთო! არგე ლოცვა-მადლი ჩემი,
გადასახე ჯვარი შენი
ამინ!

შემლოცველს ხელში ეჭირა პური ან ნიგოზი და იმაზე ულოცავდა სამჯერ, შემდეგ კი ავადმყოფს შეაჭმევდა (XVIII; 115-116).

დასავლეთ საქართველოში მუცლის ხელოვნური მოშლა დიდ ცოდვად ითვლებოდა. წესით ქალს უნდა გაეჩინა იმდენი შვილი, რამდენიც "აყვებოდა". მიუსედავად ამისა, ზოგჯერ ქალები მაინც მიმართავდნენ ხელოვნურ აბორტს და უმეტეს შემთხვევაში დასმარებას ბებიაქალებს სთხოვდნენ, რომელთაგან ზოგიერთი ჩუმად ეწეოდა მუცლის მოშლის პრაქტიკას.

ეთნოგრაფიული მონაცემებით სვანეთში აღნიშნული მიზნისათვის ქალს აძლევდნენ ე.წ. "სულემანს". ეს წამალი დიდი სიფრთხილით უნდა ეხმარათ. თუ ზედმეტი დოზა მოუვიდოდათ, შეიძლება ქალს შვილი საერთოდ აღარ მისცემოდა ან თვითონაც დაღუპულიყო.

როგორი იყო "სულემანი"? - ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, ვერ დავადასტურეთ, შეიძლება ეს იყო სულემა (სულემისა) - ქლორის სინდიყის ძლიერ შხამიანი თეთრი ფხვნილი, რომელიც მცირე დოზით იხმარება მედიცინაში (XXX).

როგორც ჩანს, არასასურველი ფეხმძიმობის მოსაცილებლად ქალები ზოგჯერ რისკზეც მიდიოდნენ.

მუცლის მოშლის ხალხური საშუალებების არსებობას სვანეთში ადასტურებს საარქივო მასალებიც: "სოფელში აგრეთვე გავრცელებული იყო საიდუმლოდ შვილოსნობის საწინააღმდეგო ბალახები, მუცლის მოშლის საშუალებანი" (XII,13). რა ბალახებია ეს საიდუმლოდ დარჩა, რადგან

აღნიშნულ საქმიანობას ფარულად ეწეოდნენ და ამ საქმეში შემჩნეული პიროვნება სასტიკად ისჯებოდა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მუცლის მოსაშლელ საშუალებებს ძალიან საიდუმლოდ ნახავდნენ. მიუხედავად ამისა, მოვახერხეთ დაგვეფიქსირებინა ერთ-ერთი მცენარე, რომელსაც იმერეთში აღნიშნული მიზნისათვის იყენებდნენ. ესაა ხარისძირა//თეთრი ყაყაჩო (Helleborus caucasius cb.Br.). მცენარის გაწმენდილ და გათლილ ძირებს ძაფს მოაბამდნენ და სამედიცინო სანთლებისნაირად იყენებდნენ. რის შემდეგაც ქალი ორი საათის განმავლობაში უნდა წოლილიყო. ინფორმატორთა გადმოცემით, ეს საშუალება დიდ, 3-4 თვის ნაყოფზე უფრო სწრაფად მოქმედებდა, მაგრამ საკმაოდ საშიში იყო და მის ხმარებას დიდი სიფრთხილე სჭირდებოდა, რადგან შეიძლება ძლიერი სისლისდენა, ან სხვა გართულებები გამოეწვია.

ძველ ქართულ მედიცინაში ხარისძირა მათრობელა და შხამიან მცენარედ იყო ცნობილი. მისი გამოყენება მხოლოდ უკიდურესი საჭიროების დროს იყო დაშვებული.

დღეს ცნობილია, რომ მისი ფესურა შეიცავს გლუკოზიდებს, რომლებიც მოქმედებენ გულზე, ნერვულ სისტემაზე, იწვევენ კრუნჩხვებს და საფაღარათო თვისებები აქვთ.

სამწუხაროა, რომ უკანასკნელ ხანებში იმერეთის სოფლებში კვლავ იჩინა თავი ამ მცენარის გამოყენებამ, რაც ხალხის ეკონომიკური მდგომარეობის დაქვეითებისა და სამედიცინო მომსახურების გაძვირებით უნდა აიხსნას. ამას კი შეიძლება სავალალო შედეგი მოჰყვეს.

ბებიაქალები მკურნალობდნენ მენსტრუალური ციკლის მოშლას, საშვილოსნოდან სისხლის დენას, გახანგრძლივებულ და შემაწუხებელ კლიმაქსურ მოვლენებს და სხვა.

მენსტრუალური ციკლის მოშლას შავ ღვინოზე დამზადებული წამლით მკურნალობდნენ. შავ ღვინოში სამკურნალო ბალახების ნახარშს შეურევდნენ, შვიდი დღის მანძილზე ავადმყოფს სამი ლიტრი უნდა დაელია.

დასალევ წამალს ამზადებდნენ "გართულებული" კლიმაქსის სამკურნალოდაც (რეცეპტის დადგენა ჯერჯერობით ვერ მოხერხდა), მაგრამ ეს წამლები ძირითადად სხვადასხვა სამკურნალო ბალახების ნასარშს წარმოადგენს, რომელშიც შედის კატაბალახას (Valeriana oficinalis L.) ძირებიც. ძველად ამ მცენარის ძირები მრავალი წამლის შემადგენლობაში შედიოდა. მიაჩნდათ, რომ ასეთი წამალი "ამხიარულებდა გულს და სტომაქს". ამჟამად კატაბალასას პრეპარატები იხმარება როგორც გულის მოქმედების გასაუმჯობესებელი და ნერვული სისტემის დამამშვიდებელი საშუალება. ამდენად მისი გამოყენება ზემოაღნიშნული დაავადების დროს მიზანშეწონილი ჩანს.

საშვილოსნოდან სისხლის დენის შემთხვევაში ერთ კილოგრამამდე ჭინჭარს სამ ლიტრ წყალში მოხარშავდნენ და ავადმყოფს დღეში ხუთი-ექვსჯერ მისცემდნენ. ძველ ქართულ მედიცინაში ჭინჭარი (Urtica urens L.,U. Dioica L.) გამოიყენებოდა სხვადასხვა დაავადებების დროს, უმთავრესად კი სისხლის დენის შესაჩერებლად. "ვინც ჭინჭრის ფოთლები დანაყოს და ან ასურიმოს, და ორივ ცხვირი გამოიტენოს, ცხვირსა სისხლი დასწყვიტოს", ვკითხულობთ იადაგარ დაუდში (I;262).

დასავლეთ საქართველოში თითქმის ყველგან მშობიარობა მიწაზე ხდებოდა. მაგ: იმერეთში "უწინ მიწაზე ცეცხლის პირას დააფენდნენ ჭილოფს, დაყრიდნენ თივას და ქალი იქ მშობიარობდა. მსგავსი მასალა მოწმდება რაჭა-ლეჩხუმში, აქ მიწაზე ჩალასთან ერთად ჩალას ლეკვსაც დააგებდნენ. მიწაზე ხდებოდა მშობიარობა სვანეთშიც, ოღონდ განსხვავებით სხვა კუთხეებისაგან, აქ ქალი ცალკე ხახლიდან მოშორებით მშობიარობდა - "ქალს რომ მშობიარობის დრო მოუწევდა, მას განცალკევებულ "უკაცურ" ხახლში გადაიყვანდნენ, თუკი ასეთი ოჯახს გააჩნდა, თუ არა და წისქვილშიც მოათავსებდნენ ხოლმე, მაგრამ არა ბოშუშაკე წისქვილში, რადგან იქ იფქვებოდა შესაწირავი პური, არამედ გაუქმებულში" (XI;24).

ზოგიერთი მონაცემის მიხედვით, ქალს შეიძლება სვანური

სახლის დარბაზშიც ემშობიარა. "მშობიარობის დროს ქალს ცალკე ოთახში აწვენდნენ, ხშირად დარბაზში, სადაც თივას ინახავდნენ" (XXXIV; 21).

გარდა ამ ერთი ცნობისა, ვერც საარქივო და ვერც საველე მასალით სვანეთში ქალის დარბაზში მშობიარობა ვერ დავამოწმეთ. ჩიმაკაძეს ეს წესი შეიძლება შედარებით შეძლებულ ოჯახებში ჰქონდა დაფიქსირებული.

ოჯახისაგან იზოლირებული მშობიარობა, სვანეთის გარდა, დამახასიათებელია აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებისათვისაც. ეს ჩვეულება ცნობილია, როგორც კავკასიის, ისე მსოფლიოს სხვა ხალხებშიც და დაკავშირებული მშობიარე ქალის "უწმინდურად" აღიარების შეხედულებასთან.

აღნიშნული წესი (მიწაზე მშობიარობა) დამოწმებულია მთელ საქართველოში, რასაც გარკვეული მნიშვნელობა მიეწერებოდა. ქართველთა (და არა მარტო ქართველთა) წარმოდგენაში მიწა დედურ საწყისს განასახიერებდა და "ქალისაგან ყრმის შობა გაიგივებული იყო მიწისაგან ნაყოფის შობასთან" (XXVII; 82).

მშობიარესთან მიყავდათ ბებიაქალი, იგი ხელებს თბილი წყლით დაიბანდა და მშობიარეს დაეხმარებოდა.

ლეჩხუმში დამომწებული მასალის მიხედვით, როდესაც ქალს მძიმე მშობიარობა ჰქონდა, ჭინთვების გასაძლიერებლად მშობიარეს აძლევდნენ ამოსახველებელ საშუალებებს, რომელიღაც ბალახის ნახარშს, რომლის სახელიც ვერ დავადგინეთ. თუ ბავშვი თავით არ მოდიოდა, ბებიაქალები ხელით შეუცვლიდნენ მდებარეობას. განსაკუთრებით დახელოვნებული ბებიაქალების სახელები დღემდე შემორჩა ადგილობრივი მოსახლეობის მეხსიერებას. ასეთი იყო, მაგალითად, ქვემო სვანეთში ელისო ქურასპედიანი - ბენდელიანი, რომელიც უკიდურეს შემთხვევაში, თუ ნაყოფი ქალის მუცელში დაიღუპებოდა, დედის გადარჩენის მიზნით "ბავშვს დაჭრიდა" და ისე ამოიღებდა დედის საშოდან, ე.ი. ატარებდა ემბრიოტომიას. ბებიაქალების მიერ აღნიშნული ოპერაციის ჩატარების პრაქტიკას ძველი ქართული სამედიცინო

ხელნაწერებიც ადასტურებენ (XXIX; 153).

როგორც ცნობილია, საქართველოში უწინ ქალი დაჩოქილი მშობიარობდა. დასავლეთ საქართველოს არც ერთ რეგიონში მას მარტო არ ტოვებდნენ. ბებიაქალის გარდა კიდევ 2-3 ქალი ეხმარებოდა. იმერეთში მას "დამსწრე ქალებს" ეძახდნენ. სვანეთში, სადაც ქალი მშობიარობდა, ჭერზე ჩამოაბამდნენ თოკს, გაჭირვების დროს, ქალი თოკს ჩააელებდა ხელს, ან თოკები ჰორიზონტალურად იყო გაბმული, დაჩოქილი მშობიარე იღლიებით ზედ დაეკიდებოდა და ისე მოიმშობიარებდა. გაძნელებული მშობიარობის დროს ქალს მუცლის და წელის არეში მეანი ქალი ხელს დააჭერდა. იმერეთში ბებიაქალი მშობიარეს ფეხებს თბილ წყალში ჩააყოფინებდა, რომ "ქალს არ შესცივნოდა, სახსრები არ დაკუნთოდა და ადვილად გახსნილიყო", - გადმოგვცემენ მთხრობელები.

ზემო იმერეთში გაძნელებული მშობიარობის დროს მიმართავდნენ მაგიურ რიტუალებს, მოჰყავდათ ქალი ან ისეთი კაცი, რომელსაც "გველ-ბაყაყი ჰყავდა ერთმანეთისაგან დაშორებული". მას სამჯერ უნდა გადაებიჯებინა მშობიარესათვის და თან ეთქვა: "გველ-ბაყაყი გამიშვია, დედა-შვილი დაშორდით". მელოგინეს მახლობლად თოფს დაცლიდნენ, მამაკაცის ქუდით ან "ბლუზის" კალთით წყალს დაალევინებდნენ, ძალას შემატებსო, ქალამნებს ერთმანეთზე გადააბამდნენ და მუცელზე გადაადებდნენ (XVII; 35). ქალი სადაც მშობიარობდა იმ ოთახის წინ თოფს გაისროდნენ, ეშმაკები დასდევენ ასეთ ქალსო (მშობიარობის დროს) და მას აშინებდნენ.

აღნიშნული ჩვეულებები მცირედი სახესხვაობებით მთელ საქართველოში მოწმდება.

როცა ქალი მშობიარობდა, ოჯახში საქონელს აუშვებდნენ, დაბმულს არაფერს დატოვებდნენ - "მშობიარობა გაადვილდებაო".

მშობიარობის შემდეგ ახალშობილს და მელოგინე ქალს ბებია უვლიდა. ახალშობილს ჭიპს ნართის ძაფით "გაუფსკვნიდა" და "სამი თითის დადებაზე" ჭიპლარს გადაჭრიდა. ჭიპზე

მოსამშრალებლად დაადებდნენ დაღეჭილ პურს ან ნიგოზს. ნერწყვით განსავებული პური ან ნიგოზი, როგორც ჩანს, ბაქტერიოციდული მოქმედების იყო. ადებდნენ ასევე ოდნავ გამდნარ "დარბილებულ" თაფლის სანთელს, სპილენძის "ჟანგს" (ჟვარტლს). ჭიპი რომ მოძვრებოდა ზედ დამრგვალებულ ბამბას დაადებდნენ, "თითით დააბრუნებდნენ" და გადაუკრავდნენ.

ზოგი ბებიაქალი ასალშობილს მაშინვე დაბანდა, ზოგი კი პირდაპირ შეასვევდა და მსოლოდ მესამე დღეს დაბანდა. ზოგიერთი ბებიაქალი იმერეთში ახალშობილს წყალღვინოში გაბანდა. სვანეთში ერთი კვირის მერე ჩვილს დედა დღეში ორჯერ თბილ წყალში აბანავებდა და შემდეგ ქონს წაუსვამდა (XI; 26). მშობიარესაც, თუ ყველაფერი ნორმალურად ჩაიელიდა, იმავე ან მეორე დღეს დაბანდნენ.

თუ ქალს მშობიარობის შემდეგ რაიმე გაურთულდებოდა, მაგ., თუ სისხლის დენა დაეწყებოდა ფეხებს კირიან ცივ წყალში ჩააყოფინებდნენ - სისხლის დენის შეწყვეტას შეუწყობს ხელსო.

მშობიარობის შემდგომი ტკივილების დასაყუჩებლად სხვადასხვა საშუალებებს მიმართავდნენ. მაგ., სვანეთში ბალახ მოლოქას-ბალბა-ტუსტი (Malva silvestris L.) ფოთლებისა და ფესვების ფხვნილებისაგან გააკეთებდნენ "ლოცფექს"* და მშობიარეს დაალევინებდნენ, რომ შეღავათი მისცემოდა.

აღსანიშნავია, რომ ბალბას ძველ ქართულ მედიცინაში იყენებდნენ, როგორც შინაგან ისე გარეგან სამკურნალო საშუალებად (XXVIII; 108). ლოცფექს აზავებდნენ ნივრით, ნიორს, როგორც ცნობილია, ახასიათებს ბაქტერიოციდული თვისებები, სტიმულს აძლევს კუჭის წვენის გამოყოფას და აუმჯობესებს საჭმლის მონელებას (16;95).

სვანეთში მშობიარობის შემდეგ თუ ქალს თავის ტკივილი

---

* ლოცქეფი ნივრიანი საჭმელია, რომელსაც შემდეგნაირად ამზადებდნენ: ადუღებულ წყალში გახსნიდნენ ქერის ფქვილს და შეაზავებდნენ ნივრით და მარილით. როცა სამკურნალოზეზნით სჭირდებოდათ, შესაბამის სამკურნალო მცენარის ფხვნილს დაუმატებდნენ.

შეაწუხებდა. დასაყუჩებლად წყალში "გალესილ" გახსნილ დათვისა და ბატის ნაღველს დაალევინებდნენ.

მელოგინეს მუცლის ტკივილის დროს ასმევდნენ კანაფის (Cannabis sativa L.) ზეთს (XXIV; 79). ძველ ქართულ მედიცინაში კანაფი სხვადასხვა დაავადებების დროს გამოიყენებოდა, როგორც სამკურნალო საშუალება (XXIX; 432. I, 170-316-409). ცნობილია, რომ კანაფის თესლისაგან ამზადებენ ნარკოტიკულ ნივთიერებას - ჰაშიშს (XXXVII; 95), ამდენად ნათელია მისი ტკივილდამაყუჩებელი მოქმედებაც. როგორც მელოგინე ქალის, ასევე ჩვილის მუცლის ტკივილის დროს იყენებდნენ გვირილას (Pyrethrum) ნახარშს. გვირილას გამოყენება სხვადასხვა დაავადების დროს საქართველოში ძველი დროიდანვე იყო ცნობილი. ცნობილია, რომ გვირილა ანთების საწინააღმდეგო თვისებებს შეიცავს (XVI; 201).

საქართველოში ცნობილი იყო გვირილის სამი სახეობა - წითელი გვირილა (Pyrethrum roseum M.B), ყვითელი გვირილა (Chamaemelum oulgare) და თეთრი გვირილა (Matricaria chamomila L). ძველად სამივე სამკურნალოდ გამოიყენებოდა.

"იადიგარ დაუდში" ვკითხულობთ "ესე სამი გვირილაები სამნივე მხურვალი და ხმელია და ყოვლისა გრილისა სენისა და ჭირისათვის სამივე წამალი არის, რომე ან მისი შარბათი ასვან, ან დანაყონ, ტლედ ქნან და სადაც ცტკიოდეს და ან უსივდეს იქ შემოსდვან. ყოველსა ქარსა დალეწს და გააყენებს, და ყოვლისა გრილსა სენსა არგებს და წამალი არის ცივებისა, სისხლისა, გრილისა ხაფაყანისა, ასოსა, ძულისა და სახსრების ტკივილისათვის, თავისა და წელისა ტკივილისათვის და ყოვლის ბალღამის წამალია" (I; 207).

თუ ქალს ჯერ გოგო ჰყავდა და მერე ბიჭი შეეძინებოდა, ან პირიქით, ასეთ მშობიარეზე იტყოდნენ "უპენაცვალიაო". მოსახლეობის დაკვირვებით ქალს ამ დროს უფრო ტკივა მუცელი, მას "უპენაცვალის ტკივილს" ეძახიან. სულხან-საბა

ორბელიანის მისედვით. "უპე-ჭიპია. უპედ მას უწოდებენ. ახალშობილთა ჭიპთა წელებრ რომ აბია". ტკივილის ულასაამებლად კვლიავის - ზირა (Carum Carvi L) თესლის ნახარშს ასმევდნენ დღეში სამჯერ. სამი დღის განმავლობაში.

აღსანიშნავია, რომ კვლიავის ნაყოფი (თესლი) დიდი რაოდენობით შეიცავს ეთეროვან ზეთებს, ტანინს, ფისოვან ნივთიერებებს, ცხიმს. მედიცინაში იგი გამოიყენება კუჭ-ნაწლავის სპაზმების, საქმლის მომნელებელი ორგანოების ფუნქციების დარღვევის დროს (XVI; 128).

ძველ ქართულ მედიცინაში ზირა (კვლიავი) მრავალი დაავადების დროს გამოიყენებოდა. მათ შორის ზემოაღნიშნული ტკივილების დროსაც (I; 24).

რაჭაში ქალი რომ იმშობიარებდა, ორ ჭიქა შავ ღვინოს წამოადუღებდნენ. შიგ ერთ სუფრის კოვზ კვლიავის თესლს ჩაყრიდნენ. ხარშავდნენ 15-20 წუთის განმავლობაში და ასმევდნენ მუცლის ტკივილის დასაყუჩებლად. ამას "ღვინის თბილს" ეძახდნენ.

სვანეთში ახალმომშობიარებულებს ზოგჯერ ცოტა არაყსაც დაალევინებდნენ "სტომაქს" მოუსდებაო. თუ მელოგინე ქალს ყაბზობა შეაწუხებდა, დაადნობდნენ ქონს და დაალევინებდნენ. ბავშვისათვის კი დამდნარ ქონში შეურევდნენ თაფლს და როცა შემაგრდებოდა, თითით აალოკინებდნენ, კუჭი რომ გაეწმინდათ (XI; 26).

სვანეთში ჩვილ ბავშვებს კუჭის შეკრულობის დროს აძლევდნენ მცირე რაოდენობის ზეთსაც.

დასავლეთ საქართველოში საკმაოდ გავრცელებული იყო ე.წ. საყმაწვილო. ინფორმატორთა გადმოცემით, ეს დაავადება ბავშვს თუ თხუთმეტ წლამდე არ გაუვლიდა, შეიძლება "ზნედ" (ეპილეფსიად) გადაქცეოდა. ამ დაავადების პროფილაქტიკის მიზნით, სხვადასხვა საშუალებებს მიმართავდნენ. მაგ., ჭიპლარიდან გამონადენ სისხლს "გამოუსვამდნენ პირში".

ერთ-ერთი ბებიაქალისაგან ჩავიწერეთ შემდეგი: "... ვისაც ავიყვანდი, ჭიპლარს რომ მოვჭრიდი იმის სისხლს გამოუსვამდი პირში და ჩემს აყვანილს არავის არ მოსვლია

არც საყმაწვილო, და არც კაი თავი" (ეპილეფსია).

ქალი რომ მოიმშობიარებდა, ბებიაქალი მას დაბანდა და მუცელს გაუკრავდა. შემდეგ, როგორც აღვნიშნეთ, იგი ხშირად დადიოდა მელოგინესთან და ნავილს უვლიდა.

ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით დასავლეთ საქართველოში ძველად მშობიარობის შემდეგ ქალი 40 დღე იწვა ლოგინში, თუმცა ზოგიერთი ცნობით, "ლოგინობის ხანა" სამ კვირამდე იყო შემცირებული. აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაშიც ეს დრო ლოგინში წოლას გულისხმობს, რადგან ყველა სახის საოჯახო საქმის გაკეთება (მაგ: პურის გამოცხობა) ქალს მხოლოდ ორმოცი დღის შემდეგ შეეძლო. აქ რა თქმა უნდა, გათვალისწინებულია საოჯახო პირობებიც.

იმერეთში უწინ მშობიარობის შემდეგ ქალი 40 დღე უნდა წოლილიყო ლოგინში. "ლოგინობის ვადა 6 კვირაა" გადმოგვცემდნენ მთხრობელები და ამიტომ უფრო ჯანმრთელად იყენენ ქალებიო. ექვსი კვირის გასვლის შემდეგ პირველად სავსე ჭურზე "გადაიყვანდნენ" "სავსე ექნება უბე-კალთაო", მოსდიდნენ ჭურს და დაილოცებოდნენ.

რაჭაშიც მშობიარე 40 დღის ან ერთი თვის განმავლობაში მაინც იწვა. ორი კვირა ქალი იქვე იყო, სადაც იმშობიარებდა, შემდეგ შედიოდა სახლში, სადაც მისი შესვლის წინ ნაკურთხ წყალს მოაპკურებდნენ.

სვანეთში ნ.ჩიმაკაძის ცნობით ქალი მალე ერთვებოდა საოჯახო საქმეებში. მშობიარობის დღიდან სამი , ოთხი დღის შემდეგ ქალი დგება ლოგინიდან და მუშაობს ჩვეულებრივ (XXXIV; 21) წერს იგი, რაც ჩვენს ეჭვს იწვევს, ეს შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ გამონაკლისი.

ს. გულედანის ცნობით კი, "მელოგინე ამ ცუდ შენობაში (იგულისხმება მიტოვებული წისქვილი, სადაც ქალმა იმშობიარა) და პირობებში იყო ორი-სამი კვირის განმავლობაში და "განწმენდის" შემდეგ ბრუნდებოდა სახლში" (XI; 26).

ჩვენი მასალის მიხედვითაც მშობიარობის შემდეგ ქალი საკმაოდ გვიან ჩაებმებოდა საოჯახო საქმიანობაში, რადგან არა მარტო სვანეთში, არამედ მთელ საქართველოში ძველად

მშობიარობის შემდეგ ქალი ორმოც დღემდე "უწმინდურად" ითვლებოდა და მას არ შეეძლო გაეკეთებინა საოჯახო საქმეები. "ეს ჩვეულება ჰუმანური მოსაზრებით კი არ იყო გამოწვეული, არამედ იმით, რომ მელ. ,გინეს თავისი მიკარებით არ გაეუწმინდურებინა რამე და უბედურება არ მოეტანა ოჯახისათვის" (XXXVI; 50). მაგრამ თუ საკითხს ქალის ჯანმრთელობაზე ზრუნვის თვალსაზრისით მივუდგებით, მაშინ აღნიშული აკრძალვები გამართლებულად უნდა ჩაითვალოს. "მისი ასეთი იზოლაცია საოჯახო საქმეებისაგან მარტო იმ ცრურწმენით როდი იყო განპირობებული, რომ იგი უწმინდურად ითვლებოდა, არამეედ იმით, რომ ქალის ჯანმრთელობას მშობიარობის შემდეგ გაფრთხილება უნდოდა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ "უწმინდურობასაც" მას ამ მიზნით უფრო აბრალებდნენ, ვიდრე იმის გამო, რომ შეეძლო ზიანი მიეყენებინა სხვათა მატერიალური მდგომარეობის ან ჯანმრთელობისათვის" (XVII; 16-17).

მიუხედავად იმისა, რომ სვანეთში ქალი უმეტესად განცალკევებულ შენობაში მშობიარობდა, იგი იქ მარტო თითქმის არასოდეს რჩებოდა, არც -მშობიარობამდე და არც შემდეგ. მასთან ხშირად მიდიოდნენ მეზობელი - მოკეთე ქალები და მიჰქონდათ მოსაკითხი: საჭმელი, სასმელი. მელოგინე ქალის საკვები დიდად არ განსხვავდებოდა ჩვეულებრივისაგან. ქალს თავდაპირველად ჯერ წვნიან საჭმელს აძლევდნენ, რძე რომ მოეძალებოდა, წვნიანებს უზღუდავდნენ. თუ ქალს ცოტა რძე ჰქონდა აძლევდნენ ისეთ საჭმელს, რომელიც მათი აზრით, რძეს მოუმატებდა. მაგალითად: "ღორის მუცლის ქონისა და ზეთისაგან (იგულისხმება კანაფის ზეთი მ.ბ.) შემზადებულ - ლ'ᒪᔭნე-ს, ქვემო სვანეთში მხოლოდ რძენაკლულ ქალებს აჭმევდნენ" (XXIV; 70).

იმერეთშიც, მელოგინეს საჭმელს მაინცდამაინც არ ურჩევდნენ - "ყველანაირ საჭმელს აჭმევდნენ რაც ექნებოდათ, რომ ბავშვი თავიდანვე ყველაფერს შეჩვეოდა". ბავშვს ძუძუს ერთი დღის მერე მიცემდნენ, პირველ დღეს ქალი ძუძუს გამოიწველიდა, რძეს ბუხრის პირას დააქცევდნენ. გასასვლელ

ადგილზე მისი დაქცევა არ შეიძლებოდა, რომ ზედ ფეხი არ დადგმოდა - ფეხს გაყვება და ქალს რძე დაეკარგებაო. ერთი წელი მაინც უნდა ეჯაჰა ბავშვს დედის რძე.

ლეჩხუმში დამოწმებული ზოგიერთი მასალის მიხედვით ახალშობილს ძუძუს სამ დღემდე არ მისცემდნენ. რაც გამოყვა დედის მუცლიდან ის უნდა დაიწმინდოსო.

ჩვილი ბავშვის მუცლის ტკივილის სამკურნალოდ დასავლეთ საქართველოში ძირითადად იყენებენ ცსოველურ საშუალებებს: მაჩვის, დათვის, თხის ნაღველს, რომელსაც ძალიან მცირე რაოდენობით "გალესავდნენ" - გახსნიდნენ დედის რძეში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამავე მიზნით გამოიყენებოდა გვირილას ნახარშიც.

როგორც ცნობილია, ნაღვლის წვენში არსებული ნაღვლის მჟავეები ხელს უწყობს ცსიმების გადამუშავებას და აუმჯობესებს საჭმლის მონელების უნარს.

ჩვილის ჩასაწვენ აკვანს ბებიაქალი მოამზადებდა. სვანეთში იგი ასე გამოიყურებოდა: ფეტვის ჩალას ზემოდან ქეჩის ნაჭერი და ნარმის ზეწარი ეფინა, ბავშვს ფეხებზე ახვევდნენ კრავის პატარა ტყავს, ზემოდან კი საბანი ეხურა (XIII, 83).

ბავშვს აკვანში ერთი-ორი კვირის შემდეგ აწვენდნენ. მანამდე დედის გვერდით, მისთვის სპეციალურად გამართულ ქვეშაგებში იწვა. იმერეთში ახალშობილი ერთი კვირა დედის გვერდით სპეციალურ ფიცარზე გაკონილი იწვა, რომელზედაც ჯერ მიწას დაყრიდნენ და მერე ბავშვის ქვეშაგებს გაშლიდნენ. ერთი კვირის შემდეგ ბებიაქალი ბავშვს აკვანში ჩააწვენდა, აქაც აკვნის ლეიბს და ქვეშაგებ თეთრეულს შორის ფხვიერი სუფთა მიწა იყო დაყრილი, რომელსაც პერიოდულად ცვლიდნენ.

ბებიაქალს ხალხი დიდ პატივს სცემდა - აძლევდნენ სპეციალურ გასამრჯელოს ან საჩუქარს, ვისაც რა შეეძლო.

იმერეთში - ბავშვის დაბადებიდან რამდენიმე დღის შემდეგ ბებიაქალს და მეზობლებს დაუძახებდნენ - დილას ბავშვის, "ხმიადის მოხდა" მაქვს და არ ჭამო რამეო - სტუმრები უხმოდ უნდა მოსულიყვნენ. ახალშობილი თუ გოგო იყო ვარიკას

დაკლავდნენ, თუ ბიჭი - ყვინჩილას. ბებიაქალი აანთებდა წყვილ სანთელს, ყველისგულიანებს მიიტანდნენ იმ ადგილზე, სადაც ბავშვი დაიბადა და დაილოცებოდნენ, ღმერთო გაზარდეო.

ასრულებდნენ ასეთ წესსაც: გამოაცხობდნენ ხუთ პატარა პურს "ხმიადს", ერთ პურს მამას ესროდნენ, მას იგი ჰაერში უნდა დაეჭირა და სიარულში შეეჭამა. გააკეთებდნენ ოთს სანთელს, ერთ ჭიქაში ღვინის და წყალს ჩაასხამდნენ, ქალის მშობიარობის ადგილიდან ბებიაქალი ცოტა მიწას აიღებდა, წყალ-ღვინოში შეურევდა და ქალს ძუძუზე მოუსვამდა - კარგი ძუძუ ექნებაო. ახალშობილს კი სახეზე წაუსვამდა, კარგი ფერი ექნებაო.

აღნიშნული რიტუალი ერთგვარ გამოძახილად გვეჩვენება აკად. გ.ჩიტაიას მიერ ადრე აღწერილი გურული ჩვეულებისა "გურიაში დღემდე შემორჩენილია მიწისათვის ზვარაკის მიტანის ჩვეულება. მას "მიწის გაჯერება" ჰქვია და მდგომარეობს შემდეგში: " დედაკაცის მოლოგინების მერე მეორე დღეს ბებიაქალი გამოაცხობს პურის ბურთს (ვითომ თავიაო), შიგ ჩაურთავს ყველს (ახალშობილს კარგი ჭკუა ექნებაო) და ბროწეულს (საღი იქნებაო), ბებიაქალი კიდევ გამოაცხობს წივს და სამ კვერს და მათში ყველს ჩადებს. შემდეგ ამოთხრის დანით მიწას, საცა ქალი მორჩა... და ჩადებს შიგ ხაჭაპურის გულის ნაწილს, ჯვარის პურს და გოჭის ძვლებს. ბაღნებს მისცემს წივს და ეტყვის: ირბინე და შეჭამე, ირბინე და შეჭამე. გაკეთებულ თავს ბაღნის მამას გადასცემს. მამა ღვინოს დაასხამს ამოთხრილ მიწაში, ბებიაქალი ჩაფლულ პურებს და ძვლებს კარგად გაგოზავს და იტყვის: მიწავ გამიჯერებიხარ პურით, ღვინით, კაი ფერი და ხორცი მიეცი ქალ და ბაღანას ორუეს" (XXXV; 228).

აქ დედა-მიწა წარმოდგენილია, როგორც ადამიანის ნაყოფის გამომღები ღვთაება, რომელსაც შესაფერისი შესაწირავი უნდა მიეზღოს (XXXV; 229).

განსხვავებით გურული წესისა, იმერეთში მიწისაგან "ითხოვენ" რძის სიუხვესა და კარგ ფერს, სამაგიეროს კი არაფერს

"აძლევენ", რიტუალი უფრო მარტივია, მაგრამ ორივეგან მიწა ნაყოფიერების ღვთაებას უკავშირდება. ზემოაღწერილი რიტუალის მსგავსი ჩვეულება აქვს აღწერილი იმერეთში - ხუსკივაძეს "ძეობის" სახელით, სადაც მისი ცნობით "ძეობას" ქართლელების მსგავსად მესამე დღეს მართავენ. მელოგინის ოჯახის წევრი, ან ახლო ნათესავი ქალი აცხობს დიდ და მრგვალ ხაჭაპურს და ამ დღისათვის მოიწვევენ ყველა იმ ქალს, რომლებიც მშობიარობას დაესწრნენ. ბებია ხაჭაპურის გარშემო წმიდა სანთლებს შემოაწყობს. თვითონ ხელში ღვინით საესე ჭიქა უჭირავს, ატრიალებს ხაჭაპურს მარცხნიდან მარჯვნივ და ბავშვისათვის ლოცულობს. ლოცვას რომ მორჩება, ხაჭაპურის შუა გულს ამოჭრის თავისთვის, დანარჩენი იყოფა იმდენ ნაწილად, რამდენი სულიც ოჯახშია და თითოეული სტუმართაგანი ამ ხაჭაპურის ნაჭერს ბავშვის მიმართ ლოცვა-ვედრებით შეექცევა" (XXXVIII, 179-180; V, 264).

მშობიარობიდან ერთი კვირის შემდეგ რაჭა-ლეჩხუმში იცოდნენ "ფუძის ლოცვა". გოგო თუ შეგვეძინებოდა დედალ ქათამს დავკლავდით, ბიჭის დროს მამალსო. გამოაცხობდნენ ხაჭაპურებს, კვერებს, მოიწვევდნენ ბებიაქალს და სამ ცალ ხაჭაპურს მას გაატანდნენ. დაკლული ქათმის ძვალს კი ცეცხლში არ ჩააგდებდნენ - ბავშვს წვივი დაეწვებაო.

მოსახლეობის რწმენით, მელოგინე ქალსა და ჩვილ ბავშვს ძალიან ეტანებიან ბოროტი ძალები (ავი თვალი, ალი, ეშმაკი, უჟმური და სხვ.).

ალი//ჰალი - (თეთრად შემოსილი გრძელთმიანი ლამაზი ქალი) ხალხური რწმენით უფრო დაჭრილებს, ფეხმძიმეებს და მელოგინე ქალებს ეტანებოდა.

სვანეთში დაფიქსირებული გვაქვს შეშინებულის ლოცვის საინტერესო ვარიანტი, სადაც პირდაპირ არის მითითებული, რომ ალი მელოგინე ქალს ემტერება: -

...შე ალო, შე ეშმაკო საიდან მომავალი ხარ?
მე ვარ ჯორის ფეხქვეშ გაზრდილი,
მე ვეძებ დაჭრილსა კაცსა,
მე ვეძებ მელოგინე ქალსა.

ზოგს ძვალს გამოვტეხ,
ზოგს რბილს შევუჭამ, ...

როგორც ვხედავთ, ქართველი სალხის რწმენის მიხედვით, დედასა და შვილს უამრავი საფრთხე მოელოდა, რის გამოც ისინი განსაკუთრებულ დაცვასა და გაფრთხილებას საჭიროებდნენ.

ამიტომ, გასაკვირი არ არის, რომ დღევანდელ ყოფასაც შემორჩა ზოგიერთი წეს-ჩვეულება, რომელიც მელოგინისა და ახალშობილის დასაცავად იყო განკუთვნილი.

იმერეთში შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, ახალნამშობიარები ორმოც დღემდე გარეთ თუ გავიდოდა, ავი სულების დასაფრთხობად უნდა ჰქონოდა ასანთი და დანა, ერთ-ერთი ინფორმატორისაგან ჩავიწერეთ შემდეგი მასალა - "ოცი დღის ნამშობიარევი ვიყავი და მეზობელთან გადავედი მამის დასაძახებლად. გზად პატარა გუბეს გადავახტი, სახლში რომ დავბრუნდი ოც წუთში მაღალი სიცხე მომცა, მაჟრიალებდა ტანში, თვალებში ვეღარ ვიხედებოდი. დედამ შემილოცა წყალზე ნაუქმურევის ლოცვა და კარგად გავხდი" (ნაზი ნიკოლოზის ასული ლეჟავა-ხუროშვილი, 42 წ. სოფ. კულაში).

მშობიარობის შემდეგ ქალი სადმე რომ გადავიდოდა, პირში თმა უნდა ჩაედო, რომ რამე არ შეხვედროდა, შენახვედრის - "უქმურის ეშინოდათ უფრო. აღსანიშნავია, რომ იმერეთში ერთ-ერთ ბალახს "შენახვედრის ბალახს" ეძახდნენ, მას მოსრესავდნენ ხელით, შუბლზე მიიკრავდნენ და ითვლებოდა, რომ ამის შემდეგ უქმური აღარ შეხვდებოდათ.

მშობიარობის მერე თუ ქალი შეშინდებოდა იცოდნენ აგრეთვე რიტუალური პურების -"დედა-შვილის" გამოცხობა, რომლებიც ერთი მეორისაგან ზომით განსხვავდებოდა. ეს იყო "ყველის გულიანი განატეხი" (განატეხი - სართვიანი პური). რიტუალი "კაი მთელ დღეს" - სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, მთვარის შევსების პერიოდში უნდა შესრულებულიყო, დილიდან შუადღემდე. დაუძახებდნენ ცხრა ქალს, თითოეულ განატეხსაც ცხრა-ცხრა ნაჭრად დაჭრიდნენ და თითოეულიდან თითო

ნაჭერს ჩამოურიგებდნენ და შეაჭმევდნენ. ეს რიტუალი "ლოგინობის ხანაში" სრულდება (40 დღემდე).

იმერეთში, ავი სულებისაგან დაცვის მიზნით, მელოგინე ქალის საწოლთან სათევზაო ბადეს ჩამოკიდებაც იცოდნენ (1-2).

თევზის საჭერი ბადე აღნიშნული მიზნისათვის გამოიყენებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეშიც. მაგ., გურიაში (XXXIII), კახეთში (XX), სამცხე-ჯავახეთში (XIV).

აღნიშნული ჩვეულება დამოწმებულია არა მარტო მოსახლეობის მდაბიო ფენებში, არამედ თავადაზნაურებშიც. ქალი "რაჟამს განთავისუფლდის და იშვის ყრმა ... დღესა მესამესა ჟამსა ბინდისასა შეაწვენდნენ ქალს ტახტსა ზედა დიდათ ტურფითა საგებელითა და გარდააგდებდნენ ზედ ბადებრ მშვენიერად მოქსოვილსა ბალდახინად" (II; 18).

სულსან-საბა ორბელიანი წერს: "იქმან აბრეშუმთაგან, ბადე-კარავთა, ოქრო-ვერცხლითა მოპეტალებულთა, დიდებულთა ცოლთა მშობიარეთათვის: (XXI; 196). ზემო იმერეთიდან გ.ჩიტაიას მიერ ჩამოტანილია "მშობიარე ქალის ბადე", რომელიც ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში (კოლ. №223, №9-35).

როგორც ჩანს, სათევზაო ბადეს ქართველი ხალხი რიტუალურ, მაგიურ დანიშნულებას ანიჭებდა. მას იყენებდა მელოგინის დასაცავად ავი თვალისა და ავი სულებისაგან (XXI; 45).

ლეჩხუმში - ავი თვალისაგან ბავშვის დაცვის მიზნით, აკვანზე დაკიდებდნენ ქარვის კაკალს (შენალოც მძიგს), ალისყურს (ნიჟარა), თავქვეშ დანას ან მაკრატელს დაუდებდნენ. ბავშვს გარეთ ისე არ გამოიყვანდნენ, რომ დანა არ გამოეყოლებინათ, "საცავი" - ამულეტი ბავშვს ყელზე ჰქონდა დაკიდებული.

იმერეთში ბავშვის ავი თვალისაგან დასაცავად აკვანზე ჰკიდებდნენ მწარე ბლის ტოტისაგან დამზადებულ ჯვარს და გიშრის მძივს, რომელიც ჩვილს ხელზედაც ჰქონდა შებმული. ასევე იქცეოდნენ სვანეთშიც.

საერთოდ კი, როგორც მთელ საქართველოში, ისე

ჩვენთვის საინტერესო რეგიონში (იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი, სვანეთი) ავი თვალისა და ავი სულებისაგან მელოგინისა და ბავშვის დაცვაში დიდი ადგილი ეჭირა ცეცხლსა და რკინას. ჩვილის საწოლ ოთახში ისე ვერავინ ვერ შეავიდოდა თუ ცეცხლზე არ გადაივლიდა და კარებში დაგდებულ რკინის ჯაჭვს არ დაადგამდა ფეხს.

სალხის რწმენას, რომ ავი თვალი, ავი სულები ყველაზე მეტად მშობიარეს და ჩვილ ბავშვს ეტანებიან, ვ. ბარდაველიძე ხსნის ქართველი სალხის მსოფლმხედველობით, რომლის მიხედვითაც კეთილსა და ბოროტს შორის მუდმივი ჭიდილია და ეს ბრძოლა "განსაკუთრებით მძაფრდება სიცოცხლის საკითხში და რამდენადაც ქალი ჭურჭელია, რომელშიც ისახება და იშვის ახალი სიცოცხლე ბავშვის სახით, ამდენად ის ხალხის თვალში წარმოადგენს მეტად მიმზიდველ არეს კეთილი და ბოროტი სულების ჭიდილისათვის" (V; 253).

მშობიარობის შემდეგ ქალს ზოგჯერ "გაციების ან რძის დაგუბების" გამო ემართებოდა სარძევე ჯირკვლების ანთება - მასტიტი, რომელსაც რაჭა-ლეჩხუმში - წყლისას, იმერეთში ქარწყლისას ეძახდნენ. აღნიშნულ დაავადებას მკურნალობდნენ კომპლექსურად სპეციალურად დამზადებული წამლებით, მასაჟითა და შელოცვებით. ამ დაავადებას ახასიათებდა მაღალი სიცხე და ძლიერი ტკივილი, სარძევე ჯირკვლის დასიება და გამაგრება.

სვანეთში ექიმბაშები (ხერგიანები) აკეთებდნენ სპეციალურ მალამოს, რომელსაც ადებდნენ მტკივან ძუძუზე და თან შეულოცავდნენ:

ბატონებო წყლისა, სავარცხელო ბზისა,
გარეთ გამოდი, ძუძუს მოშორდი,
წყლისაო, წყლისაო, გოჭის კუდით ქანქალაო,
ანარეთი, დანარეთი, მოჭრით დანაეთი.

შელოცვის დროს ძუძუზე უსვამდნენ ზემოდან ქვემოთ სავარცხელს და დანას. იცოდნენ ცივი საფენების გაკეთებაც ან თაფლის და სანთლის ნაზავის დადება.

ზოგიერთი ინფორმატორის ცნობის მიხედვით, რაჭაში

- "ქალს რომ ძუძუ გაუსივდებოდა, ღორის ქონის კომპრესს დაადებდნენ, მერე მაგარ "არაყს", შემდეგ მალამოს. თუ მალამო არ ეშნებოდათ, მაშინ საქონლის ფილტვი უნდა გაეჭრათ თხლად და ის დაედოთ გასიებულზე, ის თავს მოუყრიდა და მორჩებოდა. გასკდომის მერე მალამო უნდა დაედოთ და დილა-საღამოს ეცვალათ" (VII).

საქონლის ფილტვის მაგივრად იცოდნენ აგრეთვე გოგრის ცილის გამოყენებაც. მკურნალობა აქაც შელოცვის თანხლებით სდებოდა:

სავარცხელო ხისაო, არა ნაფოტისაო,
ავალ ზეცას ვეტყვი დედას,
ჩამოვიტან დანა-ჩანგალს,
დავკრავ წყლისას, დაიკარგა წყლისა დილას.

დღეში სამჯერ - დილას, შუადღეს, საღამოს ულოცავდნენ, თან ხის სავარცხელზე დადებდნენ ძვალს და დასიებულ ადგილზე უსვამდნენ (ძვალს საიდანაც აიღებდნენ, ისევე იმ ადგილზე დადებდნენ).

ლეჩხუმში მტკივან ძუძუზე თაფლიან წამალს (მალამოს) დაადებდნენ, თან ულოცავდნენ:

ავალ ზეცას, ვკითხავ დედას,
რა არის წყლისას წამალი,
რავა რა არის!
მომცემს კალამსა და კალმის ძირსა,
გავკრავ, გავაბნევ ამ ძუძუების წყლისას.

იმერეთში მასტიტის დროს ძუძუს ცხელ-ბმრიან წყალს წაუსვამდნენ, მსუბუქ მასაჟს გაუკეთებდნენ, თან შეულოცავდნენ:

ანი იყო, ბანი იყო, წყალთაშუა ნავი იყო
ავალ ზეცას, ვკითხავ დედას, მეტყვის დედა
ჩამოვიტან ჩანგალ-ჩუნგალს,
ჩავკრავ ჩქიფსა, ამოვადენ სისხლსა.
წმინდა გიორგიმ დასწყევლოს, გეიპაროს წყლისა.

სავარცხლის გარდა მსუბუქ მასაჟს უკეთებდნენ ზღარბის ეკლიანი ტყავითაც.

მასტიტის დროს გარდა გარეგანი საშუალებებისა სმარობდნენ დასალევ წამლებსაც, მაგ., ასფურცელას (Pyrethrum oulgare L.) ან ჩიტისთავას (Gagea) ნახარშს, ასევე თაგვის საროს (Guscus Ponticus g). ამ ბალახების ძირებს შავ ღვინოში მოხარშავდნენ და ავადმყოფს დღეში დაახლოებით ერთ ლიტრას ასმევდნენ. ან დიყის (Hereacleum) სამ ძირს ფესვიან ფოთლიანად, თაგვის საროს და ოსოკვას//ოროვანდის (Arctium) ძირებს ხუთ ლიტრ წყალში მოხარშავდნენ და ისე მიცემდნენ.

ძლიერი ტკივილების დროს მტკივან ძუძუს თუ მოზრდილი ბავშვი გამოწოვდა უებარ საშუალებად ითვლებოდა.

ამგვარად, ჩვენ წარმოვადგინეთ დასავლეთ საქართველოში დამოწმებული ქალის მშობიარობის, ახალშობილის მოვლისა და გინეკოლოგიურ დაავადებათა მკურნალობის ზოგიერთი წესი და მეთოდი, რომელიც მოსახლეობის ყოფამ დღემდე შემოინახა.

აღვწერეთ ის წეს-ჩვეულებები და რწმენა-წარმოდგენები, რომლებიც დაკავშირებულია ფეხმძიმობასთან, მშობიარობასთან და ახალშობილთან, აგრეთვე მაგიური რიტუალები, რომელთა დანიშნულებაც მელოგინისა და ახალშობილის "ავი თვალისა" და "ავი სულებისაგან" დაცვა იყო.

ზემოთ განხილული ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე შეგვიძლია ვავასკვნათ, რომ ძველად ქართველი ხალხი საკმაოდ დიდ ყურადღებას უთმობდა მეანობასა და გინეკოლოგიურ დაავადებათა მკურნალობას. და თუმცა ფეხმძიმობა და მშობიარობა დაავადებად არ განიხილებოდა (რაც სავსებით მართებულია), მაგრამ ხალხისათვის მაინც კარგად იყო ცნობილი, რომ ფეხმძიმე ქალის ორგანიზმში ხანდახან ისეთი ცვლილება ხდება, რომ მისი უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლებოდა.

ოჯახი ფეხმძიმე ქალს შეძლებისდაგვარად ისეთ პირობებს უქმნიდა, რომ ფიზიკური მუშაობა ნაკლები შეხვედროდა. ასევე ზრუნავდნენ მის ფსიქიკურ მდგომარეობაზეც. ქალს არიდებდნენ

უარყოფით ემოციებს. რასაც მოწმობს ზოგი აღკვეთა. დადებითი ფსიქოთერაპიული ეფექტი ჰქონდა აგრეთვე შელოცვებს რომლებიც მუცლის შესანარჩუნებელი შელოცვების სახელითაა ცნობილი. შელოცვით გამოწვეული დადებითი ემოციები ქალის ფსიქიკაზე დამამშვიდებლად მოქმედებდა, მას შიშისაგან ათავისუფლებდა (როგორც აღვნიშნეთ, მუცლის მოშლის ერთ-ერთ მიზეზად შიში ითვლებოდა) და აწყნარებდა.

თუ მშობიარისა და ახალშობილის მოვლის ხალხურ ტრადიციებს თანამედროვე სამედიცინო ცოდნასთან შევაჯერებთ დავინასავთ, რომ მათში დადებითი და მისაღები უფრო მეტია, ვიდრე ეს ერთი შესედვით ჩანს.

საქორწინო წყვილის "შერჩევა-გაკითხვის" ტრადიცია, რაც ქორწინებას უძღოდა წინ - ხალხის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილების შედეგია, თუ მას "ჯანმრთელ შთამომავლობაზე ზრუნვის" კუთხით განვიხილავთ, იგი დადებით ფაქტორად უნდა მივიჩნიოთ, რაც გენეტიკურ დაავადებათა თავიდან აცილებას უწყობდა ხელს.

ახალნამშობიარები ქალის 40 დღის მანძილზე საოჯახო საქმიანობისაგან იზოლირებაც მისი უწმინდურად მიჩნევის გამო, ობიექტურად ქალის ჯანმრთელობას იცავდა.

დასავლეთ საქართველოს თითქმის ყველა სოფელში იყო გამოცდილი მეანი ქალი, რომელიც ფეხმძიმობის პერიოდში და მშობიარობის დროს საჭირო დახმარებას უწევდა ქალს. ისინი მკურნალობდნენ ზოგიერთ გინეკოლოგიურ დაავადებასაც, ცდილობდნენ უნაყოფობის განკურნებას და ზოგ შემთხვევაში სასურველ შედეგსაც აღწევდნენ.

მშობიარობა ყველგან (რაჭა-ლეჩხუმი, სვანეთი, იმერეთი) ბებიაქალის დახმარებით ხდებოდა, ძირითადად საცხოვრებელი სახლის ცალკე ოთახში, გამონაკლისს წარმოადგენდა სვანეთი, სადაც ქალი სახლიდან მოშორებით, განცალკევებულ ნაგებობაში მშობიარობდა.

ახალი წევრის შემატებას ოჯახი დიდი სიხარულით ხვდებოდა. იმისათვის, რომ იგი კარგი ბედის ყოფილიყო და დაეცვათ "ავი თვალისა" და "ბოროტი ძალებისაგან", ასრულებდნენ მრავალ

მაგიურ რიტუალს. განსაკუთრებით საინტერესოდ გვეჩვენებ იმერეთში დამოწმებული წესი ახალნამშობიარები ქალის მკერდზე წყალღვინოში შერეული მიწის წასმა, რომელიც გ.ჩიტაიას ძიერ ადრე აღწერილ გურულ ჩვეულებას "მიწის გაჯერებას" ეხმიანება და მიწის ნაყოფიერების უძველეს რწმენას უკავშირდება.

წყაროები და ლიტერატურა

I ბაგრატიონი დ., იადიგარ დაუდი. თბ., 1938

II ბატონიშვილი ვ.,ისტორიული აღწერა ს.კაკაბაძის გამოცტფ., 1914

III ბარდაველიძე ვ., სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, I, ახალი წლის ციკლი, ტფ., 1938

IV ბარდაველიძე ვ., ქართული (სვანური) გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები. თბ 1953

V ბარდაველიძე - ლომია ვ., ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებული რიტუალი მთიან ქართლში, სსმმ ტ.4, თბ., 1928

VI ბურდული მ., სვანეთის ეთნოგრაფიული დღიურები (ხელნაწერი ინახება ავტორთან)

VII ბურდული მ., რაჭის ეთნოგრაფიული დღიურები (ხელნაწერი ინახება ავტორთან)

VIII ბურდული მ., ლეჩხუმის ეთნოგრაფიული დღიურები (ხელნაწერი ინახება ავტორთან)

IX ბურდული მ., იმერეთის ეთნოგრაფიული დღიურები (ხელნაწერი ინახება ავტორთან)

X გრიშაშვილი ი., ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა, თბ., 1927

XI გულედანი ს., ძველი ადათ-ზნე-ჩვეულებანი ზემო სვანეთში (ეთნოგრაფიული ნარკვევები), (ხელნაწერი ინახება მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში)

XII დავითიანი ა., სვანეთის (ბალსქვემოური) ეთნოგრაფიული მასალები, 1941 (ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის განყოფილების არქივი, M'39)

XIII დავითიანი ა., სვანური ეთნოგრაფიული მასალები, 1941 (ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის განყოფილების არქივი, M'39)

XIV ზედგენიძე გ., ჯავახეთი, მშობიარობა, ბავშვის აღზრდა (ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის განყოფილების არქივი, 1.67, რვ.2, 1946)

XV იველაშვილი თ., საქორწინო წეს-ჩვეულებანი სამცხე-ჯავახეთში, თბ., 1987

XVI Йорданов Д., Никонов П., Бойчинов Л., Фитотерапиа, София, 1976

XVII კაპანაძე ნ., ბავშვის აღზრდის ქართული ხალხური ტრადიციები, თბ., 1994

XVIII კრებული "ქართული ხალხური შელოცვები", ბათუმი, 1994. კრებული შეადგინა და შენიშვნები დაურთო თინა შოშიაშვილმა

XIX მაჩაბელი ნ., ქორწინების ინსტიტუტი ქართლში, თბ., 1978

XX Машурко М., Из области народной фантазий и быта, СМОМПК, 3. отдел 3, Тб., 1894

XXI ორბელიანი ს.ს., თხზულებანი ტ.IV, თბ., 1966

XXII ორბელიანი ს.ს. ლექსიკონი ქართული, ტ.2, 1993

XXIII რუხაძე ჯ., ძეობასთან დაკავშირებული ზოგიერთი ჩვეულებანი (ხელნაწერი ინახება ავტორთან).

XXIV რუსაძე ჯ., ხალხური აგრიკულტურა დასავლეთ საქართველოში, თბ., 1976

XXV სააკაშვილი მ., გელაშვილი ა., საქართველოს მედიცინის ისტორია, ტ. III, წ. II, თბ, 1958

XXVI Соловьева Л., Грузия, Этнография детства, М., 1995

XXVII სურგულაძე ი., ქართველთა აგრარული რწმენა-წარმოდგენების ისტორიიდან, მსე, XIX, 1978

XXVIII ფანასკერერტელი ზ., სამკურნალო წიგნი (კარაბადინი), თბ., 1950

XXIX ქანანელი, უსწორო კარაბადინი, თბ., 1940

XXX ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ.VI, თბ., 1960

XXXI ღამბაშიძე დ., კარაბადინი, გამოც.მე-2, ქუთაისი, 1983

XXXII ყარაულაშვილი ც., ს.ქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიიდან (ქსოვის ხალხური წესები კასეთში), (საკანდიდატო დისერტაცია), თბ., 1972

XXXIII შილაკაძე ივ.,ძველი გურია, (ხელნაწერი მასალა, ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის

განყოფილების არქივი, საქალალდე 111)

XXXIV ჩიმაკაძე ნ., თავისუფალი სვანეთი, ძველი საქართველო, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული, ტ. II, 1911-1913

XXXV ჩიტაია გ., ეთნოგრაფიულ მოგზაურობიდან აღბულაღის რაიონში, საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ IV, 1927, ტფილისი, 1928

XXXVI Чурсин Г., Народные обычай и верования Кахети, ПЗКОРГО, кн.XXI, вып. 2. Тифлис, 1905

XXXVII წუწუნავა ნ., საქართველოს სამკურნალო მცენარეები, თბ., 1966

XXXVIII Ф. Хускивадзе, Местечко Квирилы. Кутайской губерни.. Шорапанского уезда, СМОМПК, вып. XIX, отд. 1.

ბოლოსიტყვა

მშობიარობისა და ჩვილი ბავშვის მოვლის ხალხური წესების განხილვამ საქართველოს რამდენიმე რეგიონის მაგალითზე ქართველი ხალხის ტრადიციული სამედიცინო კულტურის ბევრი საინტერესო მხარე წარმოაჩინა.

პირველ რიგში ჩვენი ყურადღება მიიპყრო მეანობასა და გინეკოლოგიასთან დაკავშირებულმა ტერმინებმა.

ფეხმძიმე ქალის აღსანიშნავად მთელ საქართველოში, როგორც მთის, ისე ბარის რეგიონებში გავრცელებულია ძირითადად ორი ტერმინი: *ფეხმძიმე* და *ორსული*. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (უმეტესად ფშავსა და ხევსურეთში) მოწმდება - *უმრეცხლო*. *ფეხმძიმე* - თავისი მნიშვნელობით, ორსულობის პერიოდში ქალის ფიზიკური მდგომარეობის დამძიმების ამსახველია. *ორსული* - ქალის საშოში ჩასასული ნაყოფის სულიერ არსებად მიჩნევას, ერთ სხეულ'ში ორი სულის, ორი სულიერის არსებობას გულისხმობს. ხოლო *უმრეცხლო* ფეხმძიმობის დროს ქალის ფიზიოლოგიურ მდგომარეობას - *სარეცხის* ე.ი. მენსტრუაციის გარეშე მყოფს აღნიშნავს.

ჩვენს ხელთ არსებული მასალის საფუძველზე ხალხურ ლექსიკაში ვერ დავამოწმეთ ფეხმძიმეს ძველი ქართული სინონიმები: *მიდგომილი, მუცელდქმნული, მუცლადღებული.*

XIX - XX საუკუნეების მონაცემების მიხედვით, საქართველოში მენსტრუაციის აღმნიშვნელი ტერმინებიდან ყველაზე მეტად გავრცელებულია: *წესი, დედათწესი, რიგი, თვიური.* უფრო იშვიათად, ძირითადად მთის რეგიონში დამოწმებულია აგრეთვე *სარეცხი. დედათწესი, თვიური* ძველი ქართული ტერმინებია და გვხვდება შუა საუკუნეების წერილობით წყაროებში ამავე მნიშვნელობის სიტყვის - *სამთვარიოს* გვერდით (IX, 28).

საინტერესოა ამ ტერმინების ეტიმოლოგია. *წესი, დედათწესი* ქალის ფიზიოლოგიურ მდგომარეობას ასახავს და "გვიჩვენებს, რომ ქალისათვის თვიური სისხლის დენა, წესად,

ბუნებრივ მოვლენად ითვლებოდა" (IX. 28). *რიეი და თვიური* ამ წესის რეგულარულობის აღმნიშვნელია. სოლო *სარეცხი* მენსტრუალური სისხლის ჭუჭყად და სიბინძურედ მიჩნევას გულისხმობს. ჭუჭყსა და სიბილწეს უკავშირდება აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში დამოწმებული თვიური სისხლისღვრის აღმნიშვნელი ძველი ქართული ტერმინი *წიდოვანება*. წიდა ძველ ქართულში ჭუჭყს (I). "სიბილწესა" და "ფინთ რამეს" (VIII; ტ II) აღნიშნავდა, სოლო "ბილწი" - არაწმინდას (VIII; ტ I) ე.ი. უწმინდურს.

ზემომოყვანილი ტერმინებიდან არის ნაწარმოები მენსტრუაციის პერიოდში მყოფი ქალის აღმნიშვნელი სიტყვები: *წესიანი, დედათწესიანი, თვიურიანი, მრეცხელი, წიდოვანი*. მათთან ერთად საქართველოს მთიანეთში გვსვდება დედათწესის მქონეს საყურადღებო სინონიმები: *ნარევი, მირეული, ურწყული* (სვან), *მესამრელოე, მეკარე, კარსმყოფი, გარეთმყოფი*.

ნარევი, მირეული, ურწყული - უწმინდურს აღნიშნავს, უკავშირდება მენსტრუალური სისხლის ჭუჭყთან, სიბილწესთან გაიგივებას უძველეს წარმოდგენას - დედათწესიანი ქალის უწმინდურად მიჩნევის შესახებ და მოიცავს როგორც რელიგიურ, ისე სოციალურ გააზრებას.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ტერმინები: *მესამრელოე* (სამრელოში, თვიურიანი ქალისათვის განკუთვნილ სპეციალურ ნაგებობაში მყოფი), *მეკარე, კარს მყოფი, გარეთ მყოფი*, რაც ძველი ქართული ცნების ამსახველი - *გარეშე მჯდომელის* (დედათწესის მქონე) (I) იდენტური ტერმინებია და ისევე როგორც მშობიარე და ნამშობიარები ქალის აღმნიშვნელი - *მექოხე* (სამშობიარო ქოხში მყოფი), პირდაპირ მიუთითებს მათი ოჯახიდან *გარეთ* გასვლის ფაქტზე, ასახავს ერთი მხრივ ადგილობრივ კოსმოგონიურ რწმენა-წარმოდგენებს *შინასა* და *გარეს*, მოწესრიგებული და მოუწესრიგებელი სამყაროს, კეთილისა და ბოროტის, პოზიტიურისა და ნეგატიურის დაპირისპირებას, მეორე მხრივ

კი დედათწესიანი, მშობიარე და ნამშობიარები ე.ი. უწმინდური ქალების ამ სამყაროს მკვიდრებად, მათი ოჯახის ე.ი. *შინას* გარეთ არსებული სამრელოსა და ქოსის ბინადრებად მიჩნევას გულისხმობს.

ამგვარად, ბარში გავრცელებული თვიურიანი ქალის აღმნიშვნელი ტერმინები, ძირითადად ქალის ფიზიოლოგიური მდგომარეობის გამომსატველია. მაშინ, როდესაც მთაში ეს ტერმინები დედათწესიან, მშობიარე და ნამშობიარებ ქალთან დაკავშირებულ რწმენა-წარმოდგენათა გარკვეულ სისტემასაც ასასავს.

ხალხურ ლექსიკაში ვერ დავამოწმეთ მეანის აღმნიშვნელი ძველი ქართული სახელწოდებები: დედათმოურავი, ამქუმელი, ყრმის ამქმელი და სხვ. საქართველოში მეანის აღმნიშვნელი ყველაზე მეტად გავრცელებული ტერმინია ბებია - ბებიაქალი, რომელიც XVII საუკუნეშიც, როგორც ჩანს, ამავე მნიშვნელობის ხალსური ტერმინი იყო, რადგან სულსან-საბას ლექსიკონის მიხედვით - "ბებიას გლეესნი ყრმათ ამქმელს უწოდებენ (VIII; ტ I).

საინტერესოა გამოთქმა *წმინდა ავადმყოფი. წმინდა ავადმყოფად* ქვემო ქართლის მასალების მისედვით, და ასეთი მასალები საქართველოს სხვა კუთხეებშიც მოწმდება, მიჩნეულია ქალი, რომელსაც მენსტრუაცია საერთოდ არ ჰქონია ან შეუწყდა უდროო დროს, ე.ი. 30 წლამდე. ამ გამოთქმაში ასახულია, როგორც რელიგიური წარმოდგენა, ისე სამედიცინო თვალსაზრისი. მსაზღვრელი *წმინდა* უკავშირდება მენსტრუაციის დროს ქალის უწმინდურად მიჩნევის ფაქტს - ე.ი. რადგან დედათწესიანი ქალი უწმინდურია - ქალი, რომელსაც ეს წესი არა აქვს - წმინდაა. ეს არის ტერმინის რელიგიური გააზრების ლოგიკა. ამავე დროს მოსახლეობისათვის კარგად არის ცნობილი, რომ მენსტრუაცია, როგორც აღვნიშნეთ, არის წესი, ქალისათვის აუცილებელი ნორმალური ფიზიოლოგიური მდგომარეობა და რადგან ნორმა, წესი ირღვევა, ე.ი. ირღვევა ქალის *სიმრთელე, ჯანმრთელობა*, ამიტომ იგი განიხილება ავადმყოფად. ამგვარად, გამოთქმაში *წმინდა ავადმყოფი*

ასახულია, როგორც რელიგიური, ისე სამედიცინო გააზრება.

თითქმის მთელ საქართველოში დამოწმებულია ქალის მიწაზე მშობიარობის უძველესი წესი. სევსურეთში ეს წესი XX საუკუნის I ნახევარშიც კი ფუნქციონალური იყო და რეალურად არსებობდა - მშობიარობა სდებოდა მიწის იატაკიან სპეციალურ სამშობიარო ქოხში. საქართველოს სხვა რეგიონებში ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით XX ს-ს დასაწყისში მიწაზე მშობიარობა რიტუალურ სასიათს ატარებდა. მიწა წარმოდგენილი იყო, როგორც რიტუალის ელემენტი სპეციალურად იყო დაყრილი იმ ადგილზე, სადაც ქალს უნდა ემშობიარა (თუ ქალი მიწურში არ მშობიაროობდა) და ზედ დაფენილი იყო ჩალა. ე.ი. აქ რიტუალურად აღდგენილი იყო უძველესი და ბუნებრივი მშობიარობის წესი, რომელიც მიწის დედურ ბუნებას, მიწის ნაყოფიერების რწმენას უკავშირდება.

ყველა რეგიონში ქალი მენსტრუაციისა და მშობიარობის დროს, ასევე ლოგინობის პერიოდში - 40 დღე უწმინდურად ითვლებოდა და სდებოდა მისი იზოლირება. უწმინდურება ასსნილი იყო ამ პერიოდში ქალის საშოდან სისხლდენის ფაქტით. რაც, როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს მთაში გამოსატულია სათანადო ტერმინებითაც. ეს წარმოდგენა ერთ-ერთ უძველეს რწმენა-წარმოდგენათა კატეგორიას განეკუთვნება და შენარჩუნებულია თანამედროვე მსოფლიო რელიგიებში.

საქართველოს მთისა და ბარის რეგიონებში განსხვავებული იყო დედათწესიანი და მელოგინე. ე.ი. უწმინდური ქალის იზოლირების ფორმები. ბარში ქალს მენსტრუაციის დროს დაასლოებით ერთი კვირა და მშობიარობის შემდეგ 40 დღე ეკრძალებოდა მსოლოდ გარკვეული ოჯახური საქმიანობა, ურთიერთობა მეუღლესთან, ყოველგვარი ურთიერთობა საკრალურთან.ამ აკრძალვებთან ერთად ნამშობიარები ქალი წესით 40 დღე *მელოგინე* - ე.ი. მწოლიარე იყო. მთაში ამ პირიოდში ქალი ოჯახიდან, *შინიდან* გადის *გარეთ* და წყვეტს ურთიერთობას *შინას* მკვიდრებთან. *გარედან* მისი *შინ*, ოჯახში დაბრუნება სდება სტადიურად, განწმენდის ეტაპების გავლის

შედეგად - უმეტესად მშობიარობის მესამე, მეთხუთმეტე და მეორმოცე დღეს. ყურადსაღებია, რომ განწმენდის ყოველი ეტაპის შემდეგ გადასვლა ქოსიდან სამრეცლოში (დედათწესიან ქალთა სამყოფში) თუ სამრეცლოდან სახლში ხდება *მზის ჩასვლის შემდეგ, საღამოს,* რაც დროის ისეთივე ნეგატიურ კატეგორიას განეკუთვნება როგორც - *გარე* - სივრცის. ქალის გარედან შინ დაბრუნებას, გადანაცვლებას სივრცეში სჭირდება 4-6 კვირა (40 დღე), ხოლო საკრალურთან ურთიერთობის უფლების მოპოვებას, რაც სიმბოლურად მისი ჭერხოში (ხევსურული სახლის საკრალურ ნაწილში) ასვლაში გამოიხატება 9 კვირა.

ამგვარად, მთაში მოწმდება უწმინდური ქალის განწმენდის ჩამოყალიბებული სისტემა დროსა და სივრცეში. რაც მთიელთა რწმენა-წარმოდგენებისა და ემპირიული კოსმოგონიის ლოგიკური ასახვაა.

ბარში ქალის სივრცობრივი განცალკევება, მისი ოჯახიდან, *შინიდან გარეთ* გასვლა ვერ დავამოწმეთ. აქ უწმინდური (მელოგინე ქალის) იზოლირების სივრცული არე შეზღუდულია. მოსახლეობისათვის, ყოველ შემთხვევაში არისტოკრატიული, განათლებული საზოგადოებისათვის, XVIII საუკუნის მონაცემების მიხედვით, ეს ფაქტი მიუღებელია, რაზედაც უპირველეს ყოვლისა, მიუთითებს ვახუშტის შემდეგი ცნობა: "თუშები ბრძოლასა შემმართებულნი, მჭნენი, ძლიერნი, მჭედარნი, წარმატებულნი და უსაქციელონი, ბრიყუნი. რამეთუ, ოდეს შობს დედაკაცი, არავინ მიეახლების, არამედ განუტევებენ შორს მარტოდ, და შობისა შემდგომად მ (40 ნ.მ.) დღეთა მოიყვანებენ შობილითურთ ..."(III:554).

ბარში ქალი ლოგინობის პერიოდში 40 დღე უნდა იწვეს - იგი *მელოგინეა.* ეს წესი უწინ მკაცრად იყო დაცული, რაც შეეხება დედათწესიან ქალს, იგი აქ რა თქმა უნდა, ოჯახიდან არ გადის, არც *მელოგინეა,* ე.ი. არც საწოლში წევს, მხოლოდ აქაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ითვლება უწმინდურად და ეკრძალება ურთიერთობა საკრალურთან. ურთიერთობა მეუღლესთან, რიგი ოჯახური საქმიანობა.

ნამშობიარები ქალის ეტაპობრივი განწმენდის ფაქტები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის გარდა, სხვაგან არ გვხვდება, მაგრამ მთაში დამოწმებული განწმენდის ყოველი ეტაპის დრო ბარში გარკვეული სახით მაინც აღინიშნებოდა. მაგ.. ვ.ბარდაველიძის მონაცემების მიხედვით, მშობიარობის მესამე დღეს ქართლ-კახეთში იმართებოდა *ძეობა*, სადაც მოპატიჟებულნი იყვნენ მხოლოდ ქალები. თუ ქალი ქმრის ოჯახში მშობიარობდა, მაშინ მელოგინის დედა და სტუმრები მიდიოდნენ სიძესთან, მიჰქონდათ *ლოგინობის ძღვენი*. სმა-ჭამის გარდა ძეობაზე იყო სიმღერა, ლხინი და ყოველგვარი გასართობი. ძეობისთვის ცხვებოდა განსაკუთრებული ე.წ. *მუხლის პური*, რომელსაც ოჯახის ბავშვებს შეაჭმევდნენ, ამავე დღეს იმერეთში აცხობდნენ სპეციალურ რიტუალურ ხაჭაპურს (II; 262,264). ხოლო ვახტანგ ბატონიშვილის მიხედვით, "დღესა მესამესა" ქალი სამშობიარო ადგილიდან გადაჰყავდათ საწოლში, რაც განსაკუთრებით საყურადღებოა, ეს ხდებოდა "ჟამსა ბინდისასა", ე.ი. ისევე როგორც ხევსურეთში, მზის ჩასვლის შემდეგ. მესამე დღეს, აქაც იმართებოდა ლხინი, სადაც, როგორც ჩანს, პრიორიტეტი ქალებს ეკუთვნოდათ. მშობიარობიდან ორი კვირის შემდეგ (ვ. ბარდაველიძის მიხედვით ზოგჯერ მეშვიდე, მეცხრე დღეს) ხევსურეთში ხდებოდა *საწმინდარში გასვლა*, ტარდებოდა ქალის განწმენდის მორიგი რიტუალი, როდესაც ქალი ნაწილობრივ განიწმინდებოდა და სიწმინდის ხარისხით ადიოდა *მესამრელოე დედათწესიანი* ქალის დონეზე.

საინტერესოა, რომ ვახტანგ ბატონიშვილის მიხედვით ხდებოდა 15 დღე მშობიარე "იქმნებოდეს მცხედარსა ზედა ნიადაგ მწოლარე დღესა მეათხუთმეტესა წარმოსვიან იგი და დახურიან სხვა გვარი რამ სახურავი თვლითა და მარგარიტითა შემკობილი, რომელსა უწოდებენ ჭავლ* სარაღუჯათ** ნიშნად ამისსა, რომელ არღარა იქნების სძლებრივის მდუმარეობისა ანუ მეტისა კრძალულებისა თანამდებ, არამედ სხვათა ჰატიოსანთა

*ჭავლი - სხვილი ნაწნავი თმა (VIII; ტ II).

**სარაღუჯი - ქალის თავსახურავი (VIII; ტ II).

დედაკაცთა შორის აღრაცხილ ... ხ̄ შესრულებადმდე ორმოცისა ქალი იგი იყვის ნიადაგ სახლსა თვისსა და ვერსად წარვიდის" (IV; 19).

ცხედარი ძველ ქართულში - ლოგინს, ტახტს, საწოლს, საკაცეს აღნიშნავდა (I). *მცხედარი, ცხედარი,* საბას განმარტებით, სარეცელისაგან განსხვავებით, არის საწოლი "შიშველი საგებელთაგან", ე.ი. უსაგებლო საწოლია. ცხედარზე, როგორც ეა̆ტანგ ბატონიშვილის ტექსტიდან ჩანს მელოგინეს, სოლო ძველი ქართული წყაროების მიხედვით აეადმყოფებსაც ათავსებდნენ (X; 104,115, 331).

ორი კვირის შემდეგ, როგორც ვხედავთ, ქალს აძლევდნენ საწოლში დაჯდომის უფლებას და თვალ-მარგალიტით გაწყობილ თავსაბურავს ასურავდნენ, ნიშნად იმისა, რომ იგი აღარ უნდა ყოფილიყო ასალი რძალივით მორიდებული* მდუმარე და მოკრძალებული ე.ი. შვილის გაჩენის შემდეგ ქალი ოჯახში სათანადო უფლებებს იმკვიდრებდა და ადიოდა პატიოსან**, პატივსაცემ ქალთა რანგში. მაგრამ 40 დღე მელოგინეს სახლიდან გასელის უფლება მაინც არ ჰქონდა.

საინტერესოა, რომ აფხაზეთში მშობიარობის რამდენიმე დღის შემდეგ სუთშაბათს ხდებოდა ქალის წამოყენება და ნაყოფიერების ღვთაების სასელზე იმართებოდა რიტუალი "აგილარა" იგივე "აგლასა", რომელშიც მხოლოდ ქალები მონაწილეობდნენ (V; 103-104).

ეთნოგრაფიული მასალის, საარქივო თუ ლიტერატურული მონაცემების მიხედვით, საქართველოს ზოგიერთ რეგიონში ქართლ-კახეთში, სამცხე-ჯავახეთში და სხვ. აღინიშნებოდა მშობიარობიდან მერვე დღეც.

ვ.ბარდაველიძის მიხედვით, "ქართლ-კახეთ-იმერეთის ძეობა, ხევსურეთის "ჭელებზე ასასხმელი", გურულების "ლოგინის აღება" ანუ "მიწის გაჯერიება" და აფხაზების "აგლიასი" (აგლასა - ნ.ბ), -

---

* პატარძლის მორიდების (უმძრახობის) ჩვეულება გავრცელებული იყო საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

** პატიოსანი - პატივსაცემელი (VII; ტ I).

ყველა ეს ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებული რიტუალის ელემენტები წარმოადგენდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა სახით და სასელწოდებით დაცულს ღვთაება "დედა - მიწის" მსახურების ფრაგმენტებს" (II; 277).

ჩვენ დავუმატებდით, რომ ამ რიტუალებში მიწის ნაყოფიერების კულტთან, ფუძის ანგელოზთან დაკავშირებულ რწმენა-წარმოდგენებთან ერთად, ასახულია წარმოდგენები ადამიანის მფარველი ანგელოზის შესახებ (ფშავ-ხევსურეთი).

მთელ საქართველოში ნამშობიარები ქალის, მისი ოჯახის წევრებისა და სახლის საბოლოო განწმენდის რიტუალი ტარდებოდა 40 დღის შემდეგ ოჯახში. მთაში ადგილობრიეი სალოცავის უზენაესი მსახურის - ხუცესის მიერ საკლავის სისხლით და ნაკურთხი წყლით, ბარში განწმენდის რიტუალს ატარებდა მღვდელი ჩვეულებრივი, ქრისტიანული წესით.

საქართველოს სხვადსხვა კუთხის მოსახლეობის რწმენა-წარმოდგენების მიხედვით, დედა და ახალშობილი 40 დღის მანძილზე ავი სულების ზემოქმედების საფრთხეში იყვნენ. ამ პერიოდში მათი დაცვა ავი სულებისაგან ხდებოდა ოფიციალური რელიგიის მიერ მიუღებელი სხვადასხვა მაგიური წესებითა და საშუალებებით. ეს ფაქტი კი იმის მაუწყებელია, რომ განწმენდამდე, ე.ი. 40 დღის მანძილზე დედა-შვილი და ასალშობილი, შესაძლებელია, უფრო დიდსანსაც - ჯვარში, ხატში მიბარებამდე (აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში) და მონათვლამდე (საქართველოს სხვა რეგიონები) არ ითვლებოდნენ, რელიგიური ცენტრის ჯვარის, ხატის (აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი) და ეკლესიის ირგვლივ გაერთიანებული, სოციალური ჯგუფის წევრებად, არ სარგებლობდნენ მათი მფარველობით.

ამგვარად, მშობიარობისა და ახალშობილის მოვლასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები სარწმუნოებრივად გარკვეულ სისტემას წარმოადგენს, სადაც შერწყმულია, როგორც არქაული რელიგიური პლასტები, ისე ქრისტიანული წესები.

ამ სისტემაში ძირითადად ფიგურირებს უძველესი რწმენა-წარმოდგენები მიწის დედური საწყისისა და ნაყოფიერების, ქალის უწმინდურობის, ავ სულთა ზემოქმედების და სხვათა შესახებ, რაც განსახიერებულია მიწაზე მშობიარობის წესებში (მთა) და მათ რიტუალურ სიმბოლიკაში (ბარი), განწმენდის ცერემონიებსა თუ ავი სულების საწინააღმდეგოდ მიმართულ ქმედებებსა და საშუალებებში.

მთაში არქაული წეს-ჩვეულებები დაცულია შედარებით სრული ფორმით და აქვს სისტემური ხასიათი. ბარში ეს წეს-ჩვეულებები ემეტესად შეპორჩენილია ფრაგმენტების სახით და ზოგ შემთხვევაში აღდგენილია რიტუალურად გარკვეული სიმბოლოების საშუალებით.

საინტერესო შედეგებს იძლევა მშობიარობისა და ახალშობილის მოვლის ტრადიციული წესების განხილვა სამედიცინო მონაცემებთან შეჯერებით.

თუ ამ წესებს თანამედროვე მედიცინის თვალსაზრისით განვიხილავთ, ერთი შეხედვით, შესაძლებელია მათში დადებითი ბევრი ვერაფერი დავინახოთ.

მაგრამ, როგორც ყოველი ხალხური ტრადიცია, ისე ზემოთ აღწერილი წესები საჭიროა შესწავლილ იქნას იმ გარემოსა და პირობების გათვალისწინებით, სადაც ისინი აღინიშნებოდნენ.

აქედან გამომდინარე, თუ მსედველობაში მივიღებთ, საქართველოს არაერთგვაროვან გეოგრაფიულ გარემოში მცხოვრები მოსახლეობის განსხვავებულ საცხოვრებელ პირობებსა და ცხოვრების თავისებურ წესს ვნახავთ, რომ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ჩამოყალიბებული მეანობისა და გინეკოლოგიის ზოგ ერთი ხალხური ტრადიცია, ზოგ შემთხვევაში მედიცინის თვალსაზრისით გაუმართლებელიც კი, მკვიდრად იყო ფესვმოკიდებული მოსახლეობის ყოფაში, რადგან, როგორც ჩანს, აკმაყოფილებდა ადგილობრივ მკვიდრთა გარკვეულ მოთხოვნილებებს, შეესაბამებოდა მათ საცხოვრებელ პირობებსა და სხვ. რა თქმა უნდა, დროის წინსვლისა თუ გარემოს ცვალებადობასთან ერთად ხდებოდა ამ ტრადიციათა მოდიფიცირება, ზოგ შემთხვევაში გაქრობაც. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ XX საუკუნის

დასაწყისში მაღალმთიანი სევსურეთის ყოფაში ჯერ კიდევ მოქმედი ბევრი მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია 1950-იან წლებში სევსურების ბარში (სოფ. გამარჯვება) ჩამოსახლების შემდეგ მათ ყოფაში საერთოდ აღარ მიწმდება. მაგ., ქოსში მშობიარობისა თუ დედათწესიანი ქალის სამრეცლოში გასვლის წესმა სოფ. გამარჯვებაში ველარ მოიკიდა ფესვი. შედარებით ჩვეულ გარემოში, მთისწინეთში ერწო-თიანეთში ჩამოსახლებულ სევსურებში* ქოს-სამრეცლოები საკმაოდ დიდხანს XX საუკუნის II ნახევრამდეც ფუნქციონირებდა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მეანობის თუ ქალის დაავადებათა ხალხური მკურნალობის პრინციპები ზოგ შემთხვევაში შორს არ იდგა თანამედროვე სამედიცინო პრინციპებისაგან. ბუნებრივია სამკურნალო საშუალებები და მეთოდები მკვეთრად განსხვავდებოდა.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ ჩვენს მიერ შესწავლილი რეგიონების მოსახლეობა მეტ-ნაკლებად ერკვეოდა ქალის ფიზიოლოგიაში.

განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ხდებოდა ქართული ოფიციალური სამედიცინო ცოდნის ინფილტრაცია ხალხში, ემპირიული სამკურნალო გამოცდილების შერწყმა ძველი ქართული წიგნიერი მედიცინის მონაცემებთან (უფრო მეტად ბარის რეგიონებში).

ეს ცოდნა ადგილობრივ მოსახლეობას ეხმარებოდა ახლგაზრდა ქალის დედობისათვის მომზადებაში, მშობიარობის დროს ქალისა და ბავშვის მშვიდობიან გადარჩენასა და ჯანსაღი თაობის აღზრდაში.

ჩვენ, როგორც არა სამედიცინო დარგის სპეციალისტებს, არ შეგვიძლია მეანობისა და გინეკოლოგიის ყველა ტრადიციული წესის თანამედროვე სამედიცინო თვალსაზრისით განსილვა.

ჩვენს მიზანს, უპირველეს ყოვლისა, ხალხური ცოდნა - გამოცდილების გამოვლენა და ამ საკითხით სამეცნიერო წრეების დაინტერესება წარმოადგენს.

---

* სევსურთა ინტენსიური ჯგუფური ხასიათის გადასახლებანი ერწო-თიანეთში და აქ მათ მიერ დასახლებული რიგი ახალი სოფლების შექმნა XIX ს-ს II ნახევრიდან შეიმჩნევა (VII: 21).

მაგრამ თანამედროვე სამედიცინო კულტურაში, მეტნაკლებად ჩასედული ადამიანისთვისაც ბევრი ხალხური წესის მიზანშეწონილობა სრულიად აშკარაა.

პირველ რიგში ეს შეეხება გინეკოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკას, რასაც, უპირველეს ყოვლისა, ხელს უწყობდა მენსტრუაციისა და მშობიარობის შემდგომ პერიოდში ქალისათვის მძიმე შრომის თავიდან აცილება და, რაც მთავარია, სქესობრივი ურთიერთობის აკრძალვა. უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე მეცნიერებაში ამ წესის დაკანონებას ბიბლიური მოსეს ერთ-ერთ გენიალურ მიგნებად მიიჩნევენ (V; 85-86).

ამავე კატეგორიას განეკუთვნება ამ პერიოდში ელემენტარული ჰიგიენური ნორმების დაცვის წესის სახით ჩამოყალიბება. მაგ., მენსტრუაციის შემდეგ აუცილებელი განბანის წესი და სხვა.

პრინციპულად სწორი იყო საკვერცხეების ანთების დროს სითბური პროცედურების ჩატარება (თბილი აბაზანები, შეორთქლება), ე.წ. "წელის სისუსტის", მუცლის ხშირი მოწყვეტის შემთხვევაში "მაფიქსირებელი ნახვევის დადება". საშვილოსნოს გადასრის მასაჟითა და საშვილოსნოს დაწევის "კოტოშებით" ამოწევისა და ფიქსირებით მკურნალობა და სხვა. საშვილოსნოდან ძლიერი სისხლის დენის ("ტაბასტა") შეწყვეტის მიზნით ცივი საფენების, აბაზანების გამოყენება და სხვ. ასევე ინტენსიური მოძრაობა უშუალოდ მშობიარობის დაწყების წინ და მშობიარობის შემდეგ, სამი დღე უძრავად ყოფნა, რაც გარკვეული პროფილაქტიკა იყო ძლიერი სისხლის დენის თავიდან ასაცილებლად. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მძიმე მშობიარობის დროს საქართველოს ბარში ბებიაქალისა და მთაში გამოცდილი "დამსმარე ქალის" მიერ მომყოლის - პლაცენტას გამოდევნის, ბავშვის არასწორი მდებარეობის შეცვლის და მშობიარობის დაჩქარების, ჩვენს მიერ ზემოთ აღწერილი, სხვადასხვა ეფექტური მეთოდების გამოყენება. რა თქმა უნდა, გამართლებული იყო ფეხმძიმე ქალის დაზოგვა: მისთვის მძიმე სამუშაოს არიდება, უხერხული მოძრაობების შეზღუდვა, მსუბუქი დიეტის დაცვა და სხვ.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ მძიმე მშობიარობის შემთხვევაში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც

ქალის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა, ე.ი. ექსტრემალური სიტუაციის დროს, სდებოდა ოპერაციული ჩარევა. როგორც ადგილობრივი მეანების, ისე ცხოველებზე დახელოვნებული მწყემსების მიერ. განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ხევსურები, რომლებიც გამოირჩეოდნენ რელიგიური ნორმების დაცვის სიმკაცრით, ამ ნორმებს არღვევდნენ და მშობიარესთან - "უწმინდურ დედაკაცთან" - დასახმარებლად მიჰყავდათ გამოცდილი ქალი, ზოგჯერ მამაკაციც (მწყემსი) კი, რაც ჩვეულებრივ პირობებში სასტიკად იკრძალებოდა.

უთუოდ გათვალისწინებულ უნდა იქნას, რომ მშობიარობის დროსა და შემდეგ მოსახლეობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ფსიქოლოგიურ ფაქტორს და ცდილობდა ქალისათვის დადებითი ემოციური გარემოს შექმნას. ასეთი დამოკიდებულება განსხვავებული იყო სხვადასხვა სოციალური წრისა და გეორგაფიულ გარემოში მცხოვრებ მოსახლეობას შორის. ვახტანგ ბატონიშვილის ცნობიდან ჩანს, რომ მშობიარობის დროს ქალს საგანგებოდ უელიდა მთელი ოჯახი, ახლობლები და მოკეთეები, მის ირგვლივ ლხინი და გართობა იყო, სადაც პრიორიტეტი ქალებს ენიჭებოდათ.

ჩვენს მიერ დამოწმებული მასალით საქართველოს ბარის რეგიონებში ქალი მშობიარობის დროს მარტო არ იყო, მას, ბებიაქალისა და ახლობლების გარემოცვაში - ზრუნვა და ალერსი არ აკლდა. ნამშობიარებ ქალთან პერიოდულად იმართებოდა ლხინი და ყურადღება ექცეოდა ქალისათვის დადებითი ემოციური გარემოს შექმნას.

მთაში მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ მძიმე პირობებში ქალი მარტო მშობიარობდა, იგი მაინც გრძნობდა ოჯახის წევრების ყურადღებასა და მზრუნველობას, რაც გამოიხატებოდა მისთვის ოჯახის წევრი მამაკაცების მიერ ღამისთევასა, თუ მესამრეელოე დედაკაცების მოკითხვა-გამოსმაურებაში.

რაციონალურად უნდა ჩაითვალოს მშობიარობის წინა და შემდგომი პერიოდის ზოგიერთი წესი: მაგ., ძუძუს თავების წინასწარი დამუშავება, მასტიტის დროს მსუბუქი მასაჟი (ძუძუს სავარცხლით "ჩამოვარცხნის" ორიგინალური წესი) და სხვ.

ჯინსაღ შომავალ თაობაზე ზრუნვით იყო

განპირობებული ქორწინებამდე ქალის - მომავალი დედის წინაპართა ჯანმრთელობის "გაკითხვა" - მეშკვიდრეობით დაავადებათა თავიდან აცილების მიზნით.

ბავშვის ჯანმრთელობაზე ზრუნვით უნდა აიხსნას აგრეთვე ის ფაქტი, რომ ასალშობილი სამი დღე დედის უბეში იმყოფებოდა, როგორც ჩანს, სრულიად უცხო გარემოსთან თანდათანობით შეგუების მიზნით (სევსურეთი).

მშობიარობის შემდეგ ასალშობილის დედის მკერდზე დაწვენის წესი, რიგორც ცნობილია, ამ უკანასკნელ ხანებში თანამედროვე მედიცინაში ფართოდ დაინერგა.

ცალკე გვინდა შევჩერდეთ დედის რძით ბავშვის კვების საკითხზე, რაც ქართველ სალსს ჯანსაღი თაობის გაზრდის ერთ-ერთ აუცილებელ პირობად მიაჩნდა.

ძუძუს წოვების რეჟიმი საქართველოში თავისუფალი იყო, ე.ი. ბავშვის კვების დრო წინასწარ არ განისაზღვრებოდა. ეს ჩვილის საკვებით დაკმაყოფილებას, მის სიმშვიდეს, ღედისათვის რძის შენარჩუნებას უწყობდა ხელს. ამასთან ერთად ერიდებოდნენ ძუძუს მიცემას ღამე. ძველი ქართული მედიცინის მონაცემების მისაედვით: ყრმას (ჩვილს - ნ.მ.) დედა "ღამით სძესა არ აწოებდეს" (XI; 36).

აღსანიშნავია, რომ შიმშილი ყოველთვის არ ითვლებოდა ბავშვის ტირილის მიზეზად: "და თუ ყრმაჲ დია ტიროდეს ჰნასოს, არ ყოველივე შიმშილისაგან ატირდების, ნუ თუ მუცელი სტკივოდეს, მაშინ დედამან მისმან თეთრი საკმეველი, ცოსნოს, ღა წუენი მისი პირსა ჩაუწთოს, ... და ეგების რომელ ყურიცა სტკიოდეს, მაშინ ცოტაჲ სძე იისა ზეთსა გაურიოს და ყურსა ჩაუწთნონ (XI. 36), ე.ი. დედა ცდილობდა ბავშვის ტირილის [illegible] და სათანადო ზომებს იღებდა.

[illegible] ისე ძველი ქართული ოფიციალური მედიცინის მისედვით, დამატებით საკვებს ჩვილს სხვადასხვა დროს აძლევდნენ, უმეტესწილად კბილის ამოსვლის შემდეგ. შესაბამისად კვების რაციონში მცირდებოდა დედის რძის რაოდენობა. წლინახევრის, 2 ან უფრო იშვიათად 3 წლის ბავშვი ძუძუს წოვას თავს საერთოდ ანებებდა. ძუძუდან მოწყვეტის საუკეთესო სეზონად გაზაფხული და შემოდგომა მიაჩნდათ: "... ძუძუსაგან ზამთარსა და ზაფხულსა შუა ნუ მოსწყვეტენ ყრმასა, რომელ საშიშოჲ იქნების. და უკეთესი ჟამი ყრმისა მოწყვეტისაჲ

გაზაფხულ და შემოდგომისა ჟამია" ... (XI: 36).

ხალხური შესედულებით, ზამთრის სიცივეში და ზაფხულის სიცხის დროს (ინფექციების აქტიურობის პერიოდში) ბავშვს დედის რძით გამაგრება სჭირდებოდა.

ზემომოყვანილიდან ნათელია, რომ ჩვილი ბავშვის კვების ტრადიციული სისტემა საქართველოში რაციონალურ ხასიათს ატარებდა.

იგივე შეიძლება ითქვას ბავშვის ჰიგიენის დაცვის ჩვენს მიერ ზემოაღწერილ წესებზე: სშირი დაბანა, საგებლის გამოცვლა, ცივი წყლის გადაესლება, აკვანში ჩაწვენამდე ახალშობილისა და მწოლიარე დედისათვის მოსერსებული საწოლის *ხოჭიჭისა* და *კორნეს* შერჩევა, ხოლო აკვანში წოვების დროს დედის ადგილმონაცვლეობა, აკვნიდან ჩვილის ხშირი ამოყვანა, ფესების თავისუფლად შეკვრა (სევსურეთი) და სხვა მიმართული იყო აკვანში აღზრდის შედეგად მოსალოდნელი გართულების თავიდან აცილების თუ რამდენადმე შემსუბუქებისაკენ. არ არის გამორიცხული, რომ ახალდაბადებულის მოვლის გარკვეული ტრადიციები, მაგ., ხევსურეთში დამოწმებული საკმაოდ უხეში წესები ხელს უწყობდა მთიანეთის მკაცრ ბუნებასა და ცხოვრების მძიმე პირობებთან ბავშვის თანდათან შეგუებას.

საზი გვინდა გაუსვათ საქართველოს მოსახლეობის ყოფაში (გამონაკლისია აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი) ბებიაქალების - ტრადიციული სამეანო ცოდნით აღჭურვილი სპეციალისტების ფართო პრაქტიკას, რაც ხალხური მკურნალების პროფესიონალებად ჩამოყალიბების ფაქტზე მიგვითითებს.

ზემოგანსილული მასალიდან ჩანს, რომ მშობიარობისა და ახალშობილის მოვლის ხალხური ტრადიციები შეესაბამებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხის მოსახლეობის საცხოვრებელ პირობებს, ცხოვრების წესს, რწმენა-წარმოდგენების სისტემას, აკმაყოფილებდა ადგილობრივ მკვიდრთა გარკვეულ მოთხოვნილებებს და როგორც ჩანს მათთვის ოპტიმალური იყო.

ნუნუ მინდაძე

წყაროები და ლიტერატურა:

I აბულაძე ილ., ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.

II ბარდაველიძე-ლომია, ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებული რიტუალი მთიან ქართლში, საქართველოს მუზეუმის მოამბე IV, ტფ., 1928

III ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოს საქართველოსა, ქართლის ცხოვრება IV, თბ., 1973

IV ბატონიშვილი ვასტანგი, ისტორიებრი აღწერა ვახტანგის მიერ (კაკაბაძის გამოცემა) ტფ., 1914

V Дбар С.А., Традицонные родильные обычаи и обряды абхазов и их трансформация в советские годы, ჟურნ. Советская Этнография, № 1, 1985

VI თომსენი რ, ბიბლიის სამედიცინო სიბრძნე, თბ., 1991

VII თოფჩიშვილი რ., აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა მიგრაცია XVI-XX სს, თბ., 1984

VIII ორბელიანი სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული, ტ. I, 1991, ტ. II, 1993

IX სააკაშვილი მ., გელაშვილი ა., საქართველოს მედიცინის ისტორია, ტ. III, წ. II, თბ., 1958

X ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1995

XI წიგნი სააქიმოჲ, თბ., 1936

Rites Connected with Childbirth and Nursing Babies in Georgia
(a historical-ethnological study)

Summary

The present collection consists of four articles and the afterword. The traditions of childbirth and baby nursing, witnessed in some highland and lowlend regions of Georgia in the 19th and the first half of the 20th centuries are discribed and discussed in the papers. Some views presented in the afterword are based upon the comparison of the above-mentioned traditions and the generalisation of the conclusions made by the authors. Namely, the rites, habits and customs of childbirth and baby nursing form a certain religious system in which the Christian ideas and traditions are merged with the archaic religious layers.

The main conceptions of this system reflect the oldest ideas on the motherly origin and fertility of the earth, the impurity of a woman during the menstrual period and after childbirth, the influence of evil spirits, and so on. All this is represented in the rites of childbirth on earth (the highlands of Georgia) and their ritual symbols (the lowland of Georgia), in pre-Christian and Christian ceremonies of purification, in the activities directed against evil spirits, etc.

The principles of prevention and treatment of women's diseases and midwifery, witnessed in georgian folk medicine, in certain cases are not far from those of modern medicine. The methods and means of treatment, naturally, were distinctly different but, in most cases, were expedient and quite efficient. For example, during the menses and in the post-delivery period the woman was not allowed to do hard work or to have intercourse, in case of difficult delivery use of original methods changing the position of the foetus and ejection of the placenta. Operational intervention in extreme cases, embryotomia carried out by local midwifes or shepherds.

The free regime of sucking which besides full-value feeding, promoted the calmness of the child and preservation of the mother's milk should be specially mentioned.

The folk traditions of childbirth and the care of newborn children corresponded to the living conditions and mode of life of the local population in different regions of Georgia satisfied their needs and was apparently optimal.

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი 5

ნუნუ მინდაძე. ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები ხევსურეთში 7

ნანა გვათუა. მშობიარობისა და ჩვილ ბავშვთა მოვლის სალხური ტრადიციები ქვემო ქართლში 41

ნინო ჩირგაძე. მეანობისა და გინეკოლოგიურ დაავადებათა მკურნალობის ხალხური ტრადიციები სამცხე-ჯავახეთში 75

მედეა ბურდული. მეანობისა და გინეკოლოგიურ დაავადებათა მკურნალობის ზოგიერთი ხალხური ტრადიცია - დასავლეთ საქართველოში 107

ბოლოსიტყვა 136

რეზიუმე (ინგლისური) 151

C o n t e n t s

Introduction 5

Nunu Mindadze. Rites connected with childbirth in Khevsureti 7

Nana Gvatua. Folk traditions of childbirth and nursing of babies in Kvemo Kartli 41

Nino Chirgadze. Folk traditions of midwifery and treatment of women's diseases in Samtskhe-Javakheti 75

Medea Burduli. Some folk traditions of midwifery and treatment of women's diseases in Western Georgia 107

Afterword 136

Summary 151

გამომცემლობის რედაქტორი: ლ. კ ო ტ რ ი კ ა ძ ე

გადაეცა წარმოებას 26.02.97; ხელმოწერილია
დასაბეჭდად 26.02.97; ქაღალდის ზომა 60×84 1/16
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 9,5; სააღრიცხვო-
საგამომცემლო თაბახი 8,84;

ფასი სახელშეკრულებო

ტირაჟი 150 შეკვეთა № 49

საწარმოო-საგამომცემლო
გაერთიანება „მეცნიერება"
თბილისი, 380060
გამრეკელის ქ. 19